

186 /  
1974/2

ეროვნული  
ბიბლიოთეკა



# საქართველოს სსრ მთავრობის ღერგენიღებათა კრებული

№ 4

თბილისი—აგვისტო

1974 წ.



# საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული

№ 4

ივლისი-აგვისტო

1974 წ.

## შ ი ნ ა რ ს ი

### საქართველოს კბ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილება

52. საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულების საქმიანობის შემდგომი სრულყოფის შესახებ

საქართველოს კბ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოსა და საქართველოს ალკც ცენტრალური კომიტეტის დადგენილება

53. საქართველოს კბ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოსა და საქართველოს ალკც ცენტრალური კომიტეტის დამატებითი გარდამავალი წითელი დროშის დაწესების შესახებ

### საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილება

54. საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოებისათვის თანრიგების მიკუთვნების წესის შეცვლის შესახებ

55. „გადასახლება-დასახლების შეღავათების შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 20 აგვისტოს № 514 დადგენილების დამატების თაობაზე.

85027

სსრ მინისტრთა საბჭოს  
სახელმწიფო რესპუბლიკა  
სსრ მინისტრთა საბჭოს

56. საქართველოს სსრ კოლმეურნეობებში შრომის ანაზღაურების რეკომენდაციების შესახებ
57. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1972 წლის 26 სექტემბრის № 499 დადგენილებისა და 1973 წლის 20 სექტემბრის № 969 განკარგულების ნაწილობრივ შეცვლის შესახებ
58. სამინისტროების, უწყებებისა და ორგანიზაციების მიერ საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის ობიექტებზე დაციითი, სახანძრო-დაცვითი სიგნალიზაციის ტექნიკურ საშუალებათა და ავტომატურ ხანძარსაქრობ სისტემათა მოწყობის, ექსპლუატაციისა და რემონტის წესის დებულების დამტკიცების შესახებ
59. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 16 აპრილის № 250 დადგენილების დამატების შესახებ.
60. სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის გ. ვ. წერეთლის ხსოვნის უკვდავოების შესახებ
61. რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში სამართლებრივი მუშაობის მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ.
62. საქართველოს სსრ მოქმედი კანონმდებლობის კრებულის გამოცემის შესახებ.
63. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის დებულების დამტკიცების შესახებ.
64. საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ
65. ცუცხვათის მღვიმოვანის ნაკრძალად და მისი მიმდებარე მწვანე ზონის სახელმწიფო აღკვეთილად გამოცხადების შესახებ
66. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1958 წლის 19 თებერვლის № 107 დადგენილების ძალადაკარგულად ცნობის შესახებ
67. თანამედროვეობის ამსახველი პროზის, პოეზიის, დრამატურგიის, კრიტიკისა და პუბლიცისტიკის საუკეთესო ნაწარმოებებისათვის ყოველწლიური ლიტერატურული პრემიების დაწესების შესახებ.
68. საქართველოს სსრ მდინარეებსა და წყალსაცავების კაშხალებზე თევზსავალების მოწყობის შესახებ.
69. არქივთმცოდნეობის დარგში საუკეთესო ნაშრომებისათვის აკადემიკოს ნიკო ბერძენიშვილის სახელობის პრემიების დაწესების შესახებ.
70. მოქალაქეთა მიერ დამაშალებელი ორგანიზაციებისათვის ჩაბარებული სოფლის მეურნეობის პროდუქციისათვის მათთან შემნახველი საღარიბეების მეშვეობით ანგარიშსწორების ცდის შესახებ.

## საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილება

**52** საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ნებაყოფლობითი სახალ-  
 სო რაზმეულების სამიანობის შემდგომი სრულყოფის შესახებ

საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავენ, რომ მშრომელთა ინიციატივით შექმნილი ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულები აქტიურად მონაწილეობენ საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცებისა და სოციალისტური საერთო ცხოვრების წესების დაცვის უზრუნველყოფისათვის მუშაობაში, პრაქტიკულ დახმარებას უწევენ მილიციის ორგანოებსა და მესაზღვრეებს დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის, სასაზღვრო და საპასპორტო რეჟიმის განმტკიცების ღონისძიებათა განხორციელებაში. პარტიული და საბჭოთა ორგანოების ხელმძღვანელობით სახალხო რაზმეულები ორგანიზაციულად განმტკიცდნენ, შეიძინეს მნიშვნელოვანი გამოცდილება სამართალდარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლაში, მოიხვეჭეს ავტორიტეტი და აღიარება მოსახლეობის ფართო მასებში.

ამასთანავე, უკანასკნელ დროს დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის მაჩვენებლების ერთგვარი გაუმჯობესების მიუხედავად, სამართალდარღვევათა დონე მთლიანად რესპუბლიკაში ჯერ კიდევ მაღალია, ხოლო სახალხო რაზმეულების მუშაობა არ შეესაბამება მათ წინაშე დასახულ ამოცანებს. სუსტად არის გამოყენებული რაზმეულების შესაძლებლობანი ქუჩებში და სხვა საზოგადოებრივ ადგილებში წესრიგის უზრუნველსაყოფად, ხულიგნობის, ლოთობის, სოციალისტური საკუთრების დატაცების წინააღმდეგ საბრძოლველად, არასრულწლოვანთა სამართალდარღვევის თავიდან ასაცილებლად, მოსახლეობაში სამართლის პროპაგანდის განსახორციელებლად. რაზმეულების დაკომპლექტებისას ხშირად ირღვევა ნებაყოფლობის პრინციპი, დამკვეთელია მათი რაოდენობრივი შემადგენლობის გაუმართლებელი გაფართოების ფაქტები. რაზმელთა შორის არიან პირები, რომლებიც პასიურად ასრულებენ თავიანთ საზოგადოებრივ მოვალეობას და არ იძლევიან მაგალითს შრომაში, სწავლასა და ყოფა-ცხოვრებაში.

ცალკეულმა პარტიულმა კომიტეტებმა და საბჭოთა ორგანოებმა შეასუსტეს ყურადღება სახალხო რაზმეულებისადმი, ღრმად არ სწვდებიან მათს საქმიანობას, ჯეროვნად არ ზრუნავენ რაზმეულების განმტკიცებისა და მართლწესრიგის დაცვაში მათი აქტივობის გაძლიერებისათვის. ამის შედეგად სახალხო რაზმეულების საქალაქო და რაიონული შტაბები ხშირად უმოქმედობენ, ურიგდებიან მორიგეობის ჩაშლას, მუშაობენ არაორგანიზებულად, რეალური ვითარების გაუთვალისწინებლად. ჯეროვანი ყურადღება არ ეთმობა საზოგადოებ-

რივი წესრიგის მდგომარეობისათვის სახალხო რაზმეულების პასუხისმგებლობის ამაღლების საკითხებს. იშვიათად არის შემოღებული პრაქტიკაში რაზმეულებისა და შტაბების უფროსების ანგარიშების მოსმენა მათ მიერ გაწეულ მუშაობის შესახებ მშრომელთა კოლექტივების კრებებზე. მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, რაიონული, სადაბო და სასოფლო საბჭოები ჯერ კიდევ სრულად არ ასრულებენ მათთვის დაკისრებულ მოვალეობებს, რომ უხელმძღვანელონ რაზმეულებს და შეუქმნან მათ წარმატებული მუშაობისათვის სათანადო პირობები.

ძალიან დაბალია ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულების საქმიანობის ეფექტიანობა კასპის, ქარელის, მცხეთის, წყალტუბოსა და რესპუბლიკის ზოგიერთ სხვა რაიონში, სადაც არ აღრიცხულა რაზმელთა მიერ გამოვლინებული ან თავიდან აცილებული სამართალდარღვევის არცერთი ფაქტი, მაშინ როცა აღნიშნულ რაიონებში უკანასკნელ დროს შეიმჩნევა ჩადენილ დანაშაულთა რაოდენობის ზრდა. საკმარისად არ მუშაობენ რაზმეულებთან პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციები, სამეურნეო ხელმძღვანელები. აღმინისტრაციული ორგანოები, და უწინარეს ყოვლისა მილიცია, არ იღებენ ქმედითს ზომებს რაზმეულებთან ყოველდღიური ურთიერთმოქმედების, რაზმელთა სამართლებრივი აღზრდის ორგანიზაციის უზრუნველსაყოფად, მათთვის სამართალდარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლის ფორმებისა და მეთოდების შესასწავლად. სახალხო რაზმეულებთან მილიციის სუსტ კონტაქტებს მოწმობს ის ფაქტიც, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოები არ არჩევენ, ხოლო ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულები არ გზავნიან მილიციის ორგანოებში სამუშაოდ ან სამინისტროს სასწავლებლებში ყველაზე წარჩინებულ რაზმეულებს. მოქალაქეთა მონაწილეობას რაზმეულების საქმიანობაში, საუკეთესო რაზმეულთა და რაზმელთა მუშაობის გამოცდილებას საკმარისად არ განაზოგადებენ, სუსტად აშუქებენ და უწევენ პროპაგანდას მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით.

დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ რა საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულების საქმიანობას, და „საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულების საქმიანობის შემდგომი სრულყოფის შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 20 მაისის № 379 დადგენილების შესაბამისად საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენენ:

1. დაევალოთ საქართველოს კპ საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს აღმოფხვრან ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულებისადმი ხელმძღვანელობაში არსებული ნაკლოვანებანი: უფრო მეტი ყურადღება დაუთმონ და დახმარება გაუწიონ მათ, აამაღლონ ამ საქმეში პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზა-

ციების, ადმინისტრაციული ორგანოების, სამეურნეო ხელმძღვანელების როლი და პასუხისმგებლობა; დაბეჭილებით ეცადონ, რომ განუწყვეტლივ იზრდებოდეს სახალხო რაზმეულების როლი და მნიშვნელობა მოქალაქეთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვაში, საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველყოფაში და სამართალდარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლაში.

2. წინადადება მიეცეთ პარტიულ კომიტეტებსა და საბჭოთა ორგანოებს განახორციელონ სახალხო რაზმეულების საქმიანობის შემდგომი სრულყოფასათვის საქმრო ღონისძიებანი, ამასთან მხედველობაში იქონიონ, რომ:

ა) სახალხო რაზმეულების ძირითადი ღონისძიებანი მოახმარონ სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას ქუჩებში, მოედნებზე და სხვა საზოგადოებრივ ადგილებში, ხულიგნობის, ლოთობისა და სხვა ანტისაზოგადოებრივ გამოვლინებათა ფაქტების გადაჭრით აღკვეთას, განსაკუთრებით რესპუბლიკის ქალაქებსა და საკურორტო ადგილებში; უფრო აქტიურად წარმართონ რაზმეულების ღონისძიებანი სოციალისტური საკუთრების დაცვებისა და არასრულწლოვანთა სამართალდარღვევის წინააღმდეგ საბრძოლველად; უფრო ფართოდ გამოიყენონ რაზმეულების შესაძლებლობანი დამრღვევებთან ინდივიდუალურ-აღმზრდელობითს მუშაობაში და მოსახლეობაში სამართლის პრობაგანდაში;

ბ) მიიღონ ზომები მშრომელთა საუკეთესო წარმომადგენლებით, კომუნისტებითა და კომკავშირელებით, პატროსანი, პრინციპული და ენერგიული აღამიანებით რაზმეულების განმტკიცებისათვის, ამასთან განუხრელად დაიცვან ნებაყოფლობის პრინციპი;

გ) უზრუნველყონ დისციპლინის განმტკიცება რაზმეულებში, მიიღწიონ მათს ორგანიზებულობასა და შეკავშირებას, დაწერგონ რაზმეულების მუშაობის პრაქტიკაში სამართალდარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლის ყველაზე ეფექტიანი ფორმები და მეთოდები;

დ) რეკომენდაცია მისცენ რაზმეულების ხელმძღვანელობისათვის მომზადებულ, გამოცდილ და ავტორიტეტთან აღამიანებს, მათ შორის მშრომელთა დეპუტატების საბჭოების დეპუტატებს, პარტიულ, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს;

ე) აამაღლონ სახალხო რაზმეულების რაიონული, საქალაქო შტაბების მორგანიზებელი როლი რაზმეულებთან მუშაობაში; შეინარჩუნონ ამჟამად მოქმედი წესი, რომელიც ითვალისწინებს, რომ რაიონულ, საქალაქო შტაბებს სათავეში უდგანან, როგორც წესი, პარტიული ან საბჭოთა ორგანოების ხელმძღვანელი მუშაკები;

ვ) უზრუნველყონ ადმინისტრაციული ორგანოებისა და რაზმეულების უფრო მჭიდრო ურთიერთმოქმედება ამხანაგურ სასამართლოებთან და მართლწესრიგის დაცვაში მონაწილე სხვა თვითმოქმედ საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან რაზმეულების კავშირურთიერთობის გაძლიერება; უფრო აქტიურად გამოიყენონ რაზმეულები შრომითს კოლექტივებში და მოქალაქეთა საცხოვრებელი ადგილის მიხედვით აღმზრდელობითი მუშაობის გასაძლიერებლად;



3. დაწესდეს, რომ მშრომელთა დეპუტატების საიონული, საქალაქობრივი და სასოფლო საბჭოების აღმასკომები, ახორციელებენ რა ხელმძღვანელობას ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულებისადმი, მოწოდებული არიან ყოველდღიურად წარმართონ და გააკონტროლონ რაზმეულების საქმიანობა, უზრუნველყონ სოციალისტური კანონიერების დაცვა მათ მიერ, მიიღონ ზომები რაზმეულების ორგანიზაციული განმტკიცებისათვის, გადაჭრან მათი მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის საკითხები.

მიზანშეწონილად ჩაითვალოს, რომ ამ მუშაობის ორგანიზაციისათვის პასუხისმგებლად დამტკიცდეს მშრომელთა დეპუტატების შესაბამისი საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის ერთ-ერთი მოადგილე, ხოლო ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულების მიმდინარე მუშაობისა და მათი საქმიანობის საკითხებზე აღმასკომის გადაწყვეტილებათა შესრულებისადმი კონტროლის განსახორციელებლად საჭიროების კვალობაზე მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასკომის აპარატის შემადგენლობაში შეყვანილ იქნეს განთავისუფლებული მუშაკი სახელმწიფო ხელისუფლებისა და სახელმწიფო მმართველობის ორგანოების შესანახად რესპუბლიკური და ადგილობრივი ბიუჯეტებით გამოყოფილ ასიგნებათა ხარჯზე.

4. პარტიულმა კომიტეტებმა გააძლიერონ პარტიული კონტროლი რაზმეულების საქმიანობისადმი, აამაღლონ პირველადი პარტიული ორგანიზაციების როლი და პასუხისმგებლობა ამ საქმეში. რაზმეულების მუშაობისა და მათში კომუნისტების მონაწილეობის საკითხები სისტემატურად განიხილონ პარტიული კომიტეტების, პარტიული ბიუროების სხდომებზე, პარტიულ ორგანიზაციათა კრებებზე. გააუმჯობესონ მუშაობა, რათა ჩაუნერგონ რაზმეულებს მინდობილი საქმისათვის პასუხისმგებლობის გრძნობა, მაღალი იდეურ-პოლიტიკური და მორალური თვისებები, მუდმივი მზადყოფნა, რომ ყველგან და ყოველთვის იდგნენ სოციალისტური მართლწესრიგისა და კანონიერების სადარაჯოზე.

5. საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურმა საბჭომ და საქართველოს ალკვ ცენტრალურმა კომიტეტმა უზრუნველყონ პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების უფრო აქტიური მონაწილეობა ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულების საქმიანობაში, აამაღლონ მათი როლი და პასუხისმგებლობა სამართალდარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლაში; რეკომენდაცია მისცენ რაზმეულების შემადგენლობაში პროფკავშირულ, კომკავშირულ აქტივისტებს; მუდმივი კონტროლი გაუწიონ პროფკავშირის წევრთა და კომკავშირელთა მიერ რაზმეულებში დაკისრებული მოვალეობის შესრულებას, სისტემატურად მოისმინონ მათი ანგარიშები პროფკავშირულ და კომკავშირულ კრებებზე.

6. დაევალოს საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს მიიღოს ზომები ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულებთან შინაგან საქმეთა ორგანოების კავშირურობის განმტკიცებისათვის, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისა და სამართალდარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლის ერთობლივ ღონისძიებათა განხორციელებაში მონაწილეობის მისაღებად რაზმელთა აქტიურ

ჩაბმისათვის; რეგულარულად გააცნოს რაზმეულთა შტაბებს მართლწესრიგის მდგომარეობა რაზმეულებისათვის მიჩენილ ტერიტორიაზე; მოაწყოს სამართალდარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლის ფორმებისა და მეთოდების სწავლება რაზმელთათვის.

წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს გადაჭრას საკითხი იმის შესახებ, რომ შინაგან საქმეთა ორგანოებში გამოყოფილი სპეციალური მუშაკები, რომლებიც პასუხისმგებელი იქნებიან მილიციისა და ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულების ყოველდღიური ურთიერთმოქმედების ორგანიზაციისათვის.

7. პარტიულმა, საბჭოთა ორგანიზაციებმა, შინაგან საქმეთა, იუსტიციის, პროკურატურის ორგანოებმა, სასამართლოებმა აღმოუჩინონ ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულებს საჭირო დახმარება მუშაობის ორგანიზაციისა და დაგეგმვაში, აგრეთვე რაზმელთა სამართლებრივ აღზრდაში, გამოიყენონ ამ მიზნით სახალხო უნივერსიტეტების სამართლებრივი ცოდნის ფაკულტეტები, ლექტორიუმები და რაზმელთა სკოლები.

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტრომ საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროსთან ერთად შეიმუშაოს ერთიანი სასწავლო პროგრამები და დამხმარე სახელმძღვანელოები, რომლებიც უზრუნველყოფენ რაზმელთა სათანადო მომზადებას.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტმა საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროსთან, საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროსთან და რესპუბლიკურ საზოგადოება „ცოდნასთან“ ერთად უზრუნველყოს რაზმელთათვის საჭირო რაოდენობის სასწავლო-თემატური გეგმების, პროგრამების, დამხმარე სახელმძღვანელოების, იურიდიული და სხვა სპეციალური ლიტერატურის გამოშვება.

8. ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულების საქმიანობაში მშრომელთა აქტიური მონაწილეობის სტიმულირების მიზნით:

ა) პარტიულმა, საბჭოთა, ადმინისტრაციულმა ორგანოებმა, კომკავშირულმა, პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა, სამეურნეო ხელმძღვანელებმა ყოველი ღონისძიებით დაუჭირონ მხარი რაზმელთა ინიციატივას; უყურადღებოდ არ დატოვონ რაზმეულთა სიგნალები სამართალდარღვევის შესახებ და მათი წინადადებანი საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცების თაობაზე; უფრო ფართოდ გამოიყენონ რაზმელთა მორალური და მატერიალური წახალისების ღონისძიებანი, საუკეთესო რაზმეულებს მისცენ უპირატესი უფლება ბინის, სანატორიუმებისა და დასასვენებელი სახლების შეღავათიანი საგზურების მისაღებად და სხვა შეღავათები და უპირატესობანი; რაზმეულები, რომლებმაც გამოიჩინეს მამაცობა და გმირობა საზოგადოებრივი მოვალეობის შესრულებისას, წარადგინონ მთავრობის ჯილდოებზე;

ბ) ვაზეთების რედაქციებმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტმა, რესპუბლიკურმა საზოგადოებამ „ცოდნამ“ მეტი ყურადღება დაუთმონ მართლწესრიგის დაცვაში საზოგადოებრიობის მონაწილეობის საკითხებს, ყოველმხრივ და მკაფიოდ გააშუქონ ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულების მუშაობა, განაზოგადონ და პოპულარიზაცია გაუწიონ საუკეთესო რაზმეულთა და რაზმელთა გამოცდილებას, პარტიული და საბჭოთა ორგანოების მხრივ მათდამი ხელმძღვანელობის პრაქტიკას.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტმა გაითვალისწინონ ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულების საქმიანობისადმი მიძღვნილი მხატვრული და დოკუმენტური ფილმების გამოშვება, აგრეთვე შესაბამისი პლაკატების გამოცემა ქართულ და რუსულ ენებზე.

9. აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებმა მიიღონ ზომები, რათა უკეთ უზრუნველყონ ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულები და მათი შტაბები სადგომებით, ტელეფონებით, შესაბამისი დოკუმენტაციით, აგრეთვე საჭიროების შემთხვევაში გამოუყონ სატრანსპორტო საშუალებანი მორიგეობის პერიოდში.

მიზანშეწონილად ჩაითვალოს, რომ გამოიყოს ქალაქებისა და სხვა დასახლებული პუნქტების მიკრორაიონებში ჯეროვნად მოწყობილი სადგომები რაზმეულების შტაბის, მილიციის უბნის ინსპექტორების, ამხანაგური სასამართლოსა და მართლწესრიგის დაცვაში მონაწილე სხვა თვითმოქმედი საზოგადოებრივი ორგანიზაციების ერთად მოსათავსებლად და უფრო მჭიდრო ურთიერთმოქმედებისათვის.

უფლება მიეცეს საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრს ნება დართოს საქვეუწყებო ორგანოებს გამოუყონ საჭიროების შემთხვევაში სახალხო რაზმეულთა შტაბებს დროებითი სარგებლობისათვის მობილური რადიოსაშუალებანი, ელექტრომეგაფონები და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისათვის გამოყენებული სხვა ტექნიკური საშუალებანი.

10. დამტკიცდეს თანდართული დებულება საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულების შესახებ.

11. დამტკიცდეს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულების საქმიანობის შემდგომი სრულყოფის ღონისძიებათა თანდართული გეგმა 1974—1975 წლებისათვის<sup>1)</sup>.

12. დაევალოთ საქართველოს კპ საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს შეიმუშაონ და დამტკიცონ ღონისძიებათა გეგმები ამ დადგენილების მოთხოვნების შესასრულებლად.

1) გეგმა მოყვანილი არ არის.

13. ამ დადგენილების მიღებასთან დაკავშირებით ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 16 მარტის № 217 დადგენილება „საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში მშრომელთა მონაწილეობის შესახებ“ და მე-9 პუნქტის „გ“ და „ბ“ ქვეპუნქტები საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 12 აგვისტოს № 442 დადგენილებისა „დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ბრძოლის ზომების შესახებ“.

საქართველოს კპ  
 ცენტრალური კომიტეტის მდივანი  
**ე. შევაბერძნაძე.**

საქართველოს სსრ  
 მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე  
**ბ. ჯავახიშვილი.**

ქ. თბილისი, 1974 წ. 30 ივლისი, № 453.



და მ ბ კ ი ც მ ბ უ ლ ი ა

საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტისა  
და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს  
1974 4ლის 30 იელისის № 453  
დადგენილებით

## დ ე ბ უ ლ ე ბ ა

### საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულების შესახებ

განვითარებული სოციალისტური საზოგადოების, ჩვენს ქვეყანაში დიდ ეკონომიურ და სოციალურ გარდაქმნათა პირობებში სულ უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება თითოეული მოქალაქის შეგნებულობისა და საზოგადოების წინაშე მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობის ფორმირების, დისციპლინისა და ორგანიზებულობის უზრუნველყოფის, სოციალისტური მართლწესრიგისა და კანონიერების ყოველმხრივი განმტკიცების ამოცანას.

ამ ამოცანის გადაწყვეტაში სახელმწიფო ორგანოებთან და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ერთად დიდმნიშვნელოვანი როლი ეკუთვნით ნებაყოფლობითს სახალხო რაზმეულებს. მშრომელთა ინიციატივით შექმნილი სახალხო რაზმეულები აქტიურად მონაწილეობენ საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცებისათვის მუშაობაში, ეწევიან ბრძოლას სოციალისტური საერთო ცხოვრების წესების დარღვევისა და სხვა ანტისაზოგადოებრივ გამოვლინებათა წინააღმდეგ. თავიანთი საქმიანობით მათ ავტორიტეტი და აღიარება მოიხვეჭეს მოსახლეობის ფართო მასებში.

ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულების მუშაობა, რომლებიც თავიანთ რიგებში ათასობით მოწინავე და შეგნებულ მოქალაქეს აერთიანებენ, ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მშრომელთა ფართო და სულ უფრო მზარდ მონაწილეობაზე დაფუძნებული საბჭოთა წყობილების დემოკრატიზმის მკაფიო მაგალითია.

### I. ზოგადი დებულებანი

1. ნებაყოფლობითს სახალხო რაზმეულებს ქმნიან მშრომელთა კოლექტივები საწარმოებში, დაწესებულებებში, ორგანიზაციებში, აგრეთვე მოქალაქეთა საცხოვრებელი ადგილის მიხედვით საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის და სამართალდარღვევებთან ბრძოლის გასაძლიერებლად.

2. ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულების მთელ საქმიანობას საფუძვლად უდევს სოციალისტური კანონიერების განუხრელი დაცვა. თავიანთ მუშაობაში რაზმეულები ხელმძღვანელობენ სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონებით, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებითა და განკარგულებებით, სახელმწიფო ხელისუფლებისა და სახელმწიფო მართვის ადგილობრივი ორგანოების გადაწყვეტილებებითა და განკარგულებებით, აგრეთვე ამ დებულებით.

3. სახალხო რაზმეულები იქმნება საწარმო-ტერიტორიული პრინციპის მიხედვით საწარმოებში, მშენებლობებზე, ტრანსპორტზე, კოლმეურნეობებში,

საბჭოთა მეურნეობებში, დაწესებულებებში, ორგანიზაციებში, სასწავლებლებში, საბინაო-საექსპლუატაციო კანტორებში, სახლომმართველობებში, საერთო საცხოვრებლებში და ა. შ.

4. ნებაყოფლობითს სახალხო რაზმეულებში მიიღებიან სსრ კავშირის მოქალაქენი, რომელთაც შეუსრულდათ 18 წელი, მოწინავე მუშათა, კოლმეურნეთა, მოსამსახურეთა, სტუდენტთა, მოსწავლეთა, პენსიონერთა რიცხვიდან, რომელთაც შეუძლიათ თავიანთი საქმიანი და მორალურ-პოლიტიკური თვისებებით წარმატებით შეასრულონ რაზმეულების წინაშე დასახული ამოცანები.

5. ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულებისადმი ხელმძღვანელობას ახორციელებენ მშრომელთა დეპუტატების საბჭოები და მათი აღმასრულებელი და განმკარგულებელი ორგანოები.

6. სახელმწიფო ორგანოები, საზოგადოებრივი ორგანიზაციები და თანამდებობის პირები ყოველმხრივ ხელს უწყობენ და ეხმარებიან ნებაყოფლობითს სახალხო რაზმეულებს მათს საქმიანობაში საზოგადოებრივი წესრიგის განსამტკიცებლად და სამართალდარღვევათა წინააღმდეგ საბრძოლველად.

7. სახალხო რაზმელთა კანონიერი საქმიანობისათვის წინააღმდეგობის გაწევა, სახალხო რაზმელთა სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და ღირსების ხელყოფა საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისათვის მათ საქმიანობასთან დაკავშირებით იწვევს პასუხისმგებლობას სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობის შესაბამისად.

## II. ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულების ძირითადი ამოცანები და ფუნქციები

8. ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულების ძირითადი ამოცანებია მოქალაქეთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვა, აქტიური მონაწილეობა სამართალდარღვევათა თავიდან აცილებასა და აღკვეთაში, საზოგადოებრივი წესრიგის, სოციალისტური საკუთრების დაცვა, მონაწილეობა კანონებისა და სოციალისტური საერთო ცხოვრების წესების პატივისცემის სულისკვეთებით საბჭოთა ადამიანების აღზრდისათვის მუშაობაში.

9. ასრულებენ რა ამ დებულების მე-8 პუნქტით მათთვის დაკისრებულ ამოცანებს და ხელმძღვანელობენ რა მოქმედი კანონმდებლობით, ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულები:

ა) მონაწილეობენ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში ქუჩებში, მოედნებზე, პარკებში, სატრანსპორტო მაგისტრალებზე, ვაგზლებში, ნავსადგომებში, აეროპორტებში და სხვა საზოგადოებრივ ადგილებში, აგრეთვე წესრიგის დაცვაში სხვადასხვა მასობრივ ღონისძიებათა განხორციელების დროს;

ბ) ხელს უწყობენ შინაგან საქმეთა, პროკურატურის, იუსტიციის ორგანოებსა და სასამართლოებს მათს საქმიანობაში საზოგადოებრივი წესრიგის განსამტკიცებლად და სამართალდარღვევათა წინააღმდეგ საბრძოლველად;

გ) მონაწილეობენ ხულიგნობის, ლოთობის, შინაური არაყის ხდის, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების, აგრეთვე მოქალაქეთა პირადი ქონ-



ნების დატაცების წინააღმდეგ, ვაჭრობის წესების დარღვევის, სპეკულაციისა და სხვა სამართალდარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლაში;

დ) მონაწილეობენ შრომითს კოლექტივებსა და მოსახლეობაში სოციალისტური საერთო ცხოვრების წესების დაცვისა და ანტისაზოგადოებრივი ქცევის თავიდან აცილებისათვის აღმზრდელობითი მუშაობის განხორციელებაში;

ე) მონაწილეობენ ბავშვთა უმეტესაღმრთეობისა და არასრულწლოვანთა სამართალდარღვევის წინააღმდეგ ბრძოლაში;

ვ) მონაწილეობენ ტრანსპორტისა და ქვეითად მოსიარულეთა მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფაში და სავზაო-სატრანსპორტო შემთხვევების თავიდან აცილებაში;

ზ) იღებენ ზომებს, რათა გადაუდებელი დახმარება აღმოუჩინონ უბედურ შემთხვევათა და სამართალდარღვევათა შედეგად დაზარალებულ პირებს, აგრეთვე საზოგადოებრივ ადგილებში უმწეო მდგომარეობაში მყოფ პირებს; მონაწილეობენ ადამიანთა და ქონების გადაარჩენაში, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში, სტიქიური უბედურებისა და სხვა საგანგებო გარემოებათა დროს;

თ) ეხმარებიან სასაზღვრო ჯარებს სსრ კავშირის სახელმწიფო საზღვრის დაცვაში;

ი) მონაწილეობენ ბუნებრივ სიმდიდრეთა დაცვისა და შენარჩუნების, ბრაკონიერობასთან, ნადირობისა და თევზჭერის წესების დარღვევებთან ბრძოლის ღონისძიებათა განხორციელებაში.

### III. ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულის შექმნისა და მუშაობის ორგანიზაციის წესი

10. ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეული იქმნება რაზმეულში შესვლის მსურველ პირთა საორგანიზაციო კრებაზე, რომელსაც იწვევს საწარმოში, დაწესებულებაში და ორგანიზაციაში პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენელთაგან შედგენილი საინიციატივო ჯგუფი.

11. საწარმოო გაერთიანებებში (კომბინატებში), საწარმოებში, დაწესებულებებში, ორგანიზაციებში და სასწავლებლებში, სადაც დიდია მომუშავეთა და მოსწავლეთა რაოდენობა, ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულების რაიონული, საქალაქო შტაბების გადაწყვეტილებით იქმნება წარმოებების (ფილიალების), სამჭროების, განყოფილებების, უბნების, ბრიგადების, ფაკულტეტების და ა. შ. რაზმეულები, აგრეთვე შტაბები ამ რაზმეულების ხელმძღვანელობისათვის.

12. რაიონული, საქალაქო, სასოფლო, სადაბო შტაბის წარდგინებით ნებაყოფლობითს სახალხო რაზმეულებს რეგისტრაციაში ატარებენ მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო, სასოფლო, სადაბო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები. რაზმეულის რეგისტრაციისას მოწმდება მისი შექმნის დადგენილი წესის დაცვა.

ცალკეული ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულების გაუქმება ან რეორგანიზაცია ხდება რაზმეულების რაიონული, საქალაქო, სასოფლო, სადაბო შტაბის გადაწყვეტილებით, ამასთან მიღებული გადაწყვეტილება ეცნობება მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო, სასოფლო, სადაბო საბჭოს აღმასკომს.

13. სახალხო რაზმეულში მიღება ხდება მხოლოდ ნებაყოფლობის საწყისებზე ინდივიდუალური წესით რაზმელთა საერთო კრებაზე ან რაზმეულის შტაბის სხდომაზე პირადი განცხადების საფუძველზე და რაზმეულში შესვლის მსურველი მოქალაქის სამუშაო, სწავლის ან საცხოვრებელი ადგილის პარტიული, პროფკავშირული ან კომკავშირული ორგანიზაციის რეკომენდაციით.

14. ყოველი რაზმელი იღებს საზეიმო დაპირებას (ტექსტი თან ერთვის), რომ კეთილსინდისიერად და ერთგულად შეასრულოს თავისი საზოგადოებრივი მოვალეობა მართლწესრიგის დაცვისა და სამართალდარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლის უზრუნველსაყოფად. საზეიმო დაპირებას იღებენ რაზმელთა საერთო კრებაზე, სადაც მოწვეული არიან პარტიული და საბჭოთა ორგანოების, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მშრომელთა კოლექტივების წარმომადგენლები.

საზეიმო დაპირების მიღებამდე რაზმეულში მიღებულ მოქალაქეებს განუმარტავენ ამ დაპირების მნიშვნელობას, შეასწავლიან ამ დებულებას, საკანონმდებლო და სხვა ნორმატიულ აქტებს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისა და სამართალდარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლის თაობაზე, სახალხო რაზმეულების მუშაობის ფორმებსა და მეთოდებს.

რაზმელს, რომელმაც მტკიცედ აითვისა თავისი უფლება-მოვალეობანი და მიიღო საზეიმო დაპირება, რაზმეულის მეთაური ან შტაბის უფროსი გადასცემს დაწესებული ნიმუშის მოწმობას, სამკერდე ნიშანსა და რაზმელის სამაჩსოვროს, რომელშიც ჩამოყალიბებულია რაზმელის ძირითადი უფლება-მოვალეობანი, აგრეთვე საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უმნიშვნელოვანესი კანონდებულებანი. რაზმელი მხოლოდ ამის შემდეგ დაიშვება თავის მოვალეობათა შესასრულებლად.

15. რაზმელი, რომელმაც ჩაიდინა ამ წოდებასთან შეუთავსებელი საქციელი ან არ ასრულებს თავის მოვალეობას, გაირიცხება სახალხო რაზმეულიდან; გადაწყვეტილებას გაირიცხვის შესახებ იღებენ რაზმელთა საერთო კრებაზე ან რაზმეულის შტაბის სხდომაზე; რაზმეულიდან გაირიცხული აბარებს რაზმელის მოწმობასა და სამკერდე ნიშანს.

რაზმელები, რომლებმაც ითხოვეს რაზმელის მოვალეობისაგან განთავისუფლება, გადიან რაზმეულის შემადგენლობიდან. გადაწყვეტილებას გასვლის შესახებ იღებს შტაბი; რაზმეულის შემადგენლობიდან გასული აბარებს შტაბს რაზმელის მოწმობასა და სამკერდე ნიშანს,

სამუშაო, სწავლის ან საცხოვრებელი ადგილის შეცვლასთან დაკავშირებით სახალხო რაზმეულის შემადგენლობიდან გასული რაზმელები შეიძლება მიღებულ იქნენ რაზმეულში ახალ სამუშაო, სწავლის ან საცხოვრებელ ად-

გილზე პირადი განცხადებისა და წინანდელი რაზმეულის შტაბის ან მეორე გაცემული დახასიათების საფუძველზე.

16. ნებაყოფლობითს სახალხო რაზმეულს სათავეში უდგანან რაზმეულის მეთაური და მისი მოადგილენი, რომელთაც ირჩევენ ღია კენჭისყრით რაზმელთა საერთო კრებაზე ორი წლის ვადით.

რაზმეულში, რომელშიც 50-ზე მეტი რაზმელია, მისი მუშაობის ხელმძღვანელობისათვის ირჩევენ რაზმეულის შტაბს იმავე ვადით.

17. რაიონის, ქალაქის ფარგლებში ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულების მუშაობისადმი ოპერატიული ხელმძღვანელობისათვის პარტიის რაიონული, საქალაქო კომიტეტისა და მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებით იქმნება ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულების რაიონული, საქალაქო შტაბი პარტიული, საბჭოთა და სხვა სახელმწიფო ორგანოებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლების, ცალკეული სახალხო რაზმეულების შტაბების უფროსების (მეთაურების) და რაზმელების შემადგენლობით. სასოფლო საბჭოს, დაბის ფარგლებში მშრომელთა დეპუტატების სასოფლო, სადაბო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებით იქმნება ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულების სასოფლო, სადაბო შტაბი.

ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულების რაიონული, საქალაქო, სასოფლო, სადაბო შტაბის უფროსს ამტკიცებს მშრომელთა დეპუტატების შესაბამისი საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი.

ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულების რაიონული, საქალაქო შტაბის გადაწყვეტილებით შეიძლება შეიქმნას შესაბამისი შტაბები, რომლებიც ხელმძღვანელობას გაუწევენ ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულების მუშაობას ქალაქების მიკრორაიონებში, აგრეთვე ცალკეულ დასახლებულ პუნქტებში.

18. ცალკეულ სახეობათა სამართალდარღვევის წინააღმდეგ საბრძოლველად ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულების მუშაობის უკეთ ორგანიზაციის მიზნით რაზმეულების რაიონული, საქალაქო შტაბის გადაწყვეტილებით იქმნება სპეციალიზებული რაზმეულები ან სპეციალიზებული ჯგუფები რაზმეულების შემადგენლობით სოციალისტური საკუთრების დატაცებასთან და სპეკულაციასთან საბრძოლველად, არასრულწლოვანთა სამართალდარღვევის თავიდან ასაცილებლად, საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად და ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულების საქმიანობის სხვა საკითხებზე.

რაზმეულების რაიონულ, საქალაქო შტაბებთან შეიძლება შეიქმნას სახალხო რაზმეულების გაერთიანებული ოპერატიული რაზმები.

19. რაზმეულების რაიონული, საქალაქო შტაბის და კომკავშირის რაიონული, საქალაქო კომიტეტის გადაწყვეტილებით კომკავშირულ რაზმელთაგან შეიძლება შეიქმნას ოპერატიული კომკავშირული რაზმები, როგორც ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულების სპეციალიზებული ქვეგანყოფილები ახალგაზრდობასა და არასრულწლოვანთა შორის სამართალდარღვევების წინააღმდეგ საბრძოლველად. ოპერატიული კომკავშირული რაზმების ორგანიზაციისა და საქმიანობის წესს განსაზღვრავს საქართველოს ალკც ცენტრალური კომიტეტი ამ დებულების შესაბამისად.

20. ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულების რაიონული, საქალაქო შტაბების საქმიანობის კოორდინაციის, მათი მუშაობის მოწინავე გამოცდილები. განზოგადებისა და გავრცელების და მათთვის საჭირო მეთოდოლოგიური დახმარების გაწევის მიზნით აფხაზეთისა და აჭარის ასს რესპუბლიკებში და სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში შესაბამისი პარტიული და საბჭოთა ორგანოების გადაწყვეტილებით შეიძლება შეიქმნას ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულების რესპუბლიკური, საოლქო შტაბები პარტიული, საბჭოთა და სხვა სახელმწიფო ორგანოებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლების, ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულების რაიონული და საქალაქო შტაბების უფროსების შემადგენლობით.

#### IV. რაზმელის უფლება-მოვალეობანი

21. სახალხო რაზმელი მოვალეა:

ა) აქტიურად მონაწილეობდეს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში, სამართალდარღვევათა თავიდან აცილებისათვის, საბჭოთა კანონებისა და სოციალისტური საერთო ცხოვრების წესების დაცვის სულისკვეთებით მოქალაქეთა აღზრდისათვის მუშაობაში; ხელს უწყობდეს შინაგან საქმეთა, პროკურატურის, იუსტიციის ორგანოებსა და სასამართლოებს მათს საქმიანობაში სამართალდარღვევათა წინააღმდეგ საბრძოლველად;

ბ) ყველგან — სამუშაოზე, სასწავლებელში, ქუჩაში, საზოგადოებრივ ადგილებში იცავდეს მოქალაქეთა, საწარმოთა, დაწესებულებათა, ორგანიზაციათა სახელს, ღირსებას, აგრეთვე უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს; იყოს ტაქტიანი და თავაზიანი მოქალაქეებთან ურთიერთობაში; გადაჭრით და გაბედულად მიიღოს კანონით გათვალისწინებული ზომები დანაშაულებრივი ხელყოფისა და სხვა ანტისაზოგადოებრივი მოქმედების აღსაკვეთად;

გ) იყოს სამავალითო შრომაში, სწავლაში, ყოფა-ცხოვრებაში, მუდამ იმაღლებდეს თავის იდეურ, კულტურულ და ზოგადსაგანმანათლებლო დონეს;

დ) დავალებათა შესრულებისას ზუსტად და კეთილსინდისიერად ასრულებდეს რაზმეულის მეთაურისა და მისი შტაბის მოთხოვნებს, აგრეთვე მილიციის მუშაკთა მითითებებს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ერთობლივ ღონისძიებათა განხორციელებისას;

ე) ზუსტად ასრულებდეს საკანონმდებლო და სხვა სამართლებრივ აქტებს, ბეჯითად ეუფლებოდეს სამართალდარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლის ფორმებსა და მეთოდებს, მუდმივად იფართოებდეს საბჭოთა კანონმდებლობის ცოდნას;

ვ) დროულად შეატყობინოს რაზმეულის შტაბს, მილიციის ორგანოსა და სხვა შესაბამის სახელმწიფო ორგანოებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს მისთვის ცნობილი ფაქტები მომზადებულ ან ჩადენილ დანაშაულთა შესახებ, სტიქიური უბედურების წარმოშობის ან სხვა სიგანგებო გარემოებათა შესახებ, რაც ემუქრება მოქალაქეთა, საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა უსაფრთხოებას, აგრეთვე მიიღოს ზომები მათი მავნე შედეგების თავიდან ასაცილებლად;



ზ) მოვალეობათა შესრულებისას ატარებდეს სამკლავურს, თან რაზმელის მოწმობა და სამკვერდე ნიშანი;

თ) მშრომელთა დეპუტატების საბჭოს დეპუტატის მიმართვისას გაუწიოს მას დახმარება დეპუტატის მიერ აღმოჩენილი სამართალდარღვევის აღკვეთაში;

ი) რეგულარულად ჩააბაროს ანგარიში თავისი მუშაობის შესახებ საზოგადოებრივ ორგანიზაციას, რომელმაც რეკომენდაცია მისცა მას რაზმეულში.

22. სახალხო რაზმელს უფლებას აქვს:

ა) მოსთხოვოს მოქალაქეებს დაცვან დადგენილი საზოგადოებრივი წესრიგი და შეწყვიტონ სამართალდარღვევა;

ბ) შეადგინოს მილიციის მუშაკთა ან სხვა ამისათვის უფლებამოსილ პირთა არყოფნისას საზოგადოებრივი წესრიგის ბოროტი დარღვევის ან მოქალაქისათვის, საწარმოსათვის, დაწესებულებისათვის, ორგანიზაციისათვის სამართალდარღვევით ქონებრივი ან სხვა ზარალის მიყენების შემთხვევაში ოქმი და შემდგომ გადასცეს რაზმეულის შტაბის უფროსს (მეთაურს);

გ) მოსთხოვოს საზოგადოებრივი წესრიგის დამრღვევთ წარმოადგინონ პასპორტი ან პირადობის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტები იმ შემთხვევაში, როცა ვინაობის დადგენა აუცილებელია სამართალდარღვევის ჩადენის გარემოებათა ან მასში მონაწილეობის გამოსარკვევად;

დ) მიიყვანოს მილიციაში ან ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულის შტაბში სამართალდამრღვევი პირები, ანდა სამართალდარღვევის აღკვეთის მიზნით, როცა ზემოქმედების ყველა ზომა ამოწურულია, აგრეთვე დამრღვევის ვინაობის დასადგენად და ოქმის შესადგენად, თუ დარღვევის ადგილზე მისი შედგენა შეუძლებელია, ამასთან რაზმეულის შტაბში მიყვანილი პირი იქ ერთ საათზე მეტ ხანს არ შეიძლება გააჩერონ;

ე) სამართალდარღვევათა აღკვეთისას ჩამოართვას დამრღვევთ მათი ჩადენის იარაღები და შემდგომ დაუყოვნებლივ გადასცეს მილიციას;

ვ) შევიდეს კლუბებში, სტადიონებზე, კინოთეატრებში და სხვა საზოგადოებრივ ადგილებში მიმალული დამრღვევის აღმოსაჩენად, იქ წარმოქმნილ სამართალდარღვევათა აღსაკვეთად, აგრეთვე, ამ ადგილების ადმინისტრაციის თანხმობით, საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველყოფის მოვალეობათა შესასრულებლად;

ზ) საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მოვალეობათა შესრულებისას ისარგებლოს საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტით (ტაქსის გარდა) უფასო მგზავრობის უფლებით მორიგეობის დროს გაცემული სპეციალური სამგზავრო ბილეთებით მშრომელთა დეპუტატების შესაბამისი საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის მიერ განსაზღვრული წესით;

თ) გადაუდებელ შემთხვევებში გამოიყენოს სატრანსპორტო საშუალებანი (სპეციალური და დიპლომატიური ავტომობილების გარდა), რათა მიიყვანოს სამკურნალო დაწესებულებებში საზოგადოებრივ ადგილებში უმწეო მდგომარეობაში მყოფი პირნი, აგრეთვე უბედურ შემთხვევათა ან სამართალდარღვევათა გამო დაზარალებული პირნი, რომელთაც ამასთან დაკავშირებით ესპეცირებათ გადაუდებელი სამედიცინო დახმარება;

ი) საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მოვალეობათა შესრულებისას უფასოდ ისარგებლოს საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ტელეფონებით;

კ) მოსახლეობის ავტომობილთა საშუალებების, ტრაქტორებისა და სხვა თვითმავალი მანქანების მძღოლებს, რომლებიც საგზაო მოძრაობის წესებს არღვევენ, სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლების დამადასტურებელი დოკუმენტები, მიიყვანოს მილიციის უახლოეს ორგანოში მძღოლები, რომლებიც ამ სატრანსპორტო საშუალებებს მართავენ ნასვამ მდგომარეობაში ან მძღოლის დოკუმენტების გარეშე.

23. სახალხო რაზმელის დროებითი შრომისუუნარობის შემთხვევაში, რაც საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მოვალეობათა შესრულებამ გამოიწვია, რაზმელს ეძლევა დახმარება დროებითი შრომისუუნარობის გამო, მუშაობის სტაჟის მიუხედავად, ხელფასის 100 პროცენტის ოდენობით, ხოლო იმავე მიზეზით შრომის უნარის მუდმივი ან ხანგრძლივი დაკარგვის შემთხვევაში მას ენიშნება ინვალიდობის პენსია იმ მუშა-მოსამსახურეებისათვის დაწესებული ოდენობით, რომლებმაც შრომის უნარი დაკარგეს შრომითი დასახიჩრების ან პროფესიული დაავადების შედეგად.

საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის დავალებათა შესრულებისას დაღუპული რაზმელის ოჯახის წევრებს მარჩენალის დაკარგვის გამო პენსია ენიშნებათ შრომითი დასახიჩრების ან პროფესიული დაავადების შედეგად გარდაცვლილ მუშა-მოსამსახურეთა ოჯახებისათვის დაწესებული ოდენობით.

რაზმელსა და მისი ოჯახის წევრებს აღნიშნულ შემთხვევებში უფლება აქვთ მოითხოვონ მიყენებული ზარალის ანაზღაურება დადგენილი წესით.

#### V. ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულების მუშაობის ფორმები და მეთოდები

24. ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულები თავიანთ საქმიანობას ახორციელებენ შემდეგი გზით:

ა) პატრულობენ და აყენებენ საგუშაგოებს ქუჩებში, მოედნებზე, პარკებში და სხვა საზოგადოებრივ ადგილებში, აწყობენ რეიდებს სამართალდარღვევათა და მათ ჩამდენ პირთა გამოსავლინებლად;

ბ) ახორციელებენ ინდივიდუალურ აღმზრდელობითს მუშაობას სამართალდამრღვევ პირებთან, აწესებენ რაზმელთა შეფობას ასეთი პირებისადმი; განუმარტავენ მოქალაქეებს კანონმდებლობას და სოციალისტური საერთო ცხოვრების წესებს, აწყობენ საუბრებს სამართალდამრღვევ არასრულწლოვანთა მშობლებთან და სხვა ახლო ნათესავებთან;

გ) აფორმებენ მასალებს სამართალდამრღვევებზე, უგზავნიან ამ მასალებს შესაბამის სახელმწიფო ორგანოებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს;

დ) უშვებენ სატირულ პლაკატებს, კედლის გაზეთებსა და ფოტოვიტრინებს, იყენებენ პრესის, რადიოსა და ტელევიზიის საშუალებებს სამართალდარღვევათა პროფილაქტიკისა და ანტისაზოგადოებრივი საქციელის ჩამდენ პირებზე ზემოქმედების მიზნით;



ე) განიხილავენ დამრღვევთა საქციელს რაზმეულის შტაბის სხდომებზე, სადაც იწვევენ საზოგადოებრივი ორგანიზაციების მშრომელთა კოლექტივების წარმომადგენლებს, რომელთა წევრებიც არიან სამართალდამრღვევნი.

## VI. ხელმძღვანელობა ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულების საქმიანობისადმი

25. მშრომელთა დებუტატების რაიონული, საქალაქო, სადაბო და სასოფლო საბჭოები და მათი აღმასრულებელი კომიტეტები, ახორციელებენ რა თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში ხელმძღვანელობას ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულებისადმი, აწყობენ და წარმართავენ მათს საქმიანობას, იღებენ ზომებს რაზმეულების განსამტკიცებლად და რაზმელთა რიგებში მშრომელთა საუკეთესო წარმომადგენლების ჩასაბმელად, უზრუნველყოფენ კანონიერების დაცვას რაზმეულების საქმიანობაში, აწყობენ მათს ურთიერთობკმედებას მართლწესრიგის დაცვაში მონაწილე სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, ისმენენ რაზმეულების მეთაურთა და შტაბების უფროსთა ინფორმაციებსა და ანგარიშებს, აგრეთვე საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების (მათი უწყებრივი დაქვემდებარების მიუხედავად) ხელმძღვანელთა ინფორმაციებსა და ანგარიშებს რაზმეულების მუშაობის საკითხებზე, წყვეტენ რაზმეულების მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის საკითხებს.

26. ოპერატიულ ხელმძღვანელობას რაზმეულთა მუშაობისადმი ახორციელებს ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულის შტაბი (მეთაური), რომელიც:

ა) ეწევა მუშაობას რაზმეულის შეკავშირებისა და განმტკიცებისათვის, უნერგავს რაზმეულებს მაღალ დისციპლინიანობას, საზოგადოებრივი მოვალეობის, ამხანაგობისა და თავდადების გრძნობას, მუდმივი კავშირი აქვს საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, რომლებმაც რეკომენდაცია მისცეს რაზმეულებს;

ბ) აწყობს რაზმელთა მიერ საბჭოთა კანონმდებლობის საფუძვლების შესწავლას, რაზმელთა ფიზიკური მომზადების მეცადინეობებს, მათ მიერ სამართალდარღვევებთან ბრძოლის ფორმებისა და მეთოდების შესწავლას;

გ) გეგმავს რაზმეულის მუშაობას, ინსტრუქტაჟს უწევს რაზმეულებს და აკონტროლებს მათს საქმიანობას, აწარმოებს რაზმეულის მუშაობის შედეგების აღრიცხვას, ამზადებს რაზმელთა კრებაზე განსახილველად რაზმეულის ორგანიზაციისა და საქმიანობის საკითხებს;

დ) განიხილავს რაზმელთა მიერ შედგენილ ოქმებს სამართალდარღვევათა შესახებ და უგზავნის მათ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს ან საზოგადოებრივ ორგანიზაციებს;

ე) ანგარიშს აბარებს წელიწადში ერთხელ მაინც თავისი მუშაობის შესახებ რაზმეულებს და რაზმეულის მუშაობის შესახებ—საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა შესაბამის კოლექტივებს, აგრეთვე მშრომელთა დებუტატების შესაბამის საბჭოს და მის აღმასრულებელ კომიტეტს;

ვ) შუამდგომლობს საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელთა, აგრეთვე საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წინაშე იმის შე-

სახებ, რომ წაახალისონ ის რაზმელები, რომლებმაც ყველაზე უფრო გამოიჩინეს თავი.

27. რაზმეულების რაიონული, საქალაქო, სასოფლო, სადაბო შტაბი:

ა) ახორციელებს საორგანიზაციო მუშაობას რაზმეულების შესაქმნელად და მათი საქმიანობის გასაუმჯობესებლად;

ბ) გეგმავს ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულების მუშაობას, შეიმუშავებს ღონისძიებებს რაზმეულების ურთიერთმოქმედებისათვის, ანაწილებს რაზმეულთა ძალებს ტერიტორიისა და მათი საქმიანობის მიმართულებათა მიხედვით, აწყობს რაზმეულების ხელმძღვანელთა სწავლებას;

გ) ამოწმებს რაზმეულების საქმიანობას. იღებს ზომებს გამოვლინებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად, განაზოგადებს და ავრცელებს მუშაობის დადებითს გამოცდილებას;

დ) მონაწილეობს სამართალდარღვევის თავიდან აცილების ღონისძიებათა შემუშავებასა და განხორციელებაში, შეაქვს ამ მიზნით სახელმწიფო ორგანოებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში წინადადებანი სამართალდარღვევის მიზეზებისა და მათი ჩადენისათვის ხელშემწყობი პირობების აღმოფხვრას შესახებ;

ე) შუამდგომლობს საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელთა, აგრეთვე საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წინაშე იმის შესახებ, რომ წაახალისონ ის რაზმელები, რომლებმაც ყველაზე უფრო გამოიჩინეს თავი;

ვ) აწყობს რაზმელთა დათვალიერებებსა და შეკრებებს;

ზ) ანგარიშს აბარებს რაზმეულის შტაბის მუშაობის შესახებ მშრომელთა დებუტატების შესაბამის რაიონულ, საქალაქო, სასოფლო, სადაბო საბჭოს და მის აღმასრულებელ კომიტეტს.

28. ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულების რესპუბლიკური, საოლქო შტაბი:

ა) განაზოგადებს და ავრცელებს რაიონული, საქალაქო, სადაბო, სასოფლო შტაბებისა და ცალკეული რაზმეულების საქმიანობის დადებითს გამოცდილებას, უწყევს მათ საჭირო მეთოდოლოგიურ დახმარებას მუშაობაში;

ბ) ამოწმებს რაზმეულთა შტაბების მუშაობას და იღებს ზომებს გამოვლინებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად;

გ) ატარებს რაზმელთა საოლქო, რესპუბლიკურ შეკრებებს, აწყობს რაზმეულთა რაიონული, საქალაქო შტაბების ხელმძღვანელთა სწავლებას;

დ) შეაქვს შესაბამის სახელმწიფო ორგანოებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში წინადადებანი საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისა და სამართალდარღვევებთან ბრძოლის საკითხებზე;

ე) ანგარიშს აბარებს რაზმეულთა შტაბის მუშაობის შესახებ ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს, მშრომელთა დებუტატების საოლქო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს.

**VII. შინაგან საქმეთა, პროკურატურის, იუსტიციის ორგანოებსა და სასამართლოების ურთიერთმოქმედება ნებაყოფლობითს სახალხო რაზმეულებთან**

29. შინაგან საქმეთა, პროკურატურის, იუსტიციის ორგანოები და სასამართლოები ყოველმხრივ ხელს უწყობენ და მხარს უჭერენ ნებაყოფლობითს სახალხო რაზმეულებს მათთვის დაკისრებული ამოცანების შესრულებაში, აძლევენ სახალხო რაზმეულთა მეთაურებსა და შტაბების უფროსებს რაზმეულთა საქმიანობისათვის საჭირო ინფორმაციას სამართალდარღვევათა შესახებ, აწყობენ მუშაობას რაზმეულთა სამართლებრივი აღზრდისათვის, ეხმარებიან მეთოდოლოგიური დამხმარე სახელმძღვანელოებითა და იურიდიულ-საცნობარო ლიტერატურით უზრუნველყოფაში, მონაწილეობენ რაზმეულთა საერთო კრებების, დათვალიერებების, შეკრებების მუშაობაში, რაზმეულთა შტაბების სწლომეგში.

30. შინაგან საქმეთა ორგანოები უზრუნველყოფენ ყოველდღიურ ურთიერთმოქმედებას ნებაყოფლობითს სახალხო რაზმეულებთან, საჭირო შემთხვევებში ინსტრუქტაჟს უწევენ რაზმეულებს, ასწავლიან მათ სამართალდარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლის ფორმებსა და მეთოდებს, უწევენ მეთოდოლოგიურ დახმარებას რაზმეულებს მათი მუშაობის დაგეგმვასა და აღრიცხვაში, ახორციელებენ რაზმეულთა შტაბებთან შეთანხმებით ერთობლივ ღონისძიებებს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისა და სამართალდარღვევათა თავიდან აცილებისათვის. ასეთ ღონისძიებათა განხორციელების დროს რაზმეულთა მუშაობას ოპერატიულ ხელმძღვანელობას უწევენ შინაგან საქმეთა ორგანოების შესაბამისი თანამდებობის პირნი.

**VIII. წახალისებისა და სასჯელის ზომები**

31. სახალხო რაზმეულებს, რომლებიც აქტიურად მონაწილეობენ სამართალდარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლაში, წახალისებენ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები და შესაბამისი სახელმწიფო ორგანოები, დაწესებულებები, საწარმოები და საზოგადოებრივი ორგანიზაციები მათი კომპეტენციის ფარგლებში შემდეგი გზით:

გამოუცხადებენ მაღლობას;

დააჯილდოებენ საპატიო სიგელით;

შეიტანენ საპატიო წიგნში;

შეიტანენ საპატიო დაფაზე;

მისცემენ საჩუქარს ან ფულად პრემიას;

დააჯილდოებენ სამკერდე ნიშნით „წარჩინებული რაზმელი“;

მისცემენ დამატებით ფასიან შევებულებას სამ დღემდე ვადით;

მისცემენ უპირატეს უფლებას საცხოვრებელი ფართობის მისაღებად;

მისცემენ სანატორიუმის ან დასასვენებელი სახლის შედგავითიან საგზურს.

თავისი საზოგადოებრივი მოვალეობის შესრულებაში განსაკუთრებული

დამსახურებისა და ამასთან გამოჩენილი მამაცობისა და გმირობისათვის სახალხო რაზმელები მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად წარდგენილ იქნებიან სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დასაჯილდობლად.

დამატებითი ფასიანი შევებულება, საცხოვრებელი ფართობის მიღების უპირატესი უფლება, სანატორიუმის ან დასასვენებელი სახლის შეღავათიანი საგზურები ყველაზე წარჩინებულ სახალხო რაზმელებს ეძლევათ რაზმელთა შტაბების (მეთაურების) დასაბუთებული შუამდგომლობით, რაც შეთანხმებულია სახალხო რაზმეულების რაიონულ, საქალაქო შტაბთან. ამასთან მხედველობაში მიიღება სამორიგეოდ რაზმელის გასვლის რაოდენობა და ხანგრძლივობა, სამართალდარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლაში მისი მუშაობის კონკრეტული შედეგები, აგრეთვე რაზმელის შრომითი მაჩვენებლები და პირადი საქციელი.

რაზმელებს ფულადი პრემია ან საჩუქარი მიეცემათ საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა კოლექტივების პრემირებისათვის გათვალისწინებული სახსრების ხარჯზე.

32. რაზმელთა წახალისება ცხადდება საზეიმო ვითარებაში რაზმელთა კრებებზე, შეკრებებზე, საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა კოლექტივების კრებებზე.

33. სახალხო რაზმეულს, რომელმაც საუკეთესო შედეგები მოიპოვა მუშაობაში, მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი აჯილდოებს გარდამავალი წითელი დროშით, ვიმპლით ან საპატიო სიგელით.

34. რაზმელებს, რომლებიც კეთილსინდისიერად არ ეკიდებიან თავიანთ მოვალეობათა შესრულებას, რაზმეულის საერთო კრების ან შტაბის გადაწყვეტილებით შეიძლება დაედოთ შემდეგი სასჯელი:

გაფრთხილება;

საყვედური;

სასტიკი საყვედური;

რაზმეულიდან გარიცხვა.

რაზმეულიდან რაზმელის გარიცხვას აცნობებენ საზოგადოებრივ ორგანიზაციას, რომელმაც რეკომენდაცია მისცა მას.

### IX. ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულების მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა

35. საწარმოები, დაწესებულებები და ორგანიზაციები უზრუნველყოფენ ამ საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ნებაყოფლობითს სახალხო რაზმეულებს საჭირო სადგომებით, სატელეფონო კავშირით, ავეჯითა და ინვენტარით.

ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულების რესპუბლიკურ, საოლქო, რაიონულ, საქალაქო, სასოფლო, სადაბო შტაბებს, მიკრორაიონებისა და დასახლე-

ბული პუნქტების რაზმეულთა შტაბებს, გაერთიანებულ ოპერატიულ რაზმებს, აგრეთვე სახალხო რაზმეულთა კომკავშირულ ოპერატიულ რაზმებს სამსახურებრივი სადგომებით, სატელეფონო კავშირითა და ინვენტარით უზრუნველყოფენ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების შესაბამისი აღმასრულებელი კომიტეტები.

36. საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულების სამსახურებრივი სადგომების შენახვის, ავეჯის, ინვენტარის, სპეციალური ლიტერატურის, დამხმარე თვალსაჩინოებათა, რაზმელის მოწმობათა ბლანკების, სამკერდე ნიშნებისა და სამკლაურების შექმნის ხარჯები, აგრეთვე რაზმეულთა საქმიანობის უზრუნველყოფისათვის საჭირო სატელეფონო, საფოსტო და სხვა ხარჯები გაიღება შესაბამისი საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა სახსრებიდან.

ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულების რესპუბლიკური, საოლქო, რაიონული, საქალაქო, სასოფლო, სადაბო შტაბებისათვის, მიკრორაიონებისა და დასახლებული პუნქტების რაზმეულთა შტაბებისათვის, გაერთიანებული ოპერატიული რაზმებისათვის, აგრეთვე სახალხო რაზმეულთა კომკავშირული ოპერატიული რაზმებისათვის აღნიშნული ხარჯები გაიღება მშრომელთა დეპუტატების შესაბამისი საბჭოების ბიუჯეტების ასიგნებებიდან.

37. საწარმოთა, დაწესებულებათა, ორგანიზაციათა ხელმძღვანელები, მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები საჭიროების შემთხვევაში გამოუყოფენ ნებაყოფლობითს სახალხო რაზმეულებსა და რაზმეულთა შტაბებს მორიგეობის პერიოდში სატრანსპორტო საშუალებებს.

38. შინაგან საქმეთა ორგანოებს საჭირო შემთხვევებში შეუძლიათ მისცენ ნებაყოფლობითს სახალხო რაზმეულთა შტაბებს მორიგეობის პერიოდში მობილური რადიოსაშუალებანი და სხვა ტექნიკური საშუალებანი საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ განსაზღვრული წესით.

#### **X. ზედამხედველობა სოციალისტური კანონიერების დაცვისადმი**

39. ზედამხედველობას ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულების საქმიანობაში კანონთა ზუსტად შესრულებისადმი ახორციელებენ პროკურატურის ორგანოები სსრ კავშირში საპროკურორო ზედამხედველობის დებულების შესაბამისად.



საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტისა  
და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს  
1974 წლის 30 ივლისის № 453 დადგენილ-  
ებით დამტკიცებული საზოგადოებრივი წეს-  
რიგის დაცვის ნებაყოფლობითი სახალხო  
რაზმეულების დებულების დანართი

## საზეიმო დაპირება

საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ნებაყოფლობითი სახალხო  
რაზმეულის წევრისა

მე, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მოქალაქე, ნება-  
ყოფლობითი სახალხო რაზმეულის წევრი რომ ვხდები, ჩემი ამხანაგების წი-  
ნაშე ვიდრევი საზეიმო დაპირებას: ვიყო მამაცი, ფხიზელი და დისციპლინი-  
ანი რაზმელი, შეურიგებლად ვებრძოლო საზოგადოებრივი წესრიგის დარღვე-  
ვებსა და სამართალდარღვევებს, მტკიცედ დავიცვა სოციალისტური კანონიე-  
რება, ვიყო სანიმუშო შრომისა და ყოფა-ცხოვრებაში.

პირობას ვდებ პატიოსნად და კეთილსინდისიერად შევასრულო ჩემთვის  
დაკისრებული ყველა მოვალეობა, თავდადებით დავიცვა მოქალაქეთა უფლე-  
ბანი და კანონიერი ინტერესები, ვიდრე საბჭოთა საზოგადოების ინტერესთა  
საგუშაგოზე, მთელი ჩემი საქმიანობით ვიყო ჩემი ხალხის, სოციალისტური  
სამშობლოსა და კომუნისტური მშენებლობის საქმის უანგაროდ ერთგული.



### საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოსა და საქართველოს ალკვ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება

**53** საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოსა და საქართველოს ალკვ ცენტრალური კომიტეტის დადგენილი გარდამავალი წითელი დროვის დაწესების შესახებ

„1974 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის ვადამდე შესრულებისათვის საქართველოს მრეწველობის, მშენებლობისა და ტრანსპორტის მუშაკთა სოციალისტური შეჯიბრების შესახებ“ საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოსა და საქართველოს ალკვ ცენტრალური კომიტეტის 1974 წლის 31 იანვრის № 100 დადგენილების დამატებით საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭო და საქართველოს ალკვ ცენტრალური კომიტეტი ადგენენ:

დაწესდეს დამატებით საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოსა და საქართველოს ალკვ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა დიპლომითა და ფულადი პრემიით თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის „ინჟმშენის“ ტრესტისათვის.

- |   |  |                                    |   |
|---|--|------------------------------------|---|
| საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტის მდივანი | საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე | საქართველოს პროფსაბჭოს თავმჯდომარე | საქართველოს ალკვ ცენტრალური კომიტეტის მდივანი |
| ა. შავარდნაძე.                              | ბ. ჯავახიშვილი. თ. მოსაშვილი.                |                                    | მ. შარბაძე.                                   |

ქ. თბილისი, 1974 წ. 30 ივლისი, № 479.

### საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილება

**54** საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოებისათვის თანრიგების მიკუთვნების წესის შეცვლის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავს, რომ, როგორც საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ფასების სახელმწიფო კომიტეტის მიერ მოწყობილმა შემოწმებებმა ცხადყვეს, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოებისათვის მაღალი თანრიგების მიკუთვნება ხდებოდა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1971 წლის 21 ოქტომბრის № 528 დადგენილებით.



ბის დარღვევით, მოსახლეობის მომსახურების ხარისხისა და კულტურის განვითარების უზრუნველყოფისათვის საჭირო ორგანიზაციულ-ტექნიკურ ღონისძიებებთან განუხორციელებლად. მაღალ ჯანრიგებში საწარმოთა დაუსაბუთებელი გადაყვანის შედეგად დაშვებულია მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების ფასებისა და ტარიფების უკანონოდ გადიდება.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1971 წლის 21 ოქტომბრის № 528 დადგენილების ნაწილობრივ შესაცვლელად ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

— აღნიშნული დადგენილების მე-4 პუნქტის პირველი აბზაცი:

„4. დაწესდეს, რომ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების ახალი (საექსპლუატაციოდ გადასაცემი) და მოქმედი საწარმოებისათვის თანრიგების მიკუთვნება, აგრეთვე მათი გადაყვანა უფრო მაღალ (ან უფრო დაბალ) თანრიგებში სათანადო ფასებისა და ტარიფების შეფარდების უფლებით ხდება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ნებართვით.

წინადადებებს ამ საკითხზე საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტრო წარმოადგენს საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურ საბჭოსთან შეთანხმებით“;

— აღნიშნული დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოებისათვის თანრიგების მიკუთვნების წესების მე-2 პუნქტის პირველი აბზაცი:

„2. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1971 წლის 21 ოქტომბრის № 528 დადგენილების შესაბამისად მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების ახალი (საექსპლუატაციოდ გადასაცემი) და მოქმედი საწარმოებისათვის თანრიგების მიკუთვნება, აგრეთვე მათი გადაყვანა უფრო მაღალ (ან უფრო დაბალ) თანრიგებში სათანადო ფასებისა და ტარიფების შეფარდების უფლებით ხდება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ნებართვით“.

2. დაველოს საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს:

— ორი თვის ვადაში ჩაატაროს საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოთა ხელახალი ატესტაცია ამ საწარმოებისათვის განსაზღვრული თანრიგების მიკუთვნების წესების ზუსტი შესაბამისობით;

— შეიტანოს შესაბამისი ცვლილებანი დარგობრივ დებულებებში მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოებისათვის სათანადო თანრიგების მიკუთვნების წესისა და ძირითადი პირობების შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს

თავმჯდომარე **ბ. ჯაფარიძე**.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს

საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი**.

## 55 „გადასახლება-დასახლების შეღავათების შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 20 აპრილის № 514 დადგენილების დამატების თაობაზე

„გადასახლება-დასახლების შეღავათების შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 31 მაისის № 364 დადგენილების შესაბამისად და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 20 აპრილის № 514 დადგენილების დამატებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შრომითი რესურსების გამოყენების სახელმწიფო კომიტეტმა აუნაზღაუროს სახელმწიფოს ხარჯზე რესპუბლიკის შიგნით უტყეო რაიონებში გადასახლებულ ოჯახებს რკინიგზის, წყლისა და საავტომობილო ტრანსპორტით ხე-ტყის მასალისა და სახლის ძეგურების (ოჯახზე 40 კუბურ მეტრამდე) გადაზიდვის ღირებულება მოქმედი ტარიფების მიხედვით.

ხე-ტყის მასალისა და სახლების გადასაზიდად შეღავათების მიცემასთან დაკავშირებული ხარჯები გაღებულ იქნეს რესპუბლიკის ბიუჯეტით გადასახლება-დასახლების ღონისძიებებისათვის გამოყოფილ ასიგნებათა ფარგლებში.

2. დაევალოთ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შრომითი რესურსების გამოყენების სახელმწიფო კომიტეტსა და გადასახლებულთა გასვლის ადგილების მშრომელთა დებუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებს:

— გაგზავნონ ჩასახლების ადგილებში გადასახლებულთა ოჯახების უფროსები ან შრომისუნარიანი წევრები საეზოე ნაგებობებიანი საცხოვრებელი სახლების მშენებლობაში და ოჯახის დანარჩენ წევრთა ჩასვლამდე ახალ ადგილზე თავიანთი მეურნეობის მოწყობაში მონაწილეობის მისაღებად; მისცენ აღნიშნულ შემთხვევებში ოჯახების უფროსებს ან შრომისუნარიან წევრებს გასვლის ადგილებიდან გამგზავრებისას დღეურები 1 მანეთის ოდენობით დღე-ღამეში ერთი მიმართულებით გზაში ყოფნის დროის განმავლობაში და მათი კუთვნილი ფულადი დახმარების 50 პროცენტი, აგრეთვე აანაზღაუროს სახელმწიფოს ხარჯზე გასვლის ადგილიდან ჩასახლების ადგილამდე და უკან მგზავრობის ღირებულება.

3. ნება დაერთოთ მშრომელთა დებუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებს ჩამოაწერონ გადასახლებულებს სასოფლო-სამეურნეო გადასახადის (სოფლის მეურნეობისაგან მიღებული შემოსავლის მიხედვით გადასახდელი საშემოსავლო გადასახადის) ნარჩენები და კოლმეურნეობებს, რომლებიდანაც სახლდებიან კოლმეურნეები (გადასახლებული ოჯახების რაოდენობის მიხედვით), — საშემოსავლო გადასახადის ნარჩენები.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს  
 თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს  
 საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

# 56 საქართველოს სსრ კოლმეურნეობაში შრომის ანაზღაურების რეკომენდაციების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. მიღებულ იქნეს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს წინადადება, რომელიც შეთანხმებულია საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 29 ივნისის № 376 დადგენილებით დამტკიცებულ „კოლმეურნეობებში შრომის ანაზღაურების რეკომენდაციებში“ დამატებებისა და ცვლილებების შეტანის შესახებ დანართის მიხედვით.

2. რჩევა მიეცეთ რესპუბლიკის კოლმეურნეობებს განიხილონ კოლმეურნეთა საერთო კრებებზე (რწმუნებულთა კრებებზე) საკითხი შრომის ანაზღაურების რეკომენდაციებში ამ ცვლილებებისა და დამატებათა შეტანის შესახებ და შეიტანონ შესაბამისი ცვლილებები თავიანთ დებულებაში.

3. დაევალოს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქისა და რაიონების (ქალაქების) მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს გაუწიონ საჭირო დახმარება კოლმეურნეობებს კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურების დებულებაში ამ დადგენილებით დამტკიცებული რეკომენდაციების გათვალისწინებისა და მათი განხორციელების საქმეში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს

თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს

საქმეთა მმართველი **წ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1974 წ. 10 ივლისი, № 379

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს  
 1974 წლის 10 ივლისის № 379  
 დადგენილების დანართი

საქართველოს სსრ კოლმეურნეობებში შრომის ანაზღაურების რეკომენდაციებში დამატებებისა და ცვლილებების შეტანის შესახებ

1. სიმინდის, ლობიოსა და სოიის მოსავლიანობისა და წარმოების გეგმების შესრულებისათვის კოლმეურნეებს მიეცემათ შრომის დამატებითი ანაზღაურების (პრემიის) სახით გეგმით გათვალისწინებული პროდუქციის 10-15 პროცენტი იმ პირობით, თუ აღნიშნული კულტურების მოსავლიანობის გეგმა უკანასკნელი 4-5 წლის ფაქტიურ საშუალო მოსავლიანობაზე მეტია სულ ცოტა 15-20 პროცენტით. ამ კულტურების მოსავლიანობის გეგმის გადაჭარბებისათვის კოლმეურნეებს მიეცემათ გეგმის გადამეტებით მიღებული პროდუქციის 50 პროცენტი ნატურით ან ფულად (სახელმწიფო შესყიდვის ფასების მიხედვით).

2. კარტოფილისა და ბოსტნეულის მოსავლიანობისა და წარმოების გეგმის შესრულებისათვის კოლმეურნეებს მიეცემათ შრომის დამატებითი ანაზღაურ-



რების (პრემიის) სახით გეგმით გათვალისწინებული პროდუქციის 5-10 პროცენტი იმ პირობით, თუ მოსავლიანობის გეგმა 15-20 პროცენტით აღემატება უკანასკნელი 4-5 წლის ფაქტიურ საშუალო მოსავლიანობას თუ კოლმეურნეობამ შეასრულა კარტოფილისა და ბოსტნეულის სახელმწიფო შესყიდვის გეგმები და საჭირო რაოდენობით გამოყო თესლი. ამ კულტურების მოსავლიანობის გეგმის გადაჭარბებისათვის კოლმეურნეებს მიეცემათ შრომის დამატებითი ანაზღაურების (პრემიის) სახით გეგმის გადამეტებით მიღებული პროდუქციის 50 პროცენტი ნატურით ან ფულად (სახელმწიფო შესყიდვის ფასების მიხედვით).

3. ტიმოთელას, იონჯის, სამყურასა და სხვა მრავალწლიანი და ერთწლიანი ბალახების თესლის მოსავლიანობის გეგმის შესრულებისათვის კოლმეურნეებს დამატებით მიეცემათ ამ კულტურების თესლის წარმოებაზე გაწეული შრომის ძირითადი ანაზღაურების თანხის 5-10 პროცენტი, ხოლო მოსავლიანობის გეგმის გადაჭარბებისათვის — გეგმის გადამეტებით მიღებული პროდუქციის ღირებულების 50 პროცენტი.

4. ბუნებრივი სათიბების თივის აღებაზე ზომუშავე კოლმეურნეებს მიეცემათ მიღებული თივის 10-15 პროცენტი.

5. ხილისა და ციტრუსების ნაყოფის მოსავლიანობის გეგმის გადაჭარბებისათვის კოლმეურნეებს მიეცემათ გეგმის გადამეტებით მიღებული პროდუქციის ღირებულების 50 პროცენტი სახელმწიფო შესყიდვის ფასებით. გარდა ამისა, პირველი და მეორე ხარისხის ხილის ყოველ მოკრეფელ კილოგრამზე დამატებით მიეცემათ 2 კაპიკი.

6. მრავალწლიანი ნარგავების სტანდარტული საძირისა და ნერგის წარმოების გეგმის შესრულებისათვის კოლმეურნეებს დამატებით მიეცემათ ამისათვის გაცემული ძირითადი ანაზღაურების თანხის 5-10 პროცენტი, ხოლო საძირისა და ნერგის წარმოების გეგმის გადაჭარბებისათვის — გეგმის გადამეტებით მიღებული პროდუქციის ღირებულების 50 პროცენტი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს

საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

**57** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1972 წლის 26 სექტემბრის № 499 დადგენილებიდან და 1973 წლის 20 სექტემბრის № 696 განკარგულების ნაწილობრივ შეცვლის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

ბუნებრივად ნახევრად ტკბილი და ზოგიერთი უნიკალური ღვინის წარმოებისათვის ვარგისი ყურძნის ჯიშების შესასყიდი ფასების მოწესრიგების მიზნით ნაწილობრივ შეიცვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1972 წლის 26 სექტემბრის № 499 დადგენილების პირველი პუნქტი და ჩამოყალიბდეს იგი შემდეგი რედაქციით:

1. დამტკიცდეს 1974 წლის მოსავლიდან ბუნებრივად ნახევრად ტკბილი და ზოგიერთი უნიკალური ღვინის წარმოებისათვის ვარგისი ყურძნის საბაზისო შაქრიანობა და შესასყიდი ფასები:

ჯიშების დასახელება	საბაზისო შაქრიანობა (პროცენტობით)	შესასყიდი ფასები (მანეთობით ტონაში)
<b>1. საფერავი</b>		
ნახევრად ტკბილი ღვინისათვის (ყვარლისა და გურჯაანის რაიონების, ქიმშიარაულისა და მუკუხნის ქარხნების ზონებში)	23	1000
სუფრის ღვინისათვის	19	520
<b>2. ალექსანდროული და მუჭურეთული</b>		
ნახევრად ტკბილი ღვინისათვის	23	1200
სუფრის ღვინისათვის	19	630
<b>3. ოჯალეში</b>		
ნახევრად ტკბილი ღვინისათვის	21	1100
სუფრის ღვინისათვის	19	540
<b>4. ჩხავერი</b>		
ნახევრად ტკბილი ღვინისათვის	22	1100
სუფრის ღვინისათვის	19	610
<b>5. უსახელაური</b>		
ნახევრად ტკბილი ღვინისათვის	23	1200
სუფრის ღვინისათვის	19	700
<b>6. ალადასტური</b>		
ნახევრად ტკბილი ღვინისათვის	23	1200
სუფრის ღვინისათვის	19	700
<b>7. ცოლიკაური</b>		
ნახევრად ტკბილი ღვინისათვის (ცაგერის, გავრისა და გუდაუთის რაიონებში)	22	490
სუფრის ღვინისათვის	19	410
<b>8. ხიხვი</b>		
სადესერტო ღვინისათვის	23	1100
სუფრის ღვინისათვის	20	640
<b>9. კაბერნე</b>		
სამჭკო ღვინისათვის (თელავის რაიონში)	20	1000
სუფრის ღვინისათვის	19	600
<b>10. პინო</b>		
შამპანური ღვინისათვის	17	1000
მშრალი ღვინისათვის	16	620

ყურძენს, რომელიც თავისი კონდიციით დააკმაყოფილებს ნახევრად ტკბილი უნიკალური ღვინის წარმოების მოთხოვნებს, დაუწესდეს საბაზისო შაქრიანობის მინიმალური ზღვარი: საფერავს, ალექსანდროულს, მუჯურეთულს, უსახელაურსა და ალადსტურს — 22 პროცენტი, ჩხავერს — 21 პროცენტი. ჩამოთვლილ ყურძენზე შაქრიანობისათვის ფასდამატება და ფასდაკლება მინიმალურ ზღვრამდე მოხდეს დადგენილებით დამტკიცებული საბაზისო შაქრიანობიდან.

ყურძენი, რომლის შაქრიანობაც საბაზისო კონდიციაზე და მის მინიმალურ ზღვარზე (22 და 21 პროცენტზე) დაბალია, გამოყენებული იქნება სუფერისა და მშრალი ღვინოების დასამზადებლად, ხოლო მისი ღირებულების ანაზღაურება მოხდეს ამავე ყურძნისათვის დამტკიცებული საბაზისო შაქრიანობიდან, ფასდამატებისა და ფასდაკლების გათვალისწინებით, მოქმედი დებულების თანახმად.

მკაცრად იქნეს გაფრთხილებული ნახევრად ტკბილი და ზოგიერთი უნიკალური ღვინის მომცემი ყურძნის მწარმოებელი რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომები, სოფლის მეურნეობის სამმართველოება, კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები და ინდივიდუალური ჩამბარებლები, რომ ნახევრად ტკბილი და ზოგიერთი უნიკალური ღვინის მომცემი ყურძნის კრეფა და მისი სახელმწიფოსათვის ჩამბარება აწარმოონ მხოლოდ შაქრიანობის ზღვრულ კონდიციამდე მიღწევის შემდეგ.

სხვადასხვა ფერის ყურძნის ერთმანეთში შერევის დროს ასანაზღაურებელი ფასი გაიცეს როგორც დანარჩენი ტექნიკური ჯიშებისათვის.

ერთნაირი ფერის, მაგრამ სხვადასხვა ფასის მქონე ყურძნის ჯიშების ერთმანეთში შერევის დროს, ანაზღაურება გაიცეს იმ ჯიშის მიხედვით, რომელსაც შესასყიდი ფასი ნაკლები აქვს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 20 სექტემბრის № 967 განკარგულებით დამტკიცებული 16 პროცენტი საბაზისო შაქრიანობის იზაბელას ჯიშის ყურძნის შესასყიდი ფასი ერთი კილოგრამი 40 კაპიკად გავრცელდეს მხოლოდ ამ ჯიშის წითელ ყურძენზე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს  
თავმჯდომარის მოადგილე შ. კიკნაძე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს  
საქმეთა მმართველი ზ. ახვლედიანი.

**58** სამინისტროების, უწყებებისა და ორგანიზაციების მიერ საქართველოს სსრ სახალხო მუშრნეობის ობიექტებზე დაცვითი, სახანძრო-დაცვითი სიგნალიზაციის ტექნიკურ საშუალებათა და ავტომატურ ხანძარსაჭრობ სისტემათა მოწყობის, ექსპლუატაციისა და რემონტის წესის დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ წარმოდგენილი და საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან და საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებული დებულება სამინისტროების, უწყებებისა და ორგანიზაციების მიერ საქართველოს სსრ სახალხო მუშრნეობის ობიექტებზე დაცვითი, სახანძრო-დაცვითი სიგნალიზაციის ტექნიკურ საშუალებათა და ავტომატურ ხანძარსაჭრობ სისტემათა მოწყობის, ექსპლუატაციისა და რემონტის წესის შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს  
თავმჯდომარე ბ. ჯანაშიაძე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს  
საქმეთა მმართველი ზ. ახვლედიანი.

ქ. თბილისი, 1974 წ. 12 ივლისი, № 387

და მ ტ კ ი ც მ ბ უ ლ ი ა  
 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს  
 1974 წლის 12 ივლისის № 387  
 დადგენილებით

## დ ე ბ უ ლ ე ბ ა

სამინისტროების, უწყებებისა და ორგანიზაციების მიერ საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის ობიექტებზე დაცვითი, სახანძრო-დაცვითი სიგნალიზაციის ტექნიკური საშუალებათა და ავტომატურ ხანძარსაქრობ სისტემათა მოწყობის, ექსპლუატაციისა და რემონტის წესის შესახებ

1. მოსამზადებელ სამუშაოთა განხორციელება ობიექტების ტექნიკური განმტკიცებისათვის და დაცვითი, სახანძრო-დაცვითი სიგნალიზაციის საშუალებათა და ავტომატურ ხანძარსაქრობ სისტემათა დანერგვის წლიური გეგმების შედგენა

1. სახალხო მეურნეობის ობიექტებზე დაცვითი, სახანძრო-დაცვითი სიგნალიზაციის საშუალებათა და ავტომატურ ხანძარსაქრობ სისტემათა\*) დანერგვის ღონისძიებითა განხორციელების უზრუნველსაყოფად სამინისტროთა და უწყებათა ხელმძღვანელებმა საჭიროა განსაზღვრონ პასუხისმგებელი პირნი ხელმძღვანელ მუშაკთა და უშუალო შემსრულებელთაგან, რომელთაც დააკისრონ კონტროლის ორგანიზაცია სიგნალიზაციის დანერგვისადმი და სამუშაოთა განხორციელება ობიექტების ტექნიკური განმტკიცებისათვის. პასუხისმგებელი პირები დამტკიცებულ უნდა იქნენ შესაბამისი ბრძანებით.

2. სიგნალიზაციის საშუალებებით ობიექტების მოწყობისა და ტექნიკური განმტკიცების სამუშაოთა განხორციელების საჭიროებას განსაზღვრავენ სამინისტროთა და უწყებათა საქვეუწყებო ორგანიზაციები საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს არასაუწყებო დაცვის სამმართველოსა და სახანძრო დაცვის სამმართველოს შესაბამის ადგილობრივ ორგანოებთან შეთანხმებით ობიექტების საკომისიო გამოკვლევის შემდეგ.

3. ობიექტების ტექნიკური მდგომარეობის საკომისიო გამოკვლევის შედეგები ფორმდება № 1 დანართის თანახმად გათვალისწინებული ფორმის მიხედვით შედგენილი აქტებით.

აქტებში შეიტანება წინადადებანი იმის შესახებ, რომ საჭიროა ობიექტების ტექნიკური განმტკიცება არასაიმედო ადგილების დაცვისა და სიგნალიზაციის საშუალებებით მათი მოწყობის მიზნით, აღინიშნება, თუ ეს საჭიროა. კერის, იატაკის, საძრომების ტამბურების, კარების რემონტის ჩატარება, საკეტების გაძლიერება, ფანჯრებზე გისოსების ან დარაბების დაყენება, გარე (მორიგე) განათების გაყვანა.

საკომისიო გამოკვლევის შემდეგ საქვეუწყებო ორგანიზაციები ადგენენ სიგნალიზაციის საშუალებებით მოსაწყობი ობიექტების ნუსხას.

\*) დაცვითი, სახანძრო-დაცვითი სიგნალიზაცია და ავტომატური ხანძარსაქრობი სისტემა სიმოკლისათვის შემდგომ მოხსენიებული იქნება სიგნალიზაციად, თუ ეს დასახელებანი ცალკე არ არის მოყვანილი.

4. სიგნალიზაციის საშუალებებით მოსაწყობი ობიექტები უნდა შეზღუდონ შემდეგ ზოგად ტექნიკურ მოთხოვნებს:

ა) უნდა ვარგოდნენ სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა შესანახად და მალაზიებად, საწყობებად, საამქროებად, დამხმარე სადგომებად და ა. შ. გამოსაყენებლად (კედლების, კერის, იატაკის, სახურავის, საძრომების, კარების, ტამბურების, ღუმელის ძვიდეების, საკვამლე მილების მდგომარეობისა და სხვა მონაცემების მიხედვით);

ბ) ჰქონდეთ ტექნიკური პირობებისა და სტანდარტების მოთხოვნათა შესაბამისი საიმედო ჩამკეტი მოწყობილობანი (კარ-ფანჯრების ანჯამებისა და ურდულების, კარ-ფანჯრების ზესადებისა და კაუჩების, ფანჯრის დარაბების მდგომარეობისა და კარის საკეტების საიმედოობის მიხედვით);

გ) ჰქონდეთ ფანჯრის ლითონის გისოსები ობიექტის ზურგითა და გვერდითა მხარეებზე (შიგა ფანჯრების გარდა), ასევე გისოსები საკვამლე მილების ძვიდეებში;

დ) ლირსოვან კარებზე აკრული უნდა იყოს ფურცლოვანი რკინა;

ე) სახურავის სამერცხულები მჭიდროდ უნდა იყოს დახურული კარით და საიმედოდ ჩაკეტილი;

ვ) ფანჯრის საგდულები მჭიდროდ უნდა იყოს მორგებული ფანჯრის ჩარჩოებზე, ხოლო კარები — კარის ჩარჩოებზე;

ზ) ჰქონდეთ შესაბამისი გარე განათება.

5. სიგნალიზაციის საშუალებებით მოსაწყობი ობიექტების ნუსხისა და მათი ტექნიკური მდგომარეობის აქტების საფუძველზე სამინისტროთა და უწყებათა საქვეუწყებო ორგანიზაციები ადგენენ სახალხო მეურნეობის ობიექტებზე სიგნალიზაციის დანერგვის გეგმებს, რომლებსაც შემდეგ უთანხმებენ საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს არასაუწყებო დაცვის სამმართველოსა და სახანძრო დაცვის სამმართველოს ადგილობრივ ქვეგანყოფილებს.

აღნიშნული გეგმა ობიექტების ტექნიკური მდგომარეობის ამსახველი აქტის ეგზემპლარებითურთ ეგზავნებათ შესაბამის სამინისტროებსა და უწყებებს კრებისით გეგმებში შესატანად.

რესპუბლიკის სამინისტროები და უწყებები გეგმის დამტკიცების შემდეგ თავიანთ მუშაკთა ძალებით ასრულებენ ობიექტების ტექნიკური განმტკიცებისა და სიგნალიზაციის საშუალებებით მოსაწყობად მათი მომზადების სარემონტო-სამშენებლო სამუშაოებს.

6. საქვეუწყებო ორგანიზაციათა მიერ წარმოდგენილი გეგმებისა და აქტების საფუძველზე სამინისტროები და უწყებები საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს, საპროექტო და სამონტაჟო ორგანიზაციათა წარმომადგენლებთან შეთანხმებით ადგენენ მომავალი წლისათვის რესპუბლიკის საწარმოებსა და ორგანიზაციებში სიგნალიზაციის საშუალებათა დანერგვის კრებისით გეგმას.

გეგმაში უნდა განისაზღვროს:

ა) ობიექტების ნუსხა და სიგნალიზაციის საშუალებათა დაპროექტების, მონტაჟისა და რემონტის, აგრეთვე ამ საშუალებათა მოქმედი სისტემების ტექ-

ნიკური მომსახურების სამუშაოთა მოცულობა, რომელთაც „საკსპეცავტომპ-ტიკის“ ქვედანაყოფები და სხვა სამონტაჟო ორგანიზაციები ასრულებენ;

ბ) სახალხო მეურნეობის ობიექტებზე დამონტაჟებული სიგნალიზაციის საექსპლუატაციო მომსახურების სამუშაოთა მოცულობანი, რომლებიც საქართველოს სსრ სამინისტროთა და უწყებათა საქვეუწყებო ორგანიზაციებში მომუშავე ელექტრიკოსთა ძალებით სრულდება.

გეგმას განიხილავენ და ამტკიცებენ სამინისტროებისა და უწყებების კოლექტივთა სხდომებზე.

## II. სიგნალიზაციის საშუალებებით სახალხო მეურნეობის ობიექტების მოწყობის სამუშაოთა დაფინანსების წყაროები

7. მშენებარე ობიექტების სიგნალიზაციის საშუალებებით მოწყობისა და საპროექტო-საძიებო სამუშაოთა დანახარჯების დაფინანსების წყაროებს წარმოადგენენ ცენტრალიზებული და არაცენტრალიზებული კაპიტალური დაბანდებანი, რომელთა ხარჯზეც მიმდინარეობს ობიექტის მშენებლობა. აღნიშნული სახსრები გათვალისწინებულია ობიექტების მშენებლობის პროექტების კრებსით სახარჯთაღრიცხვო-საფინანსო განაგარიშებაში და უთანხმდება საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს.

8. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 25 ივნისის № 521 დადგენილების შესაბამისად საწარმოებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს ნება დაერთოთ ანაზღაურონ სპეციალიზებული სამონტაჟო ორგანიზაციების მიერ ერთ ობიექტზე 3 ათას მანეთამდე ღირებულების სამუშაოები დაცვითი და სახანძრო-დაცვითი სიგნალიზაციის მოსაწყობად ძირითადი საქმიანობის სახსრების (მიმოქცევის ხარჯები, ზედნადები ხარჯები, კაპიტალური და მიმდინარე რემონტის ხარჯები) ანგარიშში, ბიუჯეტთან ურთიერთობის შეუცვლელად.

9. საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის ობიექტებზე მოქმედი სიგნალიზაციის კაპიტალური რემონტის ხარჯები ფინანსდება კაპიტალური რემონტის დაფინანსების ფონდის სახსრების ანგარიშში.

10. საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს, საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს, აგრეთვე სხვა საიჯარო სამშენებლო ორგანიზაციების მიერ სიგნალიზაციით ობიექტების მოსაწყობად განხორციელებულ სამუშაოთა მოცულობანი და სატიტულო სიები უთანხმდება სსრ კავშირის ზელსაწყობამშენებლობის, ავტომატიზაციის საშუალებათა და მართვის სისტემათა სამინისტროს თბილისის ხანძარსაწინააღმდეგო ავტომატიკისა და დაცვითი სიგნალიზაციის მართვის სისტემათა სპეციალიზებულ სამონტაჟო-გასაწყობ სამმართველოს, ხოლო საჭიროების შემთხვევაში — სხვა სამონტაჟო ორგანიზაციებსაც.

## III. ობიექტების გამოკვლევა სიგნალიზაციის საშუალებებით მათი მოწყობისათვის

11. სახალხო მეურნეობის ობიექტების მოწყობა სიგნალიზაციის საშუალებებით ხდება № 2 დანართის თანახმად გათვალისწინებული ფორმით შედ-

გენილი გამოკვლევის აქტების საფუძველზე, რომლებიც, გარდა ამისა, შეიძლება წარმოადგენდეს საფუძველს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შემუშავების ტექნიკური დავალებისათვის.

12. დაცვითი სიგნალიზაციით ობიექტების შემოფარგვლის პერიმეტრის მოწყობისას, ცენტრალიზებული სამეთვალყურეო პულტებისა და ავტომატური ხანძარსაქრობის სისტემების დადგმისას სამონტაჟო სამუშაოები ხორციელდება მხოლოდ წინასწარ შემუშავებული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის საფუძველზე.

13. სიგნალიზაციით მოსაწყობი ობიექტების გამომკვლევი კომისიის შემადგენლობაში შედიან შემკვეთის (საქართველოს სსრ სამინისტროთა და უწყებათა ობიექტებზე სიგნალიზაციის დანერგვისათვის პასუხისმგებელი პირები), საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს არასაუწყებო დაცვის ქვეგანყოფილების, საქალაქო (რაიონული) ორგანოებისა და სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობის წარმომადგენლები, ხოლო საპროექტის შემთხვევაში — სხვა დაინტერესებულ ორგანიზაციათა წარმომადგენლები.

ობიექტების გამოკვლევის შედეგად დგება აქტი, რომელშიც განისაზღვრება:

სიგნალიზაციის სახეობა (ადგილობრივი სიგნალებთან ავტონომიური სიგნალიზაცია ობიექტის პარამეტრის მიხედვით, ცენტრალიზებული — მართვის პულტებით, ობიექტის ტელეფონების ნუსხის აღნიშვნით, შეთავსებული სახანძრო-დაცვითი სიგნალიზაცია, ავტონომიური სიგნალიზაცია ისეთი ხელსაწყოს დადგმით, რომელიც ქსელში ელექტრომომარაგების უქონლობისას ავტომატურად გადაირთვება მუდმივი დენით ავტონომიურ კვებაზე, და ბინაზე სასიგნალო ხელსაწყოს, ეგრეთ წოდებული „შინაღარაჯის“ დადგმით);

საკონტროლო-მიმღებ ხელსაწყოთა ტიპები და მათი რაოდენობა, ხმოვან და ოპტიკურ სიგნალიზატორთა დაყენების ადგილები, არასაიმედო ადგილების ბლოკირების ადგილი ბლოკირების ხერხების აღნიშვნით.

საიჯარო ორგანიზაციისათვის გამოკვლევის აქტში აღინიშნება, თუ რა დოკუმენტაციის საფუძველზე მიმდინარეობს მუშაობა (1000 მანეთამდე ღირებულებისას გამოკვლევის აქტისა და ტიპობრივ გადაწყვეტილებათა საფუძველზე აღმასრულებელი ხარჯთაღრიცხვის მიხედვით ან 1000 მანეთზე მეტი ღირებულებისას შემუშავებული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მიხედვით).

ობიექტის ადმინისტრაციისათვის აქტში აღინიშნება დამატებითი ღონისძიებანი, რომლებიც უნდა შესრულდეს სამონტაჟო სამუშაოთა დაწყებისათვის (სამუშაოებლო კონსტრუქციების რემონტი, საპროექტო დოკუმენტაციის შეკვეთა და სხვ.) და მათი შესრულების ვადები.

#### IV. სამონტაჟო ორგანიზაციებთან სიგნალიზაციის საპროექტო სამუშაოთა.

მონტაჟისა და კაპიტალური რემონტის მოცულობის შეთანხმებისა და სამინისტროების და უწყებების მიერ მათი დამტკიცების წესი

14. სიგნალიზაციის საშუალებების დანერგვის სამუშაოთა დამტკიცებული გეგმის საფუძველზე სამინისტროები და უწყებები ადგენენ მომავალი წლისა-



თვის საიჯარო სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა მოცულობის შეთანხმების ოქმებს, № 3 დანართის თანახმად.

საიჯარო სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა მოცულობის შეთანხმების ოქმებს ადგენენ სამინისტროები და უწყებები 6 ცალად. ცალკე განისაზღვრება დაცვითი, სახანძრო-დაცვითი სიგნალიზაციის საშუალებათა და ავტომატურ ხანძარსაქრობ სისტემათა მონტაჟისათვის და კაპიტალური რემონტის განხორციელებისათვის საჭირო სახსრები. ოქმებს ხელს აწერენ, ერთი მხრივ, „საკსპეცავტომატიკის“ ადგილობრივი ორგანიზაციის — სსრ კავშირის ხელსაწყოთმშენებლობის, ავტომატიზაციის საშუალებათა და მართვის სისტემათა სამინისტროს თბილისის ხანძარსაწინააღმდეგო ავტომატიკისა და დაცვითი სიგნალიზაციის მართვის სისტემათა სპეციალიზებული სამონტაჟო-გასაწყობი სამმართველოს (ან სხვა სამონტაჟო ორგანიზაციის) წარმომადგენელი, მეორე მხრივ — სამინისტროთა და უწყებათა ხელმძღვანელობა.

საიჯარო სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა შეთანხმების ოქმები დამოწმებული უნდა იყოს სამინისტროთა და უწყებათა და სამონტაჟო ორგანიზაციითა ბეჭდვით.

სამინისტროები და უწყებები ყოველწლიურად 15 მაისამდე გადასცემენ „საკსპეცავტომატიკის“ ადგილობრივ ორგანიზაციებს ან სხვა სამონტაჟო ორგანიზაციებს სიგნალიზაციის მონტაჟისა და კაპიტალური რემონტის საიჯარო სამუშაოთა მოცულობის შეთანხმების მომავალი წლისათვის გაფორმებული ოქმების 4 ეგზემპლარს, რათა აღნიშნული ოქმების 3 ეგზემპლარი გადაუგზავნონ თავიანთ ზემდგომ ორგანიზაციებს.

15. სიგნალიზაციის თაობაზე წარდგენილი განაცხადების (შეთანხმების ოქმები, საიჯარო სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა მოცულობანი და საპროექტო სამუშაოთა შეკვეთები № 4 დანართის თანახმად) საფუძველზე განისაზღვრება მომავალი წლისათვის რესპუბლიკის საწარმოებსა და ორგანიზაციებში სიგნალიზაციის საშუალებათა დაპროექტების, მონტაჟისა და კაპიტალური რემონტის სამუშაოთა მოცულობა.

16. კაპიტალური მშენებლობის გეგმებთან ერთად საქვეუწყებო ორგანიზაციები სამინისტროთა და უწყებათა დაგეგმვის, დაპროექტებისა და კაპიტალური მშენებლობის სამმართველოებს (განყოფილებებს) წარუდგენენ კრებსით განაცხადებს მომავალი წლისათვის (საიჯარო სამუშაოთა მოცულობის შეთანხმების ოქმებისა და საპროექტო სამუშაოთა შეკვეთების ერთი ეგზემპლარით) სახალხო მეურნეობის ობიექტებზე სიგნალიზაციის დაპროექტების, მონტაჟისა და კაპიტალური რემონტის განსახორციელებლად.

სამინისტროთა და უწყებათა დაგეგმვის, დაპროექტებისა და კაპიტალური მშენებლობის სამმართველოები (განყოფილებები) მიღებული განაცხადების საფუძველზე ადგენენ საპროექტო სამუშაოთა, სიგნალიზაციის მონტაჟისა და რემონტის სამუშაოთა მოცულობის კრებსით გეგმებს, რის შემდეგაც წარუდგენენ მათ სსრ კავშირის ხელსაწყოთმშენებლობის, ავტომატიზაციის საშუალებათა და მართვის სისტემათა სამინისტროს კაპიტალური მშენებლობის სამმართველოს, სადაც ფორმდება მომავალი წლისათვის საიჯარო სამუშაოთა

მოცულობის შეთანხმების ოქმები „საკსპეცავტომატიკის“ ორგანიზაციების მიერ შესასრულებლად.

სამინისტროთა და უწყებათა დაგეგმვის, დაპროექტებისა და კაპიტალური მშენებლობის სამმართველოები (განყოფილებები) სახალხო-სამეურნეო გეგმის დამტკიცების შემდეგ აცნობებენ თავიანთ საქვეუწყებო ორგანიზაციებს განაწილებულ და სსრ კავშირის ხელსაწყოთმშენებლობის, ავტომატიზაციის საშუალებათა და მართვის სისტემათა სამინისტროსთან შეთანხმებულ ლიმიტებს რესპუბლიკაში სიგნალიზაციის სპროექტო, სამონტაჟო და სარემონტო სამუშაოთა განსახორციელებლად.

ორგანიზაციები და საწარმოები თავიანთი სამინისტროებიდან და უწყებებიდან მიღებული ლიმიტების შესაბამისად ანაწილებენ სამუშაოებს და უზგავნიან მათ ობიექტების ხელმძღვანელებს, რათა შემდგომ დადონ დადგენილი წესით ხელშეკრულებანი „საკსპეცავტომატიკის“ ადგილობრივ ორგანიზაციასთან ან სხვა სამონტაჟო ორგანიზაციებთან.

V. რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ობიექტებზე სიგნალიზაციის მონტაჟის, კაპიტალური რემონტისა და ტექნიკური მომსახურების თაობაზე სამინისტროებთან და უწყებებთან დადებული ხელშეკრულებებით გათვალისწინებული სამუშაოების სამონტაჟო ორგანიზაციათა მიერ შესრულების წესი

17. სსრ კავშირის ხელსაწყოთმშენებლობის, ავტომატიზაციის საშუალებათა და მართვის სისტემათა სამინისტროს თბილისის ხანძარსაწინააღმდეგო ავტომატიკისა და დაცვითი სიგნალიზაციის მართვის სისტემათა სპეციალიზებული სამონტაჟო-გასაწყოები სამმართველო — „საკსპეცავტომატიკის“ ორგანიზაცია ან სხვა სამონტაჟო ორგანიზაციები უზრუნველყოფენ სიგნალიზაციის დანერგვისა და კაპიტალური რემონტის სამუშაოთა შესრულებას საიჯარო სამუშაოთა დამტკიცებული გეგმის ფარგლებში.

ობიექტების რაოდენობა და სამუშაოთა შესრულების რიგითობა ოქმით უნდა შეთანხმდეს სამონტაჟო ორგანიზაციებსა, სამინისტროებსა, უწყებებსა და საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს შორის.

18. სიგნალიზაციის დაპროექტების სამუშაოებს ახორციელებს „საკსპეცავტომატიკის“ ადგილობრივი სპროექტო ორგანიზაცია პირდაპირი და სუბსაიჯარო ხელშეკრულებათა საფუძველზე.

19. სამონტაჟო-გასაწყოები სამუშაოები და კაპიტალური რემონტი სრულდება პირდაპირი და სუბსაიჯარო ხელშეკრულებების საფუძველზე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 24 დეკემბრის № 973 დადგენილებით დამტკიცებული კაპიტალური მშენებლობის საიჯარო ხელშეკრულებათა წესების და სსრ კავშირის სახმშენისა და სსრ კავშირის სახელმწიფო საგვემო კომიტეტის 1970 წლის 31 ივლისის № 94/81 დადგენილებით დამტკიცებული სუბსაიჯარო ორგანიზაციებთან გენერალური საიჯარო ორგანიზაციების ურთიერთობის დებულების შესაბამისად.

სიგნალიზაციის სისტემათა ტექნიკურ მომსახურებასა და მიმდინარე რემონტს ახორციელებენ „საკსპეცავტომოტივის“ სამონტაჟო-გასაწყო ბრესტების ქარხნები პირდაპირ ხელშეკრულებათა საფუძველზე, ხოლო საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს არასაუწყებო დაცვის მიერ დაცულ ობიექტებზე — არასაუწყებო დაცვის სამმართველო.

20. ობიექტზე დაცვითი და სახანძრო-დაცვითი სიგნალიზაციის მონტაჟის სამუშაოთა წარმოების დაწყება ნებადართულია, თუ არსებობს:

ა) საპროექტო-სახანძრო-დაცვით დოკუმენტაცია ან ტიპობრივი საპროექტო გადაწყვეტილებანი და № 2 დანართით გათვალისწინებული ობიექტის გამოკვლევის აქტი;

ბ) მასალები, ხელსაწყოები, გადამწოდები, რომლებიც აკმაყოფილებენ ნაკეთობათა სასტანდარტებისა და საუწყებო ტექნიკური პირობების მოთხოვნებს.

21. ტექნიკური ზედამხედველობა სამონტაჟო სამუშაოთა შესრულებისადმი ხორციელდება:

ა) საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს არასაუწყებო დაცვის მიერ დაცულ ობიექტებზე — აღნიშნული სამმართველოს შესაბამის განყოფილებათა (ქვეგანყოფილებათა) ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის ძალებით;

ბ) სამინისტროთა და უწყებათა საუწყებო დაცვის მიერ დაცულ ობიექტებზე — დაცული ობიექტების ხელმძღვანელობის მიერ გამოყოფილ მუშაკთა მეშვეობით.

22. ობიექტზე ავტომატურ ხანძარსაქრობ სისტემათა მონტაჟის სამუშაოთა წარმოების დაწყება ნებადართულია, თუ არსებობს:

ა) საპროექტო-სახანძრო-დაცვით დოკუმენტაცია;

ბ) მასალები და მოწყობილობა პროექტის სპეციფიკაციების შესაბამისად.

23. ავტომატურ ხანძარსაქრობ სისტემებს საექსპლუატაციოდ იღებს კომისია, რომლის შემადგენლობაში შედიან შემკვეთი ორგანიზაციის, ობიექტზე ავტომატურ ხანძარსაქრობ სისტემათა მონტაჟის შემსრულებელი ორგანიზაციის, გენერალური საიჯარო ორგანიზაციის და სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობის ორგანოთა წარმომადგენლები.

24. დაცვითი და სახანძრო-დაცვითი სიგნალიზაციის სისტემებს, რომელთა მონტაჟი დამთავრებულია, საექსპლუატაციოდ იღებს კომისია, რომლის შემადგენლობაში შედიან შემკვეთის წარმომადგენლები (მოცემულ ობიექტებზე დაცვითი და სახანძრო-დაცვითი სიგნალიზაციის დანერგვისათვის პასუხისმგებელი პირები), არასაუწყებო დაცვის ქვეგანყოფის, სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობის ორგანოებისა და მოიჯარის წარმომადგენლები (დგება აქტი № 5 დანართის თანახმად გათვალისწინებული ფორმის მიხედვით).

25. სიგნალიზაციის იმ სისტემის მიღებას, რომლის მონტაჟი დამთავრებულია, კომისია იწყებს არაუგვიანეს სამი დღის ვადისა მისაღებად მისი წარდგენის დღიდან; იმ შემთხვევაში, თუ კომისია აღმოაჩინს ხარვეზებსა და მონტაჟის წესების დარღვევებს, ისინი უნდა აღმოიფხვრას 10 დღის ვადაში. კომისიის წევრთა ხელმოწერა სავალდებულოა დამოწმდეს ბეჭდით.

26. სიგნალიზაციის დანადგარების საექსპლუატაციოდ გადაცემისას სტემა სქემის სახაზო ნაწილის ელემენტებისა და ხელსაწყოების გარეგანი დათვლიერება იმ მიზნით, რომ განისაზღვროს, შეესაბამებიან თუ არა ისინი გამოკვლევის აქტს და ტიპობრივ გადაწყვეტილებებს ან პროექტს; მოწმდება სიგნალიზაციის 10-პროცენტისანი გადამწოდების მუშაობის სისწორე, სიგნალიზაციის მთელი სისტემის მუშაობისუნარიანობა სხვადასხვა რეჟიმში, იზომება ძირითადი ტექნიკური მაჩასიათებლები და ფასდება არასაიმედო ადგილების ბლოკირების ხარისხი.

27. სამონტაჟო ორგანიზაციას ნება ეძლევა შეიტანოს უმნიშვნელო ცვლილებანი დაცვითი და სახანძრო-დაცვითი სიგნალიზაციის სამუშაოთა შესრულებისას, რომლებიც გათვალისწინებულია გამოკვლევის აქტით ან პროექტით (ერთი ტიპის გადამწოდთა შეცვლა მეორე ტიპით, ხმოვანი სიგნალების შექმნა, ხელსაწყოს დადგმის ადგილის შეცვლა და ა. შ.); ამ ცვლილებებმა არ უნდა გააუარესონ სქემის მუშაობისუნარიანობა, და ისინი შეაქვთ მხოლოდ შემკვეთთან და დამპროექტებელთან, აგრეთვე არასაუწყებო დაცვის და სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობის ადგილობრივ ქვეგანყოფთა წარმომადგენლებთან შეთანხმებით.

28. სიგნალიზაციის დანადგარების ძირითად ელექტრულ მაჩასიათებელთა გაზომვისათვის საჭირო ელექტროსაზომი ხელსაწყოებით უზრუნველყოფას მათი საექსპლუატაციოდ გადაცემის დროს ახორციელებენ დამმონტაჟებელი საიჯარო ორგანიზაციის წარმომადგენლები.

29. სიგნალიზაციის საექსპლუატაციოდ მიღებისას № 5 დანართით გათვალისწინებულ მიღების აქტში საიჯარო ორგანიზაციას აღუნიშნავენ საგარანტიო რემონტის ვალდებულებებს.

30. დაცვითი და სახანძრო-დაცვითი სიგნალიზაციის სისტემათა მონტაჟის შესრულებულ სამუშაოთა ჩაბარებისას საიჯარო ორგანიზაციები წარუდგენენ და გადასცემენ ობიექტის დირექციას სახელმძღვანელოდ შემდეგ დოკუმენტებს:

- აღმასრულებელ საპროექტო დოკუმენტაციას;
  - ხელსაწყოებისა და მოწყობილობის პასპორტებს;
  - ფარულ სამუშაოთა აქტს ამ სამუშაოთა აღმასრულებელი სქემითურთ.
31. სამონტაჟო ორგანიზაციას არ ეკისრება პასუხისმგებლობა:

— ექსპლუატაციის წესების დაცვებლობის გამო ან იმის შედეგად წარმოქმნილი უწესიგრობისათვის, რომ ობიექტის მუშაკები დაუდევრად ეპყრობიან ობიექტზე დადგმულ ხელსაწყოებსა და გადამწოდებს;

— დაცვითი და სახანძრო-დაცვითი სიგნალიზაციის სისტემაში დადგმული დღის სინათლის ელექტრონათურებისა და სტარტერების მუშაობისუნარიანობისათვის;

— ხელსაწყოების, სითბური გადამწოდებისა და შემკვეთის მიერ მიწოდებული სხვა აპარატურის მუშაობისუნარიანობისათვის. მათში დეფექტების აღმოჩენის შემთხვევაში რეკლამაცია წარედგინება მიმწოდებელ ქარხანას.



საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს  
1974 წლის 12 ივლისის № 387  
დადგენილებით დამტკიცებული  
დებულების დანართი № 1

ბ ა ტ ი

ობიექტ(ებ)ის ტექნიკური მდგომარეობის გამოკვლევისა

19 წ. „—“ ————— ქ. —————

ჩვენ, ქვემოთ ხელისმომწერებმა, ერთი მხრივ, „დაცვის“ —————  
(მილიციის

განყოფილებასთან (ქვეგანყოფილებასთან) არსებული დაცვის განყოფილების (ქვეგანყოფი-  
ლების) დასახლება)

წარმომადგენელმა —————  
(თანამდებობა, წოდება, გვარი, სახელი, მამის სახელი)

და, მეორე მხრივ, „სამეურნეო ორგანოს“ —————  
(საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის

————— წარმომადგენელმა —————  
დასახლება) (თანამდებობა, გვარი, სახელი,

————— სახანძრო დაცვის წარმომადგენლის —————  
მამის სახელი) (თანამდებობა,

წოდება, გვარი, სახელი, მამის სახელი) მონაწილეობით

ჩავატარეთ არასაუწყებო დაცვის მიერ დაცული ობიექტ(ებ)ის —————  
(დასახლება,

უწყებრივი კუთვნილება და ადგილსამყოფელი)

————— ტექნიკური მდგომარეობის  
გამოკვლევა.



გამოკვლევით დადგენილია:

(ღობეების, კარ-ფანჯრების, საკეტების, გისოსების, კედლების, ჭერის, სახურავის, საძრომების, ტამბურების, პირველადი ხანძარსაქრობი საშუალებების, დაცვითი სიგნალიზაციის საშუალებების მდგომარეობა; საკონტროლო-გასაშვები

პუნქტების, გასაველი ჭიშკრების მდგომარეობა, მათი მოწყობა და ა. შ.) —

\_\_\_\_\_

\_\_\_\_\_

\_\_\_\_\_

\_\_\_\_\_

ობიექტ(ებ)ის საიმედო დაცვის უზრუნველყოფის მიზნით საჭიროა განხორციელდეს შემდეგი ღონისძიებანი: \_\_\_\_\_

\_\_\_\_\_

\_\_\_\_\_

\_\_\_\_\_

\_\_\_\_\_

აღნიშნული ღონისძიებანი უნდა განახორციელოს „სამეურნეო ორგანომ“ შემდეგ ვადებში: \_\_\_\_\_

\_\_\_\_\_

\_\_\_\_\_

\_\_\_\_\_

\_\_\_\_\_

ეს აქტი შედგენილია სამ ეგზემპლარად და ინახება „დაცვაში“, „სამეურნეო ორგანოში“ და სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობაში.

„დაცვის“  
წარმომადგენელი

„სამეურნეო ორგანოს“  
წარმომადგენელი

სახანძრო დაცვის  
წარმომადგენელი

(ხელმოწერა)

(ხელმოწერა)

(ხელმოწერა)



საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს  
1974 წლის 12 ივლისის № 387  
დადგენილებით დამტკიცებული  
დებულების დანართი № 2

გამოკვლევის აქტი № \_\_\_\_\_

ქ. \_\_\_\_\_ 19 წ. „\_\_\_\_“ \_\_\_\_\_

ორგანიზაციის დასახელება \_\_\_\_\_  
(სამინისტრო, უწყება, რომელსაც ექვემდებარება ობიექტი)

გამოკვლევა ჩაატარა კომისიამ შემდეგი შემადგენლობით: \_\_\_\_\_

\_\_\_\_\_

(თანამდებობა, გვარი, ინიციალები)

\_\_\_\_\_ დაცვის უზრუნველყოფის მიზნით  
(ობიექტის დასახელება)

საჭიროა მოეწყოს სიგნალიზაცია \_\_\_\_\_

(აღინიშნება ადგილობრივ სიგნალებთან ავტონომიური სიგნალიზაცია პერიმეტრის მიხედვით,

ცენტრალიზებული სიგნალიზაცია — პულტთან მიერთებით, შეთავსებული, სახანძრო-დაც-

ვით სიგნალიზაცია — ბინაზე „შინაღარაჯთან“ მიყვანით, მისამართის აღნიშვნით)

სიგნალიზაციის მოწყობისას დაიდგას: ხელსაწყო(ები) \_\_\_\_\_  
(აღინიშნება

ხელსაწყოთა, დამთავრებულ მოწყობილობათა ტიპები და რაოდენობა)

ხმოვანი ინდიკატორები \_\_\_\_\_  
(ტიპი, რაოდენობა და დადგმის ადგილი)

ობტექური ინდიკატორები \_\_\_\_\_



საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს  
1974 წლის 12 ივლისის № 387  
დადგენილებით დამტკიცებული  
დებულების დანართი № 3

მ ა მ ი

საიჯარო სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა მოცულობის შეთანხმებისა

19 წ. „—“ ————— ჟ. —————

ჩვენ, ქვემოთ ხელისმომწერებმა: ერთი მხრივ, მოიჯარემ —————  
(თანამდებობა)

გვარი, ორგანიზაცია)

და, მეორე მხრივ, შემკვეთმა —————  
(სამინისტროს, უწყების, ორგანიზაციის

შევადგინეთ ეს ოქმი  
დასახელება)

შემდგებზე: შემკვეთი —————  
(ორგანიზაცია, საფოსტო

გადასცემს, ხოლო სსრ კავშირის  
მისამართი)

ხელსაწყობმშენებლობის, ავტომატიზაციის საშუალებათა და მართვის სისტე-  
მათა სამინისტროს „საკაპეცავტომატიკის“ ტრესტის —————

————— სამონტაჟო-გასაწყობი სამმართველო კისრულობს შეასრუ-  
ლოს დაცვითი, სახანძრო-დაცვითი სიგნალიზაციისა და ავტომატურ ხანძარ-  
საქრობ სისტემათა მონტაჟის, გაწყობისა და ტექნიკური მომსახურების სამუ-

შაოები ————— ათასი მანეთის მოცულობით.

მათ შორის:

ავტომატური ხანძარსაქრობი სისტემები ————— ათასი მანეთი.

დაცვითი და სახანძრო-დაცვითი სიგნალიზაცია ————— ათასი მანეთი.

პერიმეტრული დაცვითი სიგნალიზაცია ————— ათასი მანეთი

გასაწყობი სამუშაოები ————— ათასი მანეთი

ტექნიკური მომსახურება ————— ათასი მანეთი

**აქედან შემდეგი სახსრების ხარჯზე:**

№ დაფინანსების წყარო	სამუშაოთა მოცულობა ათას მანეთობით	ხელშეკრულების სახეობა (პირდაპირი, სუბსაიჯარო)
ა) სახელმწიფო ცენტრალიზებული კაპიტალური დაბანდებანი . . . . .		
ბ) არაცენტრალიზებული კაპიტალური დაბანდებანი . . . . .		
გ) ბანკის კრედიტები . . . . .		
დ) კოლმეურნეობათა სახსრები . . . . .		
ე) კაპიტალური რემონტის სახსრები . . . . .		
ვ) სხვა სამუშაოები . . . . .		

საწარმოს, ორგანიზაციის

ხელმძღვანელი:

(ბ. ა.)

თბილისის ბანქარსაწინააღმდეგო ავტომატიკისა და ღაცვითი სიგნალიზაციის მართვის სისტემათა სპეციალიზებული სამონტაჟო-გასაწყოები სამმართველოს

წარმომადგენელი:

(ბ. ა.)



შ ე კ ვ ე ტ ა

საპროექტო და საძიებო სამუშაოთა შესასრულებლად

(ორგანიზაციის, სამინისტროს, უწყების დასახელება)

თვის

ა	ბ	გ	დ	ე	ვ	ზ	თ	დასახელება	
								ი	კ
შეზღვევები	საფუძვ	მშენებლობის დაწესებულების	მშენებლობის დაწესებულების	სამშენებლო (საპროექტო) სამუშაოების	სამშენებლო (საპროექტო) სამუშაოების	სამშენებლო (საპროექტო) სამუშაოების	სამშენებლო (საპროექტო) სამუშაოების	დასახელება	დასახელება
								ი	კ

შესრულდეს ბლოკირება:

დაცული კონსტრუქციებისა და სადგომების დასახელება	კონსტრუქციების რაოდენობა	ბლოკირების ხერხები	გადამწოდთა რაოდენობა და ტიპი
1. ორსაგდულიანი შეშინული კარები .			
2. ერთსაგდულიანი შეშინული კარები			
3. ხის ლირსოვანი კარები . . . . .			
4. ლითონის ან რკინააკრული კარები			
5. საძრომების, პანდუსების კარები .			
6. შეშინული ვიტრინები . . . . .			
7. ხისალათიანი ჩარჩოების შეშინული ლიობები . . . . .			
8. ღუმელის ძვიდეები, კვამლსადენები			
9. დროებითი და არაკაპიტალური კედლები, ტიხრები . . . . .			
10. სამერცხულები . . . . .			
11. გადახურვა (ჭერისა და იატაკის) .			
12. _____			
13. _____			
14. _____			

საიჯარო ორგანიზაციამ \_\_\_\_\_ (ორგანიზაციის დასახელება)

სამუშაო შესრულოს \_\_\_\_\_ (აღნიშნება ტიპობრივი გადაწყვეტილებისა და

პროექტის აღმასრულებელი ხარჯთაღრიცხვის მიხედვით)

ობიექტის აღმინისტრაციამ სიგნალიზაციით ობიექტის მოწყობამდე

საჭიროა \_\_\_\_\_ (აღნიშნება საშენებლო კონსტრუქციათა რემონტის ღონისძიებანი,

საპროექტო დოკუმენტაციის დამზადების წინადადებანი და ვადები)

აქტში ჩამოთვლილი სამუშაოები საჭიროა შესრულდეს \_\_\_\_\_  
 (ვადები)

ეს აქტი შედგენილია \_\_\_\_\_ ეგზემპლარად.

დაცვის წარმომადგენელი \_\_\_\_\_

შემკვეთის წარმომადგენელი \_\_\_\_\_

სახელმწიფო სახანძრო

ზედამხედველობის ინსპექციის

წარმომადგენელი \_\_\_\_\_

### ე ს კ ი ზ ი

(ადგენენ დაცვის განყოფილებისა და შემკვეთის წარმომადგენლები)



საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს  
1974 წლის 12 ივლისის № 387  
დადგენილებით დამტკიცებული  
დებულების დანართი № 5

ო მ შ ი №

დაცვითი (სახანძრო-დაცვითი) სიგნალიზაციის საექსპლუატაციოდ მიღებისა

ქ. \_\_\_\_\_ 19 \_\_\_\_ წ. „\_\_\_\_“ \_\_\_\_\_

კომისიამ \_\_\_\_\_ წარმომადგენ-  
ლების \_\_\_\_\_  
(თანამდებობანი, გვარები, ინიციალები)

\_\_\_\_\_ შემადგენლობით  
შევადგინეთ ეს აქტი იმის შესახებ, რომ \_\_\_\_\_  
(აღინიშნება

\_\_\_\_\_ დირექციამ  
ორგანიზაციის დასახელება)

(შემკვეთმა) და მოიჯარემ \_\_\_\_\_  
(აღინიშნება მონტაჟის ჩამტარებელი

\_\_\_\_\_  
ორგანიზაციის დასახელება)

(გამოკვლევის აქტის ან საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის ნომერი და  
\_\_\_\_\_ შესაბამისად  
თარიღი, ხელშეკრულების ნომერი და თარიღი)

მოაწუო დაცვითი (სახანძრო-დაცვითი) სიგნალიზაცია ობიექტზე \_\_\_\_\_  
(ობიექტის

\_\_\_\_\_ ზუსტი დასახელება, მისი მისამართი და ტელეფონის ნომერი)

სიგნალიზაციის სახარჯთაღრიცხვო ღირებულება \_\_\_\_\_ მან., ხარჯთ-  
აღრიცხვა \_\_\_\_\_ შეკვეთა № \_\_\_\_\_

ადგილზე დათვალიერებით და ტექნიკური გამოცდით დადგენილია: ბენდი

აღნიშნულ ობიექტზე დადგმულია ხელსაწყო(ები) \_\_\_\_\_  
(ტიპი, საქარხნო)

ნომერი, თუ ბინაზეა, მაშინ მისამართიც)

სამუშაო შესრულებულია მოქმედი წესებისა და ტექნიკური პირობების  
შესაბამისად; აქტის ან პროექტის წინადადებებისაგან გადახვევები \_\_\_\_\_

(აღნიშნება: არ არის; თუ არის, უნდა ჩამოითვალოს ცვლილებანი)

### ტექნიკური მახასიათებლები:

დამცავი შლექის ელექტრული წრედისა: წინაღობა \_\_\_\_\_ ომი.  
ჩართულია დამატებითი წინაღობა \_\_\_\_\_ ომი, გადინების წინაღობა მიწის  
მიმართ არანაკლებ \_\_\_\_\_ კილოომი. სადენების იზოლაციის წინაღობა  
ელექტროკვების წრედებში, ხმოვანი და ოპტიკური ინდიკატორებისა \_\_\_\_\_  
მიწის მიმართ შეადგენს \_\_\_\_\_ მეგომს.



## 59 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 16 აპრილის № 250 დადგენილების დამატების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დამატოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 16 აპრილის № 250 დადგენილებით დამტკიცებულ სიას საწარმოებისა და დაწესებულებებისა, რომელთა სახლებიდან საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 327-ე მუხლის შესაბამისად დასაშვებია იმ მუშა-მოსამსახურეთა გამოსახლება სასამართლო წესით საცხოვრებელი ფართობის მიუცემლად, რომლებმაც შეწყვიტეს შრომითი ურთიერთობა საკუთარი სურვილით ან შრომის დისციპლინის დარღვევისათვის, ანდა დანაშაულის ჩადენისათვის დათხოვნასთან დაკავშირებით, შემდეგი შინაარსის პუნქტი:

„139. საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს ქუთაისის სახლ-მშენებლობის კომბინატის კუთვნილი საცხოვრებელი სახლები“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს  
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს  
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1974 წ. 15 ივლისი, № 395

## 60 სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის გ. ვ. წაბეთლის ხსოვნის უკვდავოების შესახებ

გამოჩენილი საბჭოთა მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის, საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის გიორგი ვასილის ძე წერეთლის ხსოვნის უკვდავყოფის მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. მიეკუთვნოს აკადემიკოს გ. ვ. წერეთლის სახელი საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტს.

2. დაევალოს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიას:

ა) გამოსცეს აკადემიკოს გ. ვ. წერეთლის შრომების კრებული და ბიბლიოგრაფიული ცნობარი;

ბ) დადგას აკადემიკოს გ. ვ. წერეთლის საფლავზე განსვენებულის ბიუსტი.

3. დაევალოს თბილისის მშრომელთა დებუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომს გაუქეთოს მემორიალური ღაფა სახლს, სადაც ცხოვრობდა აკადემიკოსი გ. ვ. წერეთელი.

4. დაწესდეს:

ა) აკადემიკოს გ. ვ. წერეთლის სახელობის ერთი სტიპენდია 85 მანეთის ოდენობით საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდ-

ნეობის დარგის ასპირანტებისათვის საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიისათვის დამტკიცებული სასტიპენდიო ფონდის ხარჯზე;

ბ) აკადემიკოს გ. ვ. წერეთლის სახელობის ორი სტიპენდია თითოეული 65 მანეთის ოდენობით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის წარჩინებული სტუდენტებისათვის საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროსათვის დამტკიცებული სასტიპენდიო ფონდის ხარჯზე.

5. შეიქმნას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში აკადემიკოს გ. ვ. წერეთლის სახელობის კაბინეტი.

6. შეიქმნას ჭიათურის საქალაქო საბჭოს სოფელ ცხრუკვეთში აკადემიკოს გ. ვ. წერეთლის კუთვნილ სახლში მისი სახელობის სახლ-მუზეუმი, აგრეთვე მიეკუთვნოს აღნიშნული სოფლის რვაწლიან სკოლას აკადემიკოს გ. ვ. წერეთლის სახელი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს  
თავმჯდომარე **ბ. ჯაპახიშვილი**.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს  
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი**.

ქ. თბილისი, 1974 წ. 18 ივლისი, № 410

## **61 რესპუბლიკის სახალხო მუშრენობაში სამართლებრივი მუშაობის მღგომარეობისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავს, რომ რესპუბლიკის სამინისტროებმა, უწყებებმა, მშრომელთა დებუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებმა, საწარმოებმა და ორგანიზაციებმა გარკვეული მუშაობა განახორციელეს „სახალხო მეურნეობაში სამართლებრივი მუშაობის გაუმჯობესების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 23 დეკემბრის № 1025 და საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1971 წლის 16 მარტის № 149 დადგენილებების და „რესპუბლიკის სამინისტროების, უწყებების, ორგანიზაციების, მშრომელთა დებუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების სამართლებრივი მუშაობის კულტურის დონის ამაღლების, მშრომელთა სამართლებრივი აღზრდის გაუმჯობესებისა და სოციალისტური კანონიერების განმტკიცებისათვის ბრძოლის გასაძლიერებლად საზოგადოებრიობის მობილიზაციის ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1971 წლის 22 აპრილის № 219 დადგენილების შესასრულებლად და მიადწიეს იურიდიული სამსახურის საქმიანობის ერთგვარ გააქტიურებას.

სამინისტროებში, უწყებებში, საწარმოებსა და ორგანიზაციებში შემუშავებულია და ხორციელდება ღონისძიებანი სახელმწიფო, საგეგმო, საფი-



ნანსო, სახელმწიფოებო და შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის რეფერენდუმით საბჭოთა კანონმდებლობის ახსნა-განმარტებისათვის.

ამასთანავე აღნიშნულ მუშაობაში არის არსებითი ნაკლოვანებანი.

მთელ რიგ სამეურნეო ორგანოებში მოუწესრიგებელია იურიდიული სამსახურების მუშაობა. მაგალითად, საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს სისტემაში, სადაც 363 საწარმო და ორგანიზაციაა, მუშაობს მხოლოდ 43 შტატიანი იურისკონსულტი, ხოლო საქართველოს სსრ ზორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს სისტემაში, სადაც 90 საწარმოა, არის 12 შტატიანი იურისკონსულტი.

კვლავ სერიოზული ნაკლია რესპუბლიკის საწარმოებისა და ორგანიზაციების მიერ სახელმწიფოებო დისციპლინის დაცვის დაბალი დონე. მაგალითად, საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს სისტემაში საჯარიმო სანქციებმა სხვადასხვა სამეურნეო ხელმწიფოებების მიხედვით 1973 წელს შეადგინა 994 ათასი მანეთი, საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს სისტემაში — 968 ათასი მანეთი, საქართველოს სსრ ზორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს სისტემაში არამწარმოებელურმა ხარჯებმა მთლიანად შეადგინეს 536,8 ათასი მანეთი.

მატერიალურ ფასეულობათა დატაცების, დანაკლისისა და გაფუჭების ხელშემწყობი ძირითადი მიზეზები ის არის, რომ არადაამაკაყოფილებელია ნედლეულის, მასალების შენახვის პირობები, უხეშად ირღვევა სასაწყობო და საბუღალტრო აღრიცხვის წესები, სუსტია შინასაუწყებო კონტროლი, აგრეთვე არ ხორციელდება სათანადო იურიდიული კონტროლი საფინანსო-სამეურნეო ოპერაციათა კანონიერებისადმი.

იურიდიული სამსახურები სხვა სტრუქტურულ ქვედანაყოფებთან ერთად საკმარისად არ სწავლობენ დატაცებისა და დანაკლისის ხელშემწყობ მიზეზებსა და პირობებს, იშვიათად მონაწილეობენ ღონისძიებათა განხორციელებაში, რომელთა მიზანია გზა დაუხშონ დატაცებას, გაფლანგვას და სხვადასხვაგვარ დანაკარგებს; არ აფორმებენ მასალებს დატაცებისა და გაფლანგვის შესახებ საგამომძიებლო ორგანოებისათვის გადასაცემად, სარჩელებს ზარალის ანაზღაურების შესახებ, სუსტი კავშირი აქვთ საკონტროლო-სარევიზიო აპარატებთან.

იურიდიული სამსახურები ჯერ კიდევ საკმარის ზემოქმედებას არ ახდენენ საწარმოთა სამეურნეო-სამართლებრივ საქმიანობაზე. მნიშვნელოვანია დებიტორული დავალიანების თანხა რესპუბლიკის კოლმეურნეობებში.

საწარმოებისა და ორგანიზაციების არასაკმარისი სამართლებრივი მომსახურების გამო შრომითი სამართალურთიერთობის ბევრი საკითხი (მუშათა და მოსამსახურეთა სამუშაოზე მიღება, გადაყვანა, შემთავსებლობა, დათხოვნა) წყდება მოქმედი შრომის კანონმდებლობის მოთხოვნების დარღვევით.

1973 წელს რესპუბლიკის სახალხო სასამართლოებმა სამუშაოზე აღდგენის შესახებ 1270 სარჩელიდან დააკაყოფილეს 812, ანუ 63,9 პროცენტი. მარტო საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს სისტემაში უკანონოდ დაითხოვეს 26 მუშა და მოსამსახურე, საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს სისტემაში — 12 კაცი.

მხოლოდ სამართლებრივი მუშაობის შეუფასებლობით შეიძლება აინსნას ის ფაქტი, რომ ბევრ სამინისტროსა და უწყებაში დამკვიდრებული არ არის იმ პირთა გამოვლინების პრაქტიკა, რომელთა მიმართაც შეიძლება გამოყენებულ იქნეს რეგრესიული სარჩელი საწარმოო ტრავმატიზმთან დაკავშირებით.

ყველა ეს ნაკლი იმის შედეგია, რომ თანამდებობის პირთა მიმართ, რომლებიც არღვევენ სსრ კავშირის კონსტიტუციითა და საბჭოთა კანონებით გაიანტირებულ მუშა-მოსამსახურეთა შრომის უფლებებს, არ ხორციელდება ქმედითი და გადამწყვეტი ღონისძიებანი. ამავე დროს საწარმოთა და ორგანიზაციათა იურისკონსულტები საკმარისად არ მონაწილეობენ შრომითი დისციპლინის განმტკიცებისა და მოქალაქეთა კანონიერი უფლებების დაცვის საკითხების გადაწყვეტაში.

ძალიან არადაამკმაყოფილებლად სრულდება პარტიისა და მთავრობის მოთხოვნები იურიდიული სამსახურების განმტკიცების შესახებ. რესპუბლიკის 9596 საწარმოში მხოლოდ 521 შტატიანი იურისკონსულტი მუშაობს.

იურიდიული სამსახური შექმნილი არ არის სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ზოგიერთი ქალაქისა და რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებში. სამინისტროების, უწყებებისა და მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომების მიერ წარდგენილი განაცხადები სახალხო მეურნეობისათვის იურიდიულ კადრებზე მოთხოვნილების შესახებ, არ შეესაბამება რეალურ საჭიროებებს: ამ განაცხადების მონაცემებით, იურიდიულ კადრებზე მოთხოვნილება 1980 წლამდე პერსპექტივისათვის შეადგენს მხოლოდ 304 კაცს.

საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტრომ თავისი სისტემისათვის მოითხოვა მხოლოდ ორი კაცი, მაშინ როცა მის სისტემაში არის იურიდიული პირის უფლების მქონე 59 საწარმო; საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტრომ მოითხოვა სამი კაცი, თუმცა მის სისტემაში არის 97 საწარმო, საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტრომ — ორი კაცი (105 საწარმო) და ა. შ.

საჭირო ღონისძიებანი არ განხორციელებულა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სასწავლო-მანერიალური ბაზის განვითარებისათვის, რომელიც დაასპეციალებს სტუდენტებს სახალხო მეურნეობისათვის გათვალისწინებული პროფილებით, მოუგვარებელია მათი განაწილების აღრიცხვა.

ყურნალ „საბჭოთა სამართლის“ რედაქციამ, თავის ფურცლებზე სამეურნეო კანონმდებლობის საკითხების სისტემატური გაშუქების ნაცვლად, სამ წელიწადში გამოაქვეყნა მხოლოდ 9 სტატია სახალხო მეურნეობაში სამართლებრივი მუშაობის საკითხებზე.

საქართველოს სსრ ზოგიერთი სამინისტრო და უწყება ჯეროვან ყურადღებას არ უთმობს იურისკონსულტთა კვალიფიკაციის ამაღლების საკითხებს, არ გზავნის მათ საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროსთან არსებულ შესაბამის კურსებზე.

სახალხო მეურნეობაში სამართლებრივი მუშაობის დონის ამაღლების, ზემოაღნიშნულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის და ხუთწლიანი გეგმის დავალებათა შესრულებაზე იურიდიული სამსახურის გავლენის გაძლიერების მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. დავალოთ საქართველოს სსრ სამინისტროებსა და უწყებებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს:

— უზრუნველყონ „სახალხო მეურნეობაში სამართლებრივი მუშაობის გაუმჯობესების შესახებ“ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1971 წლის 16 მარტის № 149 დადგენილების მოთხოვნების უცილობლივ შესრულება იმ მხრივ, რომ განამტკიცონ იურიდიული სამსახური, მოაწესრიგონ იურიდიული ქვედანაყოფების მუშაობა და დააკომპლექტონ ისინი კვალიფიციური და ინიციატივიანი მუშაკებით; მიიღონ ზომები იმისათვის, რომ უფრო სრულად გამოიყენონ სამართლებრივი საშუალებანი სახელმწიფო, საგეგმო და სახელმეკრულებო დისციპლინის დარღვევების, დაბალხარისხოვანი პროდუქციის გამოშვებისა და უყაბრაობის ფაქტების წინააღმდეგ ბრძოლაში, უზრუნველყონ სოციალისტური საკუთრების დაცვა, მატერიალურ ფასეულობათა დაცვების, გაფლანგვისა და გაფუჭების თავიდან აცილება, კონტროლის გაძლიერება საფინანსო-სამეურნეო ოპერაციების კანონიერებისადმი, საბჭოთა კანონების მოთხოვნათა მტკიცედ დაცვა;

— დამატებით განიხილონ საკითხი იმის შესახებ, რომ შეიქმნას იურიდიული განყოფილებანი (ბიუროები) ყველა სამინისტროში, უწყებასა და მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებში, და შემოღებულ იქნეს საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა შტატებში იურისკონსულტების თანამდებობანი დაწესებული პერსონალის რიცხოვნობისა და ხელფასის ფონდის ფარგლებში;

— შეუქმნან მუშაობისათვის ნორმალური პირობები იურიდიულ სამსახურებს, უზრუნველყონ ისინი შესაბამისი სამართლებრივი ლიტერატურით, კოდექსებითა და ნორმატიული აქტებით.

2. დავალოს საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს შესაბამის სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად შეიმუშაოს და წარუდგინოს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს და საქართველოს სსრ უმაღლესი

და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს დაზუსტებული ცნობები სახალხო მეურნეობისათვის საჭირო იურიდიულ კადრებზე ყოველწლიური მოთხოვნების შესახებ პერსპექტივით 1990 წლამდე.

3. დაევალოთ საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს და საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს:

— გაითვალისწინონ წლიური გეგმების პროექტების შემუშავების დროს იურიდიული კადრების მომზადება რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში მათზე მოთხოვნების ზუსტი შესაბამისობით;

— გაათავოთონ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, შემოიღონ იქ სპეციალიზაცია, სამართლის დარგების მიხედვით, მათ შორის სპეციალისტი-იურისტების მომზადება სახალხო მეურნეობისათვის;

— დააწესონ ზუსტი აღრიცხვა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის კურსდამთავრებული სპეციალისტებისა, რომლებიც ნაწილდებიან დადგენილი წესით.

4. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ სახელმწიფო არბიტრაჟს უფრო ეფექტიანად გამოიყენოს საჭარბო სანქციები და სხვა ღონისძიებანი იმ საწარმოებსა და ორგანიზაციებზე ზემოქმედებისათვის, რომლებიც არ ასრულებენ დაგეგმვებსა და სახელმწიფო ვალდებულებებს.

5. რჩევა მიეცეთ რესპუბლიკის პროკურატურასა და საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტს გააძლიერონ შესაბამისად ზედამხედველობა და კონტროლი სამინისტროთა, უწყებათა, საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა სამეურნეო საქმიანობაში კანონმდებლობის მოთხოვნების დაცვისადმი.

6. რჩევა მიეცეს საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურ საბჭოს მიიღოს ზომები საწარმოებში, მშენებლობებზე, საბჭოთა მეურნეობებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში საზოგადოებრივი იურიდიული კონსულტაციების ქსელის გასაფართოებლად.

7. გაზეთებისა და ჟურნალების რედაქციებმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტმა, საზოგადოება „ცოდნამ“ უფრო ფართოდ გააშუქონ პრესაში, რადიოთი და ტელევიზიით სახალხო მეურნეობაში სამართლებრივი მუშაობის საკითხები.

8. სამინისტროებმა, უწყებებმა და მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებმა დროულად მიიღონ ზომები სამართლებრივი მუშაობის მდგომარეობასთან გაცნობის შედეგების მიხედვით საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს რეკომენდაციების რეალიზაციისათვის და შედეგები აცნობონ იუსტიციის სამინისტროს.

9. საქართველოს სსრ სამინისტროებმა და უწყებებმა, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოე-



ბის აღმასკომებმა უზრუნველყონ სამართლებრივ მუშაობაში არსებულ ნაკლებობას ვანებათა უცილობლივ აღმოფხვრა და 1974 წლის 1 სექტემბრისათვის მოახსენონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ამ დადგენილების შესრულების შესახებ.

10. დაევალოთ სამინისტროებს, უწყებებს და მათ სისტემაში შემავალ საწარმოებსა და დაწესებულებებს (ტრესტებს, ქარხნებს, ფაბრიკებს, ავტომეურნეობებს, ბიბლიოთეკებს, მსხვილ კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვ.), მშრომელთა დებუტატების საქალაქო, რაიონული, სადაბო და სასოფლო საბჭოების აღმასკომებს მიმდინარე წლის 1 აგვისტომდე ჩაატარონ საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს მეშვეობით ხელმოწერა საქართველოს სსრ მოქმედი კანონმდებლობის სისტემატიზებულ კრებულზე სამსახურებრივი სარგებლობისათვის როგორც რუსულ, ისევე ქართულ ენებზე.

11. დაევალოს საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს დაწესოს სისტემატური კონტროლი ამ დადგენილების შესრულების მიმდინარეობისადმი და შედეგების შესახებ პერიოდულად მოახსენოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს  
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს  
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1974 წ. 19 ივლისი, № 416

## **62** საქართველოს სსრ მოქმედი კანონმდებლობის კრებულის განმარტების შესახებ

იმ მიზნით, რომ სამინისტროები, უწყებები, მშრომელთა დებუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომები და სხვა სახელმწიფო და სამეურნეო ორგანოები უზრუნველყოფილ იქნენ საქართველოს სსრ მოქმედი კანონმდებლობის კრებულებით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 16 მარტის № 238 განკარგულების დამატებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. დაევალოს საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს შეუდგეს 1974 წელს საქართველოს სსრ მოქმედი კანონმდებლობის კრებულის მომზადებას იმ ვარაუდით, რომ კრებულის ყველა კარი გამოიცეს 1974—1980 წლებში.

2. დაწესდეს, რომ საქართველოს სსრ მოქმედი კანონმდებლობის კრებული გამოიცემა სამსახურებრივი სარგებლობისათვის ქართულ და რუსულ ენებზე.

3. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტმა უზრუნველყოს

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს შეკვეთით 1974—1980 საქართველოს სსრ მოქმედი კანონმდებლობის კრებულის გამოცემა.

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრომ დაინტერესებულ სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად განსაზღვროს კრებულის ტირაჟი.

4. დაევალოთ რესპუბლიკის სამინისტროებსა და უწყებებს აქტიური მონაწილეობა მიიღონ საქართველოს სსრ მოქმედი კანონმდებლობის კრებულის მომზადებაში.

5. ნება დაერთოს საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს ჩააბას საქართველოს სსრ მოქმედი კანონმდებლობის კრებულის მომზადებაში მაღალკვალიფიციური იურისტები, რედაქტორები და მეცნიერი მუშაკები.

6. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგვგმო კომიტეტმა, მოყოლებული 1975 წლიდან, უზრუნველყოს საქართველოს სსრ მოქმედი კანონმდებლობის კრებულის ბეჭდვისათვის საჭირო რაოდენობის ქაღალდის გამოყოფა მთლიანად რესპუბლიკისათვის წლიური სახალხო-სამეურნეო გეგმით დამტკიცებული ნაბეჭდი პროდუქციის გამოშვების მოცულობის ფარგლებში.

7. დამტკიცდეს საქართველოს სსრ მოქმედი კანონმდებლობის კრებულის მთავარი რედაქცია საზოგადოებრივ საწყისებზე შემდეგი შემადგენლობით:

- |                   |  |
|-------------------|--|
| ვ. ი. მაისურაძე   | — საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრი (მთავარი რედაქტორი);  |
| ზ. ა. კვაჭაძე     | — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი;   |
| ზ. გ. ახვლედიანი  | — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველი;  |
| ს. ა. ჯაფარიძე    | — საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს კანონპროექტების მომზადების, კანონმდებლობის სისტემატიზაციისა და კოდიფიკაციის სამმართველოს უფროსი; |
| თ. ვ. წერეთელი    | — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის სამართლის სექტორის გამგე;                                   |
| ბ. ზ. ფურცხვანიძე | — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი.   |

8. დამტკიცდეს საქართველოს სსრ მოქმედი კანონმდებლობის კრებულის გამოსაცემად მომზადების თანდართული გეგმა.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს  
თავმჯდომარის მოადგილე **ზ. კიკნაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს  
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

დ ა მ ტ კ ი ც ე ბ უ ლ ი ა მ ა რ ქ ა ნ ე ლ ი  
საქართველოს სსრ მინისტრთა სამსახურის  
1974 წლის 25 ივლისის № 427  
დადგენილებით

## ბ ე ბ მ ა

საქართველოს სსრ მოქმედი კანონმდებლობის სისტემატიზებული  
კრებულის გამოსაცემად მომზადებისა

კარის დასახელება	მომზადების ვადა
I კანონმდებლობა საზოგადოებრივი და სახელმწიფო წყობილების შესახებ	1974 წელი
II კანონმდებლობა სახალხო მეურნეობის საერთო საკითხებზე	1974 წლის III-IV კვარტალები
III კანონმდებლობა შრომის, სოციალური დაზღვევისა და სოციალური უზრუნველყოფის შესახებ	1975 წლის I-II კვარტალები
IV საბოჭალაქო კანონმდებლობა	1979 წლის II-III კვარტალები
V კანონმდებლობა ფინანსებისა და კრედიტის შესახებ	1976 წლის III-IV კვარტალები
VI მიწის კანონმდებლობა. კანონმდებლობა გეოდეზიისა და კარტოგრაფიის შესახებ	1979 წლის IV კვარტალი
VII წყლის კანონმდებლობა. კანონმდებლობა მელიორაციის შესახებ. კანონმდებლობა მეტეოროლოგიის შესახებ	1979 წლის IV კვარტალი
VIII კანონმდებლობა მიწის წიაღის შესახებ	1980 წლის III-IV კვარტალები
IX ტყის კანონმდებლობა	1980 წლის III-IV კვარტალები
X კანონმდებლობა კაპიტალური მშენებლობის შესახებ	1974 წლის III-IV კვარტალები
XI კანონმდებლობა მრეწველობის შესახებ	1979 წლის I-II კვარტალები
XII კანონმდებლობა სოფლის მეურნეობის შესახებ	1975 წლის I-II-III კვარტალები
XIII კანონმდებლობა სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადების შესახებ	1978 წლის II-III-IV კვარტალები
XIV კანონმდებლობა თევზის წარმოების, შეთევვებისა და მონადირეობის შესახებ	1978 წლის II-III-IV კვარტალები
XV კანონმდებლობა ტრანსპორტის შესახებ	1975 წლის III-IV კვარტალები
XVI კანონმდებლობა კავშირგაბმულობის შესახებ	1977 წლის I-II კვარტალები
XVII კანონმდებლობა საბინაო-კომუნალური მეურნეობისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების შესახებ	1978 წლის I-II კვარტალები

კარის დასახელება	მომზადების ვადა
XVIII კანონმდებლობა ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების შესახებ	1975 წლის III-IV კვარტალები
XIX კანონმდებლობა სახალხო განათლების შესახებ	1980 წლის I-II კვარტალები
XX კანონმდებლობა მეცნიერების შესახებ	1976 წლის I-II კვარტალები
XXI კანონმდებლობა კულტურის შესახებ	1980 წლის I-II კვარტალები
XXII კანონმდებლობა ჯანმრთელობის დაცვის, ფიზიკური კულტურისა და სპორტის შესახებ	1977 წლის III-IV კვარტალები
XXIII კანონმდებლობა ქორწინებისა და ოჯახის შესახებ	1977 წლის II-III კვარტალები
XXIV კანონმდებლობა სახელმწიფო უშიშროებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის შესახებ	1977 წლის IV კვარტალი
XXV კანონმდებლობა ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის შესახებ	1976 წლის II კვარტალი
XXVI სისხლის სამართლის კანონმდებლობა	1976 წლის II კვარტალი
XXVII შრომა-გასწორებითი კანონმდებლობა	1976 წლის III კვარტალი
XXVIII კანონმდებლობა სასამართლოს, პროკურატურისა და იუსტიციის შესახებ	1976 წლის III კვარტალი
XXIX კანონმდებლობა სამოქალაქო სამართლის სამართალწარმოების შესახებ. კანონმდებლობა სისხლის სამართლის სამართალწარმოების შესახებ	1976 წლის IV კვარტალი

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს  
 საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი**.

# 63 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიისა და ხელფიფო კომიტეტის დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს თანდართული დებულება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის შესახებ.
2. ძალადაქარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 26 მაისის № 309 დადგენილება „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის დებულების დამტკიცების შესახებ“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს  
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი**.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს  
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი**.

ქ. თბილისი, 1974 წ. 3 აგვისტო № 444



დამტკიცებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 3 აგვისტოს № 444 დადგენილებით

**დ ე ბ უ ლ ე ბ ა**

**საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის შესახებ**

1. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტი არის საკავშირო-რესპუბლიკური ორგანო და ემორჩილება როგორც საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, ისე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტი ხელმძღვანელობს უწყვეს კინემატოგრაფიას რესპუბლიკაში და პასუხისმგებელია მისი მდგომარეობისა და შემდგომი განვითარებისათვის, რესპუბლიკის კინოსტუდიებში შექმნილ კინონაწარმოებთა იდეურ-მხატვრული დონისათვის, მოსახლეობის კინომომსახურების დონისათვის, კინოფილმების წარმოებისა და ჩვენების ტექნიკური დონისათვის.

2. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის მთავარი ამოცანები ის არის, რომ:

განახორციელოს პარტიისა და მთავრობის დირექტივები რესპუბლიკაში კინემატოგრაფიის შემდგომი ყოველმხრივი განვითარების, კინონაწარმოებთა იდეურ-მხატვრული დონის ამაღლების, კომუნისტურ მშენებლობაში, საზოგადოების სულიერ ცხოვრებაში კინოს როლის გაძლიერების შესახებ;

შექმნას მაღალმხატვრული, თემატიკისა და ჟანრების მიხედვით მრავალფეროვანი კინონაწარმოებები, რომლებიც აქტიურად უწყობენ ხელს საბჭოთა ადამიანებში მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობის ფორმირებას, მათში მაღალი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის გრძნობის, პატრიოტიზმისა და ინტერნაციონალიზმის გრძნობის, ბურჟუაზიული იდეოლოგიისა და მორალისადმი, წვრილბურჟუაზიული გადმონაშთებისადმი შეუთრგებელი დამოკიდებულების აღზრდას;

აამაღლოს სამეცნიერო-პოპულარული, სასწავლო და სხვა კინონაწარმოებთა როლი მეცნიერული ცოდნისა და მოწინავე გამოცდილების გავრცელებაში. აგრეთვე გადაჭრას მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის სხვა ამოცანები; იდეურ-შემოქმედებითი და საწარმოო-ეკონომიური ხელმძღვანელობა გაუწიოს კინოსტუდიებს, კინოსაწარმოებს, კინოფიკაციისა და კინოგაქირავეების ორგანოებს, სრულყოს კინოფილმებისა და სხვა კინონაწარმოებთა წარმოების ეკონომიკა და ორგანიზაცია;

უზრუნველყოს კინოსტუდიების, კინოქსელისა და კინემატოგრაფიის სხვა საწარმო-ორგანიზაციების პერსპექტიული განვითარება;

განახორციელოს მეცნიერებისა და ტექნიკის უახლესი მიღწევებისა და მოწინავე გამოცდილების საფუძველზე კინომატოგრაფიის განვითარების პრაქტიკული ღონისძიებები, უზრუნველყოს კინემატოგრაფიის საწარმოთა და ორგანიზაციათა მუშაობის მაღალი ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლები;



ყოველი ღონისძიებით გააუმჯობესოს მოსახლეობის კინომომსახურება; უზრუნველყოს კინოშემოსავლის სახელმწიფო გეგმის შესრულება;

გამოსცეს სამეცნიერო-სასწავლო და მეთოდოლოგიური ლიტერატურა კინოს საკითხებზე, აგრეთვე სარეკლამო მასალები;

რაციონალურად გამოიყენოს კაპიტალური დაბანდებანი და გაადიდოს მათი ეფექტიანობა, დროულად ამოქმედოს სიმძლავრენი და ძირითადი ფონდები, აგრეთვე მოკლე ვადებში აითვისოს საწარმოო სიმძლავრენი;

დანერგოს შრომისა და მართვის მეცნიერული ორგანიზაცია, მოამზადოს და კვალიფიკაცია აუმაღლოს კინემატოგრაფიის შემოქმედებითს და ინჟინერ ტექნიკურ მუშაკებს;

— გააუმჯობესოს კომიტეტის სისტემის საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მუშაკთა საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობები, შეუქმნას მათ წარმოებაში უსაფრთხო შრომის პირობები.

3. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტი ხელმძღვანელობას უწყევს რესპუბლიკის კინოქსელს ქალაქების, ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქისა და რაიონების კინოფიკაციის ორგანოების მეშვეობით და უშუალოდ ხელმძღვანელობს კინოსტუდია „ქართულ ფილმს“, საქართველოს სამეცნიერო-პოპულარული და დოკუმენტური ფილმების სტუდიას, საწარმოო გაერთიანებას „საქკინომრეწვომომარაგებას“ და ქ. თბილისის კინომექანიკოსთა სკოლას.

4. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტი, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოების კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტები, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომების კინოფიკაციის სამმართველოები, კინოსტუდიები, კინოფილმების გაქირავების რესპუბლიკური კანტორა, კანტორები და განყოფილებები, კინოქსელის დირექციები, კინოთეატრები, კინომექანიკოსთა სკოლა და საწარმოო გაერთიანება „საქკინომრეწვომომარაგება“ შეადგენენ კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის სისტემას.

5. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონებით, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებით, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებითა და განკარგულებებით და სხვა ნორმატიული აქტებით, აგრეთვე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის ბრძანებებით, ინსტრუქციებითა და მითითებებით და ამ დებულებით და უზრუნველყოფს მოქმედი კანონმდებლობის სწორად გამოყენებას კომიტეტის სისტემის საწარმოებში, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში.

6. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტი მისთვის დაკისრებული ამოცანების შესაბამისად:

ა) მოაწყობს და წარმართავს მუშაობას მაღალი დეურის და მაღალმხატვრული სცენარების, კინოფილმების, ფილმებისათვის მუსიკალური ნაწარმოებების

შესაქმნელად, დადგენილი წესით მოაწყობს კონკურსებს კინოფილმების სცენარების შესაქმნელად;

განიხილავს მხატვრული ფილმების სცენარებს, აგრეთვე ქრონიკალურ-დოკუმენტური, სამეცნიერო-პოპულარული და სასწავლო ფილმების სცენარებს განსაკუთრებით მნიშვნელოვან თემებზე და წარუდგენს მათს დასამტკიცებლად სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტს.

დაამტკიცებს ქრონიკალურ-დოკუმენტური, სამეცნიერო-პოპულარული და სასწავლო ფილმების სცენარებს, გარდა აღნიშნული ფილმების სცენარებისა განსაკუთრებით მნიშვნელოვან თემებზე;

ბ) შეიმუშავებს და წარადგენს დადგენილი წესით მხატვრული, სამეცნიერო-პოპულარული, ქრონიკალურ-დოკუმენტური, სატელევიზიო, მულტიპლიკაციური და სხვა კინობროდუქციის პერსპექტიულ და წლიურ თემატიკურ გეგმათა პროექტებს სრულმეტრაჟიანი ფილმების წარმოების დაწყებისა და დამთავრების ვადების, ყველა სახეობის ფილმების წარმოების ხარჯების მოცულობის აღნიშვნით, აგრეთვე დადგენილი წესით შეიტანს ცვლილებებს ყველა ფილმის წარმოების წლიურ და კვარტალურ გეგმებში, მათი დანახარჯების მოცულობაში;

გ) განახორციელებს დადგენილი წესით მხატვრული ფილმების სცენარების ჩაშვებას რეჟისორული ვარიანტის დამუშავებაში, ფილმების ჩაშვების მოსამზადებელ პერიოდსა და წარმოებაში; დაამტკიცებს კალენდარულ-დადგმითს გეგმებს და თავისი კომპეტენციის ფარგლებში განახორციელებს ფილმების მიღებას, სახეობათა და ჯგუფების დადგენას საზღაურის მიხედვით, აგრეთვე რესპუბლიკური სტუდიების კინოფილმების ტირაჟირებას რესპუბლიკურ ეკრანზე გამოსაშვებად და წარუდგენს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტს წინადადებებს რესპუბლიკაში გამოსაშვებად საერთო ეკრანის კინოფილმების ტირაჟების შესახებ.

დ) კონტროლს გაუწევს ფილმების წარმოებისათვის დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვების შესრულებას, განიხილავს და დაამტკიცებს დადგენილი წესით ფილმების წარმოებისათვის გაწეული დანახარჯების, აგრეთვე ფილმების სცენარებისა და მუსიკალური ნაწარმოებების შექმნისათვის გაწეული დანახარჯების ჩამოწერას;

ე) შეიმუშავებს და დაამტკიცებს დაქვემდებარებულ საწარმოთა, დაწესებულებათა და სასწავლებელთა წარმოების, კაპიტალური მშენებლობის, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების გეგმებს, შრომის გეგმებს, შემოსავალ-გასავლის ბალანსებს, წარუდგენს აღნიშნულ გეგმებს დადგენილი წესით ზემდგომ ორგანოებს და განახორციელებს ღონისძიებებს დამტკიცებული გეგმების შესრულებისათვის;

ვ) შეიმუშავებს და წარადგენს დადგენილი წესით სახელმწიფო კინოქსელის განვითარებისა და ექსპლუატაციის გეგმათა პროექტებს სახალხო-სამეურნეო გეგმაში მათ შესატანად;

ზ) განიხილავს და წარადგენს დადგენილი წესით რესპუბლიკის კინემატოგრაფიის საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციებისაგან სხვა უწყე-

ბებისაგან შემოსულ მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების განაცხადებს, აგრეთვე განაწილებს გამოყოფილ ფონდებს, მათ შორის, დადგენილი წესით, გამოუშვებს ბილეთებს და მოამარაგებს ბილეთებით ყველა კინოთეატრსა და კინოდანადგარს, მათი უწყებრივი დაქვემდებარების მიუხედავად, აგრეთვე კონტროლს გაუწევს მთელ კინოქსელში საბილეთო მეურნეობის სწორად წარმოებას;

თ) შემომუშავეებს და წარადგენს დადგენილი წესით კინემატოგრაფიის სპეციალობის უმაღლესი, საშუალო და პროფესიულ-ტექნიკური განათლების მქონე კადრების მომზადების გეგმებს რესპუბლიკის კინოწარმოებისა და კინოქსელის მოთხოვნილების შესაბამისად;

ი) კონტროლს გაუწევს კინოთეატრებისა და კინოდანადგარების გახსნისა და ექსპლუატაციის თაობაზე ნებართვის გაცემის დადგენილი წესის შესრულებას, მათი უწყებრივი დაქვემდებარების მიუხედავად; განახორციელებს კინოფილმების გაქირავებას რესპუბლიკის ტერიტორიაზე;

კონტროლს გაუწევს ყველა სამინისტროს, უწყებისა და ორგანიზაციისათვის სავალდებულო კინოთეატრებისა და კინოდანადგარების ექსპლუატაციის ტექნიკური ნორმებისა და წესების შესრულებას.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის მითითებანი მისი კომპეტენციისათვის განკუთვნილ საკითხებზე ერთიანი ტექნიკური პოლიტიკის განხორციელების, ტექნიკური ექსპლუატაციის წესებისა და ნორმების დაცვის დარგში სავალდებულოა რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული ყველა სამინისტროს, უწყებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციის კინოთეატრებისა და კინოდანადგარებისათვის;

კ) კონტროლს გაუწევს კინოფილმების გაქირავების დადგენილ წესს ყველა კინოთეატრში და კინოდანადგარზე, მათი უწყებრივი დაქვემდებარების მიუხედავად; კონტროლს გაუწევს კინორეპერტუარსა და კინოფილმების დემონსტრაციას სახელმწიფო კინოქსელის კინოთეატრებში და კინოდანადგარებზე, ყველა სამინისტროს, უწყებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციის კინოქსელში რესპუბლიკის ტერიტორიაზე, აგრეთვე წარმართავს და გააკონტროლებს მუშაობას საბჭოთა კინოხელოვნების პროპაგანდისა და პოპულარიზაციის დარგში; მოაწიებს საბჭოთა ფილმების პრემიერებს, კინოკვირეულებსა და კინოფესტივალებს, ხელს შეუწყობს სამოყვარულო კინოს განვითარებას;

ლ) გამოიყენებს საკონკურსო სისტემას შემოქმედებითი მუშაების თანამდებობათა დაკავებისას, აგრეთვე დადგენილი წესით განახორციელებს კინემატოგრაფიის მუშაკთა ატესტაციას;

მ) მოამზადებს წინადადებებს რესპუბლიკის ტერიტორიაზე კინემატოგრაფიის ობიექტების დაპროექტებისა და მშენებლობის შესახებ, შეიმუშავეებს და დაამტკიცებს დადგენილი წესით ამ ობიექტების მშენებლობის სატიტულო სიებს, პროექტებსა და ხარჯთაღრიცხვებს და წარადგენს მათ რესპუბლიკის სახალხო-სამეურნეო გეგმაში შესატანად; გადაწყვეტს სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის საქართველოს რესპუბლიკურ კანტორასთან ერთად კინოთეატრების მშენებლობისათვის კრედიტების მიცემის საკითხებს, უზრუნველყოფს კინოქსელის რაციონალურ განლაგებას რესპუბლიკაში;

ნ) ხელს შეუწყობს გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის განვითარებას, მოწინავე გამოცდილების გავრცელებას კინემატოგრაფიაში;

ო) განახორციელებს ღონისძიებებს, რომელთა მიზანია შრომის ნაყოფიერების ამაღლება, სახელმწიფო სახსრების მომჭირნობა ფილმების შექმნის დროს და დაქვემდებარებულ საწარმოებში გამოშვებული პროდუქციის თვითღირებულების შემცირება;

პ) მოაწვობს პროფკავშირულ და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ერთად სოციალისტურ შეჯიბრებას კინემატოგრაფიის საწარმოებში, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში, შეაჯამებს შედეგებს, წახალისებს შეჯიბრების გამარჯვებულებს;

ჟ) დააჯილდოებს დადგენილი წესით კინემატოგრაფიის მოწინავე მუშაკებს სამკერდე ნიშნებით, საპატიო სიგელებით და გამოიყენებს წახალისების სხვა ფორმებს;

ს) განახორციელებს დადგენილი წესით კინოსტუდიების სამხატვრო-საწარმოო და სამხატვრო-საშემსრულებლო პერსონალის ტარიფიკაციას;

ტ) განახორციელებს დადგენილი წესით მუშაობას კინემატოგრაფიის მუშაკთა კადრების შერჩევის, განაწილების, კვალიფიკაციის ამაღლებისა და აღზრდისათვის;

უ) გადაანაწილებს დადგენილი წესით საბრუნავ სახსრებს, საამორტიზაციო ანარიცხებსა და კაპიტალურ დაზანდებებს კომიტეტისადმი უშუალოდ დაქვემდებარებულ დაწესებულებებსა და საწარმო-ორგანიზაციებს შორის, უზრუნველყოფს მათ დაფინანსებას და გაუწევს დროებით ფინანსურ დახმარებას, აგრეთვე განიხილავს და დაამტკიცებს მათს ანგარიშებსა და ბალანსებს; განახორციელებს კონტროლს მათ მიერ საფინანსო, საბიუჯეტო და სახარჯთაღრიცხვო დისციპლინის დაცვისადმი; ჩაატარებს მათი საქმიანობის დოკუმენტურ რევიზიებს; შეადგენს კრებისით პერიოდულ და წლიურ ანგარიშებსა და ბალანსებს კომიტეტის ყველა სახეობის საწარმო და საფინანსო-სამეთურნეო საქმიანობის მიხედვით;

ფ) მოაწვობს პროფკავშირულ ორგანოებთან შეთანხმებით მუშაობას კოლექტიურ ხელშეკრულებათა დადებისათვის, გამომუშავების ნორმების გადასინჯვისათვის, შრომის კანონმდებლობის, უსაფრთხოების ტექნიკისა და შრომის დაცვის წესების შესრულებისათვის დაქვემდებარებულ საწარმოებში, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში.

7. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტს სათავეში უდგას კომიტეტის თავმჯდომარე, რომელსაც ნიშნავს საქართველოს სსრ კონსტიტუციის შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარეს ჰყავს მოადგილეები. რომლებსაც ნიშნავს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო. თავმჯდომარის მოადგილეთა შორის მოვალეობებს ანაწილებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე.

8. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე პერსონალურად პასუხისმგებელია კომიტეტისათვის

დაკისრებული ამოცანებისა და მოვალეობების შესრულებისათვის, აწესებს თავმჯდომარის მოადგილეთა, კომიტეტის სამმართველოების, განყოფილებებისა და სხვა ქვედანაყოფების ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობას საქმიანობის ალკეული დარგებისადმი ხელმძღვანელობისათვის, აგრეთვე კომიტეტის საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მუშაობისათვის.

9. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე კომიტეტის კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს მოქმედი კანონების, აგრეთვე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებისა და განკარგულებების, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის ინსტრუქციებისა და მითითებების საფუძველზე და შესასრულებლად ბრძანებებსა და ინსტრუქციებს და გასცემს კომიტეტის სისტემის საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებებისათვის სავალდებულო მითითებებს და შეამოწმებს მათ შესრულებას; შექმნის, გარდაქმნის და გააუქმებს დადგენილი წესით საწარმოებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს და განსაზღვრავს მათს დაქვემდებარებას; დაამტკიცებს დებულებებს კომიტეტის მთავარი სამართველოების, სამმართველოებისა და განყოფილებების შესახებ, აგრეთვე წესდებებსა და დებულებებს რენსუბლიკური (საქართველოს სსრ) დაქვემდებარების საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების შესახებ; დანიშნავს თანამდებობაზე და გაათავისუფლებს თანამდებობიდან კომიტეტის ცენტრალური აპარატისა და მისდამი უშუალოდ დაქვემდებარებულ საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა ხელმძღვანელ მუშაკებს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე საჭირო შემთხვევებში გამოსცემს საქართველოს სსრ სამინისტროთა და უწყებათა ხელმძღვანელებთან ერთად ერთობლივ ბრძანებებსა და ინსტრუქციებს.

10. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტში იქმნება კოლეგია შემდეგი შემადგენლობით: კომიტეტის თავმჯდომარე (კოლეგიის თავმჯდომარე) და კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეება თანამდებობის მიხედვით, აგრეთვე კომიტეტის სხვა ხელმძღვანელი მუშაკება და კინემატოგრაფიის მოღვაწენი. კოლეგიის წევრებს ამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

11. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის კოლეგია თავის რეგულარულად მოწვეულ სხდომებზე განიხილავს რესპუბლიკაში კინემატოგრაფიის შემდგომი განვითარების, კინოხელოვნების მაღალი დეურ და მაღალმატერულ ნაწარმოებთა შექმნისათვის საჭირო პირობების უზრუნველყოფის, მათი წარმოებისა და გაქირავების ეკონომიკისა და ორგანიზაციის გაუმჯობესების უმნიშვნელოვანეს საკითხებს, საქვეუწყებო საწარმოებისადმი, ორგანიზაციებისა და დაწესებულებებისადმი პრაქტიკული ხელმძღვანელობის, შესრულების შემოწმების, კადრების შერჩევის, მომზადებისა და გამოყენების საკითხებს, უმნიშვნელოვანეს ბრძანებათა და ინსტრუქციათა პროექტებს, ისმენს კომიტეტის სამმართველოთა და განყოფილებათა და საქვე-

უწყებო კინოსტუდიათა, საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა მოხსენებებს.

კოლეგიის გადაწყვეტილებანი, როგორც წესი, ხორციელდება კომიტეტის თავმჯდომარის ბრძანებებით. კომიტეტის თავმჯდომარესა და კოლეგიას შორის უთანხმოების შემთხვევაში თავმჯდომარე ახორციელებს თავის გადაწყვეტილებას, ამასთან წამოჭრილ უთანხმოებათა შესახებ მოახსენებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, ხოლო კოლეგიის წევრებს, თავის მხრივ, შეუძლიათ აცნობონ თავიანთი აზრი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

12. კინემატოგრაფიის განვითარების ძირითადი საკითხების განსახილველად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტში იქმნება სამხატვრო საბჭო მაღალკვალიფიციური სპეციალისტებისა და შემოქმედებითი მუშაკებისაგან. აღნიშნული საბჭოს შემადგენლობასა და დებულებას ამტკიცებს კომიტეტის თავმჯდომარე.

13. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის სტრუქტურასა და კომიტეტის ცენტრალური აპარატის მუშაკთა რიცხოვნობას ამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტთან შეთანხმებით. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის სტრუქტურულ ქვედანაყოფთა საშტატო განრიგს, აგრეთვე მათ დებულებებს ამტკიცებს კომიტეტის თავმჯდომარე.

14. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტს აქვს ბეჭედი, რომელზეც გამოსახულია საქართველოს სსრ სახელმწიფო გერბი და აღნიშნულია მისი სახელწოდება.

## 64 საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს დეპუტების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დამტკიცდეს თანდართული დებულება საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს შესახებ.

2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 11 ივნისის № 355 დადგენილება „საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს  
 თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს  
 საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1974 წ. 3 აგვისტო, № 445

დ ა მ ბ კ ი ც ე ბ ა ლ ი ა  
 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს  
 1974 წლის 3 აგვისტოს № 445  
 დადგენილებით

## დ ე ბ უ ლ ე ბ ა

### საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს შესახებ

1. საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრო, საქართველოს კონსტიტუციის 56 და 58 მუხლების შესაბამისად, არის რესპუბლიკური სამინისტრო და თავის საქმიანობაში უშუალოდ ემორჩილება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

2. საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს ძირითადი ამოცანაა: სამინისტროსა და მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოებისადმი დაქვემდებარებული ადგილობრივი მრეწველობის ყოველმხრივი განვითარება.

ამ ამოცანის შესაბამისად, საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრო:

ა) საწარმოთა განაცხადის განხილვის შედეგად ადგენს საწარმოთა და მთლიანად სამინისტროს პროდუქციის გამოშვებისა და რეალიზაციის, შრომის მაჩვენებლების, მოგების, რენტაბელობის, კაპიტალურ დაბანდებათა, ფინანსების, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგებისა და გასაღების, ახალი ტექნიკის დანერგვისა და სხვა გეგმებს, ამტკიცებს მათ და ახორციელებს სისტემატურ კონტროლს მათი შესრულებისადმი.

ბ) პერსპექტიული და მიმდინარე გეგმების შედგენისას სახავს კონკრეტულ ღონისძიებებს ადგილობრივი მრეწველობის შემდგომი განვითარების უზრუნველსაყოფად სახალხო მოხმარების ისეთი საქონლის წარმოების მნიშვნელოვანი გაფართოების გზით, რომელიც შეესაბამება მოსახლეობის გემოვნებასა და მოთხოვნილებას ბუნებრივ-კლიმატური, ეროვნული და სხვა ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით;

გ) ყოველნაირად განავითარებს ხალხურ, სამხატვრო სარწმუნო, გაზრდის კულტურულ-საყოფაცხოვრებო და სამეურნეო დანიშნულების, სასაჩუქრო და სუვენირულ ნაკეთობათა გამოშვებას;

დ) გაფართოებს პროდუქციის ასორტიმენტს, სისტემატურად გააუმჯობესებს მის ხარისხს, შეფუთვისა და გაფორმებას, აგრეთვე განახორციელებს ღონისძიებებს, რომლებიც გამორიცხავენ ისეთი საქონლის გამოშვებას, რომელიც ვერ აკმაყოფილებს მყიდველის მოთხოვნას;

ე) გაზრდის წარმოების ეფექტიანობას, ძირეულად გააუმჯობესებს საწარმოო ფონდების გამოყენებას, შრომატევადი პროცესების მექანიზაციას, ფართოდ დანერგავს ახალ ტექნიკასა და მოწინავე ტექნოლოგიას, სრულყოფს შრომის ორგანიზაციას და მისი ნაყოფიერების შემდგომ ამღობებას, მოქმედი საწარმოების რეკონსტრუქციასა და გაფართოებას, საწარმოებისა და სააპქროების სპეციალიზაციის განსაზღვრული სახის ნაკეთობათა წარმოებისათვის;



ვ) სრულყოფს დაგეგმვას, მართვასა და სამეურნეო ანგარიშს, დანერგვას წარმოების მეცნიერულ ორგანიზაციას, ფართოდ გამოიყენებს წარმოების მართვაში ეკონომიურ-მათემატიკურ მეთოდებსა და გამოთვლითი ტექნიკის საშუალებებს;

ზ) უზრუნველყოფს შრომის ანაზღაურებისა და პრემირების მოქმედი პირობების სწორად გამოყენებას, შრომის ნაყოფიერების ზრდასა და ხელფასის გადიდებას შორის საჭირო თანაფარდობის დაცვას, განახორციელებს კონტროლს ხელფასის ფონდისა და წამახალისებელი ფონდების ხარჯვისადმი;

თ) გააუმჯობესებს პროფკავშირულ ორგანიზაციებთან ერთად სისტემაში შემავალი საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მუშაკთა საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობებს;

ი) შეიშუშავებს და საქართველოს სსრ ფასების კომიტეტს წარუდგენა მასალებს დაქვემდებარებულ საწარმოთა მიერ დამზადებული ახალ სახეობათა პროდუქციის ფასების დასამტკიცებლად, განახორციელებს კონტროლს საწარმოებისა და ორგანიზაციების მიერ ფასების სწორად გამოყენებისადმი;

კ) დადგენილი წესით დამტკიცებს და საჭიროების შემთხვევაში შეცვლის დაქვემდებარებულ საწარმოებსა და ორგანიზაციებში წარმოების, კაპიტალურ დაბანდებათა და სხვა მაჩვენებელთა დავალებებს სამინისტროს დაწესებულ საგეგმო დავალებათა ფარგლებში. მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად დაუწესებს სამინისტროს საწარმოებსა და ორგანიზაციებს დავალებებს;

ლ) შეიტანს სახალხო მოხმარების ცალკეულ სახეობათა საქონლის წარმოების გეგმებში ცვლილებებს, რაც დაკავშირებულია იმ საქონლის წარმოების შემცირებასთან, რომელიც ნაკლები მოთხოვნილებით სარგებლობს, შესაბამისად გადაიდებს ისეთი საქონლის წარმოებას, რომელზედაც დიდია მოთხოვნილება, საჭირო შესწორებებს შეიტანს გეგმის სხვა მაჩვენებლებში ისე, რომ ამან არ შეამციროს სამრეწველო პროდუქციის წარმოების, დაგროვებისა და საბიუჯეტო გადასახდელთა გეგმა მთლიანად სამინისტროს სისტემაში, რასაც შემდგომ აცნობებს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტსა და ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს;

მ) მიიღებს სამინისტროს არასაქვეუწყებო საწარმოებისა და ორგანიზაციებისაგან, ისე, რომ ამან ზიანი არ მიაყენოს სახელმწიფო გეგმის დავალებათა შესრულებას, სახელმწიფო გეგმით გათვალისწინებული პროდუქციის დამზადების შეკვეთებს შემკვეთის მასალისაგან, ადგილობრივი ნედლეულის, სათბობისა და წარმოების ნარჩენების გამოყენებით;

ნ) შრომისა და მოგების გეგმებში სათანადო ცვლილებების შეტანით, ბიუჯეტში გადასახდელების გეგმების შეუმცირებლად, შეცვლის მოხმარებელთა თხოვნით წარმოების წლიურ მოცულობასა და ნაკეთობათა ნომენკლატურას, რომელთა დამზადების გეგმა დამტკიცებულია უშუალოდ სამინისტროს მიერ.

ო) დამტკიცებს სამრეწველო საწარმოების შრომის, პროდუქციის, მოგების, კაპიტალურ დაბანდებათა, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგებისა და გასაღების გეგმებს რაიონული სამრეწველო კომბინატებისათვის, აფხაზეთის

ასრ, აჭარის ასრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროებისა და სსრკ-ის მრეწველობის სამინისტროების ავტონომიური ოლქის ადგილობრივი მრეწველობის სამმართველოსათვის;

ბ) დაგეგმავს ადგილობრივი მრეწველობის სამრეწველო საწარმოთა ფინანსებს, შექმნის ადგილობრივი მრეწველობის განვითარების ცენტრალიზებულ ფონდს და წარმართავს ამ ფონდს დანიშნულებისამებრ;

ჟ) დაამტკიცებს რესპუბლიკის სახალხო-სამეურნეო გეგმისა და ბიუჯეტის შესაბამისად დაქვემდებარებული საწარმოებისა და ორგანიზაციების შემოსავალ-გასავლის ბალანსებს (საფინანსო გეგმებს), აგრეთვე საბიუჯეტო დაწესებულებათა ხარჯთაღრიცხვებს, რასაც აცნობებს საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს;

რ) საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს შენახვა ხდება იმ ანარიცხების ხარჯზე, რომლებიც შეიტანება სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი საწარმოების პროდუქციისა და მომსახურების თვითღირებულებაში;

ს) გადაანაწილებს საწარმოებსა და ორგანიზაციებს შორის ჰარბ საკუთარ საბრუნავ სახსრებს თვითური, კვარტალური და წლიური საბუღალტრო ანგარიშებისა და ბალანსების მიხედვით, აგრეთვე საფინანსო გეგმების ცვლილებასთან დაკავშირებით საკუთარი საბრუნავი სახსრების ნორმატივების ცვლილების დროს.

ტ) შექმნის საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის დროებითი ფინანსური დახმარების გასაწევ რეზერვს წლიური გეგმით დაწესებული საკუთარი საბრუნავი სახსრების ნორმატივების 3 პროცენტამდე ოდენობით მიუხედავად ნორმატივების ზრდის თანხისა, რაც გათვალისწინებულია სამინისტროს შემოსავალ-გასავლის წლიური ბალანსით; შექმნის საწარმოებისა და ორგანიზაციების ფინანსური დახმარების რეზერვს დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალ წესზე გადაყვანილი საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის მოგების 1,5 პროცენტის ოდენობით;

უ) გახსნის ბანკებში საანგარიშსწორებო ანგარიშებს საქვეუწყებო საწარმოებსა და ორგანიზაციებს შორის საკუთარი სახსრებისა და სხვა საშუალებათა გადაანაწილებისათვის, აგრეთვე საანგარიშსწორებო ანგარიშებს საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის ფინანსური დახმარების გასაწევი რეზერვის სახსრების მიხედვით;

ფ) საწარმოთა და ორგანიზაციათა ბალანსებიდან ინვენტარიზაციის შედეგად გამოვლინებული დანაკლისების, აგრეთვე ბალანსებიდან სხვა ვალების ჩამოწერის, შეწყვეტილ მშენებლობათა ხარჯებისა და განუხორციელებელი მშენებლობის საპროექტო-საძიებო სამუშაოთა ხარჯების ჩამოწერის ნებართვის მიცემას აწარმოებს „სახელმწიფო-კოოპერაციული (გარდა კოლმეურნეობისა) და საზოგადოებრივი საწარმოებისა და ორგანიზაციების საბუღალტრო ანგარიშებისა და ბალანსების შესახებ დებულების“ შესაბამისად.

უზრუნველყოფს საწარმოთა და ორგანიზაციათა შემოსავალ-გასავლის ბალანსებით გათვალისწინებულ ბიუჯეტში გადასახდელების გეგმების შესრულებას, იღებს სათანადო ზომებს ნარჩენების სალიკვიდაციოდ;

ქ) დანერგავს ახალ ტექნიკას და პროგრესულ ტექნოლოგიას, ტექნიკურ გაუმჯობესებებს, საწარმოო-საექსპლუატაციო საკიროებისათვის, მშენებლობისა და სარემონტო სამუშაოებისათვის მოწყობილობის გამოყენების, ნედლეულის, მასალების, სათბობისა და ელექტროენერჯის ხარჯვის საშუალო პროგრესულ ნორმებს;

ღ) უზრუნველყოფს სისტემის საწარმოების საწარმოო სიმძლავრეთა და ადგილობრივი ნედლეულის არსებული რესურსების მაქსიმალურად გამოყენებას;

ყ) შეიმუშავებს და განახორციელებს სამრეწველო პროდუქციის რენტაბელობის ამაღლებისა და მისი ხარისხის გაუმჯობესების ღონისძიებებს.

ბ) განახორციელებს საერთო ხელმძღვანელობას დოკუმენტური მასალების დაცვა-შენახვისადმი, მოწესრიგებისადმი, აღრიცხვისა და გამოყენებისადმი, მათი შერჩევისა და მოსპობისადმი, კონტროლს გაუწევს საქმისწარმოებისა და არქივების მდგომარეობას საქვეუწყებო დაწესებულებებში, ორგანიზაციებსა და საწარმოებში; შეიმუშავებს წესებს, ინსტრუქციებს, საქმეების, დოკუმენტურ მასალათა უწყებრივი ნუსხების სანიმუშო ნომენკლატურას და სხვა ნორმატივებს თავისი სისტემის დაწესებულებებში, ორგანიზაციებსა და საწარმოებში არქივების მუშაობისა და საქმის წარმოების დაყენების საკითხებზე;

შ) გაანაწილებს სისტემაში სამინისტროსათვის გამოყოფილი მასალების, ნედლეულისა და მოწყობილობის ფონდებს, განახორციელებს კონტროლს ნედლეულისა და მასალების სწორად და მომჭირნეობით გამოყენებისადმი, აგრეთვე ადგილობრივი მრეწველობის სამრეწველო და სხვა საწარმოების პროდუქციის რეალიზაციისა და გასაღებისადმი.

ჩ) მოაწყობს საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს კადრების აღრიცხვასა და შერჩევას, მათს მომზადებას, გადაზიდვასა და კვალიფიკაციის ამაღლებას;

ც) დაამტკიცებს სამინისტროს საქვეუწყებო რესპუბლიკური დაქვემდებარების საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა დებულებებსა და წესდებებს, აგრეთვე დებულებებს სამინისტროს ცენტრალური აპარატურის სტრუქტურულ ქვედანაყოფთა შესახებ;

ძ) დაამტკიცებს რესპუბლიკური დაქვემდებარების საწარმოთა, ორგანიზაციათა ანგარიშებსა და ბალანსებს, ჩაატარებს ადგილობრივი რესპუბლიკური დაქვემდებარების საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა საფინანსო-სამეთრნეო საქმიანობის დოკუმენტურ რევიზიებს.

წ) გამოსცემს მასალებს სამსახურებრივი სარგებლობისათვის ადგილობრივი მრეწველობის საკითხებზე (ინსტრუქციები, დებულებები, მოწინავე გამოცდილების გაზიარების მასალები, გამოგონებანი და ა. შ.);

ჭ) პროფკავშირულ ორგანოებთან ერთად ხელმძღვანელობას გაუწევს სოციალისტურ შეჯიბრებას, მოაწყობს საწარმოების ნოვატორთა გამოცდილების გაზიარებას, შეიმუშავებს შრომის ნაყოფიერების ზრდისა და ხელფასის ნორმების საკითხებს, ჩაატარებს მუშაობას კოლექტიურ ხელშეკრულებათა

დადებისა და მათი შესრულების შემოწმებისათვის, განახორციელებს შრომისა და უსაფრთხოების ტექნიკის დაცვის ღონისძიებებს;

3) შექმნის, გარდაქმნის და გააუქმებს დადგენილი წესით მისდამი დაქვემდებარებულ საწარმოებს, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს.

3. საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 52 მუხლის შესაბამისად საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრო განახორციელებს ადგილობრივი მრეწველობის ხელმძღვანელობას საქართველოს სსრ ტერიტორიაზე აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ადგილობრივი მრეწველობის სამმართველოს, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომების რაიონული (საქალაქო) სამრეწველო კომბინატების მეშვეობით, რომლებიც თავიანთ საქმიანობაში ემორჩილებიან როგორც საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს, ისე ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებსა და მშრომელთა დეპუტატების შესაბამისი საოლქო, საქალაქო, რაიონული საბჭოების აღმასკომებს, აგრეთვე ხელმძღვანელობას გაუწევს სამინისტროსადმი უშუალოდ დაქვემდებარებულ საწარმოებსა და ორგანიზაციებს.

4. საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს სათავეში უდგას მინისტრი.

5. საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის მინისტრი უზრუნველყოფს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონების, აგრეთვე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ სამინისტროს საქმიანობის საკითხებზე მიღებული დადგენილებებისა და განკარგულებების შესრულებას, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს განსახილველად წარუდგენს დადგენილებებისა და განკარგულებების პროექტებს ადგილობრივი მრეწველობის საკითხებზე.

6. საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის მინისტრი შეაჩერებს ავტონომიური რესპუბლიკების ადგილობრივი მრეწველობის მინისტრების ბრძანებებისა და ინსტრუქციების შესრულებას და გააუქმებს მშრომელთა დეპუტატების საოლქო, საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომების ადგილობრივი მრეწველობის მმართველობის ორგანოების ხელმძღვანელთა ბრძანებებსა და ინსტრუქციებს, აგრეთვე სამინისტროს სისტემის დაწესებულებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელთა ბრძანებებს, რომლებიც ეწინააღმდეგებიან სსრ კავშირის და საქართველოს სსრ კანონებს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს სსრ კანონებს, სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს ბრძანებებსა და ინსტრუქციებს.

7. ავტონომიური რესპუბლიკების ადგილობრივი მრეწველობის მინისტრების ბრძანებებისა და ინსტრუქციების გაუქმების საკითხს საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის მინისტრი შეიტანს შესაბამისი ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს განსახილველად.

8. საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის მინისტრი დაწესდება და თანამდებობიდან დაითხოვს სამინისტროს ცენტრალური აპარატის მუშაკებს, აგრეთვე სამინისტროსადმი დაქვემდებარებულ დაწესებულებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელებსა და მათ მოადგილეებს, მთავარ ინჟინრებს, მთავარ (უფროს) ბუღალტრებს დაწესებული ნომენკლატურის თანახმად; დაამტკიცებს მშრომელთა დებუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოების აღმასკომების ადგილობრივი მრეწველობის მმართველობის ორგანოების ხელმძღვანელთა დანიშვნას, გარდა აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის დაქვემდებარებისა.

სამრეწველო კომბინატების დირექტორებს, დირექტორთა მოადგილეებს, ტექნიკურ ხელმძღვანელებს (მთავარ ინჟინრებს), უფროს ბუღალტრებსა და ტექნიკური კონტროლის განყოფილების უფროსებს დანიშნავს ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრო მშრომელთა დებუტატების საბჭოების აღმასკომების წარდგენით.

9. საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროში შეიქმნება კოლეგია მინისტრის თავმჯდომარეობით; კოლეგია განიხილავს პრაქტიკული ხელმძღვანელობის, შესრულების შემოწმების საკითხებს, უმნიშვნელოვანესი ღონისძიებებისა და სახელმძღვანელო მასალების პროექტებს, ანგარიშებს სამინისტროს სტრუქტურული ქვეგანყოფილებების, აგრეთვე სისტემის დაწესებულებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების მუშაობის შესახებ.

კოლეგიის შემადგენლობას ამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო მინისტრის წარდგენით. კოლეგიის გადაწყვეტილებანი განხორციელდება მინისტრის ბრძანებით.

მინისტრსა და კოლეგიის წევრებს შორის უთანხმოების შემთხვევაში მინისტრი განახორციელებს თავის გადაწყვეტილებას და წამოჭრილი უთანხმოების შესახებ აცნობებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს; კოლეგიის წევრებს თავის მხრივ შეუძლიათ აპელაციით მიმართონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

10. საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროსთან არსებობს სამეცნიერო-ტექნიკური საბჭო და გამომგონებლობის ბიურო, რომელთა პერსონალურ შემადგენლობას ამტკიცებს მინისტრი, და უწყებრივი არბიტრაჟი, რომელიც მოქმედებს მინისტრის მიერ დამტკიცებული დებულების საფუძველზე.

11. საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის მინისტრი საჭირო შემთხვევებში, ხელმძღვანელ და ძირეულ მუშაკთა და წარმოების მოწინავეთა გამოცდილების უკეთ გამოყენების მიზნით, მოიწვევს აქტივის თათბირებს, ამ თათბირებზე განიხილავენ ზემდგომი ორგანოების უმნიშვნელოვანეს გადაწყვეტილებებსა და ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს სახელმძღვანელო მითითებებს, რომლებიც მიმართულია ამ გადაწყვეტილებათა შესრულების უზრუნველყოფისათვის, აგრეთვე განიხილავენ სისტემის დაწესებულებების

ბათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა საწარმოო და სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის გაუმჯობესების საკითხებს.

12. საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს სტრუქტურასა და შტატებს დაამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

13. საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს აქვს ბეჭედი, რომელზედაც გამოსახულია საქართველოს სსრ გერბი და თავისი სახელწოდება.

---



## 65 ცუცხვათის მღვიმოვანის ნაკრძალად და მისი მიმდებარე მწვა. ნე ჴონის სახელმწიფო აღკვეთილად გამოცხადების შესახებ

ცუცხვათის მღვიმოვანის როგორც ბუნების უნიკალური ძეგლის დაცვისა და კეთილმოწყობის მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. გამოცხადდეს ქ. ტყიბულისა და თერჯოლის რაიონის ტერიტორიაზე მდებარე ბუნების უნიკალური ძეგლი — ცუცხვათის მღვიმოვანი ნაკრძალად, ხოლო მისი მიმდებარე მწვანე ზონა (საერთო ფართობი 389 ჰექტარი) — სახელმწიფო აღკვეთილად, ეწოდოს მას „ცუცხვათის მღვიმოვანი“ და დაუქვემდებარდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის მთავარ სამმართველოს.

2. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტსა და საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს სახალხო მეურნეობის განვითარების 1975 წლის გეგმასა და სახელმწიფო ბიუჯეტში გათვალისწინონ ცუცხვათის მღვიმოვანისათვის საჭირო ხელფასის ფონდი და შენახვის ხარჯები.

3. დაევალოს საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტროს 1974 წლის ბოლომდე შეადგინოს სადგურ ორპირიდან ცუცხვათის ციხემდე არსებული 9 კილომეტრი სიგრძის გზის რეკონსტრუქციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია და 1975 წლის 10 იანვრამდე წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინადადებანი ამ გზის რეკონსტრუქციისა და შავი საფარით დაფარვის დაფინანსების წყაროსი და შესრულების ვადების შესახებ.

4. დაევალოს სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტს „საქქალაქმშენსახპროექტს“ უზრუნველყოს 1975 წელს ნაკრძალ ცუცხვათის მღვიმოვანისა და მისი მისასვლელების კეთილმოწყობის პროექტის შედგენა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის მთავარი სამმართველოს დაკვეთით.

5. დაევალოს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიას უზრუნველყოს ნაკრძალ ცუცხვათის მღვიმოვანის შემდგომი კომპლექსური გამოკვლევები და არქეოლოგიური გათხრები, მოამზადოს ძღვიმური ნაფენების კრილები, მათ შორის ექსპოზიცია „ნეანდერტალიდების საკულტო მღვიმე“, გადაიღოს ფერადი და შავეთიერი სურათები.

6. დაევალოს ტყიბულის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოსა და თერჯოლის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტებს ნაკრძალ ცუცხვათის მღვიმოვანის შექმნასთან დაკავშირებით წარმოადგინონ არსებული წესის მიხედვით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში მასალები საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის მთავარი სამმართველოსათვის 389 ჰექტარი საკოლმეურნეო მიწის გადასაცემად.

7. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის მთავარ სამმართველოს უზრუნველყოს ნაკრძალ ცუცხვათის მღვიმოვანის კეთილმოწყობა.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს  
თავმჯდომარის მოადგილე **შ. კიკნაძე**.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს  
საქმეთა მმართველი **წ. ახვლედიანი**.

ქ. თბილისი, 1974 წ. 13 აგვისტო, № 460

**66** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1958 წლის 19 თებერვლის № 107 დადგენილების ძალადაკარგულად ცნობის შესახებ

„საქართველოს სსრ წყლის კოდექსის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სსრ 1974 წლის 5 ივნისის კანონის მიღებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

ძალადაკარგულად ჩაითვალოს:

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1958 წლის 19 თებერვლის № 107 დადგენილება „საქართველოს სსრ წყალსარგებლობის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 17 სექტემბრის № 604 დადგენილებით შეტანილი ცვლილებებით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს  
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი**.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს  
საქმეთა მმართველი **წ. ახვლედიანი**.

ქ. თბილისი, 1974 წ. 13 აგვისტო, № 461



## 67 თანამედროვეობის ამსახველი პროზის, პოეზიის, დრამატურგიის, კრიტიკისა და პუბლიცისტიკის საუკეთესო ნაწარმოებებისათვის ყოველწლიური ლიტერატურული პრემიების დაწესების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. მიღებულ იქნეს საქართველოს მწერალთა კავშირის წინადადება და ნება დაერთოს მას პროზის, პოეზიის, დრამატურგიის, კრიტიკისა და პუბლიცისტიკის საუკეთესო ნაწარმოებებისათვის, რომლებშიც ასახული იქნებიან ჩვენი თანამედროვეები — ხუთწლედის გმირები —, დააწესოს ხუთი ყოველწლიური ლიტერატურული პრემია თითოეულ ენარში 1.500 მანეთის ოდენობით.

2. დაევალოს საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს ყოველწლიური ლიტერატურული პრემიების დაფინანსება გაითვალისწინოს რესპუბლიკურა ბიუჯეტით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს  
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი**.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს  
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი**.

ქ. თბილისი, 1974 წ. 14 აგვისტო, № 465

## 68 საქართველოს სსრ მდინარეებსა და წყალსაცავების კაშხალზე-ზეთისა და მარცხენა ნაპირების მოწყობის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავს, რომ უკანასკნელი წლების მანძილზე რესპუბლიკის მდინარეებსა და წყალსაცავებში საგრძნობლად შემცირდა თევზის მარაგი, გაუარესდა მისი ბუნებრივი მომრავლების პირობები და საშუალებები. ეს იმით აიხსნება, რომ მდინარეებსა და წყალსაცავებზე მდებარე ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა უმრავლესობა არ არის აღჭურვილი ეფექტიანი თევზსავალებით, რის გამოც თევზს არა აქვს საშუალება ქვირითის ყრის პერიოდში მოხვდეს მდინარის ქვედა ნაწილიდან ზედა ნაწილში — მისთვის სასურველ წყლებში.

მიუხედავად იმისა, რომ რესპუბლიკის მდინარეებზე არსებული მცირე და საშუალო სიდიდის კაშხალებზე შესაძლებელია უმნიშვნელო კაპიტალური დანახარჯებით მარტივი ტიპის თევზსავალების მოწყობა, დღემდე ეს საკითხი არ არის გადაწყვეტილი და ეს სამუშაოები არ მიმდინარეობს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტრომ:

— 1975 წლიდან მოაწყოს რესპუბლიკის სარწყავი სისტემის მცირე და საშუალო სიდიდის კაშხალებზე, სადაც კი ეს საჭირო და შესაძლებელია, მართვი ტიპის თევზსავალები „საქშავზღვათევზმშენის“ რეკომენდაციით.

— 1974 წლის ბოლომდე შეისწავლოს დიდ კაშხალებზე თევზსავალების მოწყობის საკითხი იმ მიზნით, რომ უკვე 1975 წლიდან შესაძლებელი იყოს თევზსავალების დაპროექტება და 1976 წლიდან მათი მშენებლობა.

2. საქართველოს სსრ ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის მთავარმა საწარმოო სამმართველომ გაითვალისწინოს 1975 წლისა და შემდგომი წლების გეგმის პროექტში რესპუბლიკის მდინარეებზე მოქმედი და მშენებარე ჰიდროელექტროსადგურებზე თევზსავალი მოწყობილობების მშენებლობისა და რეკონსტრუქციის შესწავლისა და დაპროექტების სამუშაოები, ისე, რომ 1977 წლიდან შესაძლებელი იყოს აღნიშნული მოწყობილობების მშენებლობა.

3. დაევალოს სსრ კავშირის თევზის მეურნეობის სამინისტროს „ჰიდროთევზპროექტის“ ამიერკავკასიის ფილიალს (ამხ. მაღალაშვილი) საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროსთან და საქართველოს სსრ ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის მთავარ საწარმოო სამმართველოსთან დადებულ ხელშეკრულებათა საფუძველზე შეადგინოს 1975-1976 წლებში საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია არსებულ და მშენებარე მცირე და საშუალო კაშხალებზე თევზსავალების ასაშენებლად.

4. საქართველოს შავი ზღვის აუზის თევზის მარაგის დაცვის, კვლავწარმოებისა და თევზჭერის რეგულირების სამმართველომ:

— მოწყობილ თევზსავალებზე აწარმოოს მულმივი დაკვირვება მათი კონსტრუქციის სრულყოფისა და ეფექტურობის გაზრდის მიზნით;

— არ დაუშვას აღნიშნულ ადგილებში თევზის ჭერა და თევზის მომრავლება-გადაადგილების ხელის შემშლელი სხვა დარღვევები.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს

თავმჯდომარე **ბ. ჯაპახიშვილი**.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს

საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი**.

ქ. თბილისი, 1974 წ. 23 აგვისტო, № 480

**69** არჩივთმცოდნეობის დარგში საუბათესო ნაშრომებისათვის აკადემიკოს ნიკო ბარძენიშვილის სახელობის პრემიის და-  
წესების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. რესპუბლიკაში არჩივთმცოდნეობის დარგში სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით დაწესდეს აკადემიკოს ნიკო ბარძენიშვილის სახელობის პრემიები, რომლებიც მიენიჭოს ცალკეულ ავტორებს ან ავტორთა კოლექტივებს საარჩევო საქმეში დოკუმენტმცოდნეობისა და არ-

ქეოგრაფიის დარგში მნიშვნელოვანი თეორიული და პრაქტიკული ღირებულების მქონე ნაშრომების შექმნისათვის.

2. აკადემიკოს ნ. ბერძენიშვილის სახელობის პირველი პრემიის ოდენობა განისაზღვროს 250 მანეთის, ხოლო მეორე პრემიისა — 150 მანეთის ოდენობით და გაიკვეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული მთავარი საარქივო სამმართველოსათვის დამტკიცებული ასიგნებებიდან.

3. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ მთავარ საარქივო სამმართველოს შეიმუშაოს და დაამტკიცოს აკად. ნ. ბერძენიშვილის სახელობის პრემიების დებულება.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს  
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს  
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ჭიბიაშვილი.**

ქ. თბილისი, 1974 წ. 23 აგვისტო № 482

**70** მოქალაქეთა მიერ დამაზღაურებელი ორგანიზაციებისათვის ჩაბარებული სოფლის მეურნეობის პროდუქციისათვის მათთან უმინიმუმ სალაროების მიუხედავად ანგარიშსწორების მიუხედავად

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო, რომელმაც განიხილა გორის, მახარაძისა და ლაგოდეხის რაიონების შემნახველ სალაროებში 1973 წლის 1 ივლისიდან ჩატარებული სოფლის მეურნეობის პროდუქციის ჩამბარებლებთან ანგარიშსწორების ცდის მასალები, აღნიშნავს, რომ ძირითადად ამ წესმა დადებითად იმოქმედა სოფლის მეურნეობის პროდუქციის ჩამბარებელთა მომსახურებაზე. მაგრამ დამაზღაურებელი ორგანიზაციების მიერ შემნახველ სალაროებში წარდგენილი სახელობითი სიების მიხედვით ანგარიშსწორება მოუქნელი და რთული აღმოჩნდა როგორც დამაზღაურებელი ორგანიზაციებისათვის, ისევე შემნახველი სალაროებისათვის, რის შედეგადაც მთელი რიგ შემთხვევებში იქმნება მოქალაქეთა რიგები, რაც აძნელებს მათი კუთვნილი თანხების დროულად მიღებას.

გარდა ამისა, მოსახლეობაში სუსტი მასობრივი ახსნა-განმარტებითი მუშაობის გამო მოქალაქეთა მიერ ჩამბარებული პროდუქციისათვის მათ კუთვნილ ანაბრებზე უმნიშვნელო თანხები დარჩა.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. გაგრძელდეს 1974-1975 წლებში სოფლის მეურნეობის პროდუქციის ჩამბარებლებთან ანგარიშსწორების ცდა გორის, მახარაძისა და ლაგოდეხის რაიონების შემნახველ სალაროებში.

2. სოფლის მეურნეობის პროდუქციის ჩამბარებლებს ფული 1974 წლის 1 სექტემბრიდან მიეცეთ არა სახელობითი სიების მიხედვით, არამედ სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მიერ დამტკიცებული საერთო-სახელმწიფოებრივი ფორმის მისაღები ქვითრების საფუძველზე, რომლებსაც დამამზადებელი ორგანიზაციები იძლევიან. ფული ქვითრების მიხედვით გაიცეს სსრ კავშირის სახელმწიფო შრომითი შემნახველი სალაროების გამგეობის მიერ მიცემული მითითებების შესაბამისად.

3. გორის, მახარაძისა და ლავოდების რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებმა მოაწიონ მოსახლეობაში ფართო მასობრივი ახსნა-განმარტებითი მუშაობა იმის შესახებ, თუ რაოდენ მოსახერხებელი და ხელსაყრელია ფულის შენახვა ანაბრებზე, რათა შემნახველი სალაროების მეშვეობით ფულის გაცემამ ხელი შეუწყოს ხალხის დანაზოგთა ზრდას.

4. საქართველოს სსრ სახელმწიფო შრომითი შემნახველი სალაროების სამმართველომ, ცეკავშირის გამგეობამ, აგრეთვე საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტრომ და საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტრომ უზრუნველყონ მცოდნე, პატიოსან მუშაკთა შერჩევა დამამზადებელ პუნქტებსა და იმ შემნახველ სალაროებში სამუშაოდ, რომლებიც აწარმოებენ დამამზადებელთათვის ჩაბარებული პროდუქციისათვის კუთვნილი ფულის გაცემას.

5. სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის საქართველოს რესპუბლიკური კანტორის მმართველმა, საქართველოს სსრ სახელმწიფო შრომითი შემნახველი სალაროების სამმართველოს უფროსმა და რესპუბლიკის დამამზადებელმა ორგანიზაციებმა უზრუნველყონ მუდმივი კონტროლი აღნიშნული ცდის ჩატარებისადმი, ამასთან გაუწიონ ადგილებზე საჭირო პრაქტიკული დახმარება ამ დღემნიშვნელოვან საქმეში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს  
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს  
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ძინიაშვილი.**

СОБРАНИЕ ПОСТАНОВЛЕНИЙ ПРАВИТЕЛЬСТВА  
ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 4 за 1974 год.

---

გამომცემელი: საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრო

---

ხელმოწერილია დასაბუქლად 27/XII-74 წ. ქალაქის ზომა 70×1081/16  
საბეჭდი თაბახი 5, სააღრიცხვო თაბახი 5.

წლიური ხელმოწერის ფასი 8 მან.

69/18